

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXIX

2018 წლის 1-4 მაისი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი
2018

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (პ. ინგოროყვას ქუჩა №8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს — 3 წუთი

რედაქტორი — **ვ. შენგელია**

□ თსუ არნ. ჩიქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

1 მაისი, 11 საათი

თავმჯდომარეები: თ. ვაშაკიძე, ვ. შენგელია

- ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, შესავალი სიტყვა
- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. 87-92
- თ. ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მოამაგენი (1950-1963)
- მ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, გ. კ ვ ა ნ ტ ი ძ ე, რ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ნიკო მარის სამეცნიერო სკოლა სვანეთში (ევდოკია კოჟენიკოვა-გუგუშვილი)
- მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, „გააწმყოებული ხოლმეობითების“ ცნებისათვის
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ისტორიულ ერთთემიან ზმნათა ფორმაწარების თავისებურებათა შესახებ
- ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, ადგილობით ბრუნვათა ნიშნების გენეზისი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში
- თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, რთულფუძიან რიგობით სახელთა მართლწერისათვის
- ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, სრბა სიტყვის სემანტიკისათვის
- ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა, სიტყვათმახვილი მეგრულში
- დ. კ ა კ ა შ ვ ი ლ ი, ლექსემების ხ ე ლ ი ს ა და თ ა ვ ი ს შემცველი ფრაზეოლოგიზმები და კომპოზიტები ქართულსა და წოვათუშურ ენებში

2 მაისი, 11 საათი

თავმჯდომარეები: ნ. არდოტელი, ს. ომიაძე

- ც. ბ ა რ ა მ ი ძ ე, რედუპლიკაციის ფუნქციონირების სახეები თაბასარანულ ენაში (მორფოლოგიური ფუნქციის მქონე რედუპლიკაცია)
- რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, ცნობები ჩეჩნეთის გეოგრაფიული სახელების შესახებ ნ. ი. დინიკის ნაშრომში „ჩეჩნეთსა და დაღესტანში“
- ვ. მ ა ღ რ ა ძ ე, ჩა- ზმნისწინის გააქტიურებისათვის თანამედროვე ქართულში
- შ. გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა, ტოპონიმ თბილისის ისტორიისა და წარმომადგობისათვის
- ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, უფუარი პურის სახელები ქართულში
- თ. ლ ო მ თ ა ძ ე, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე ლატვიაში
- ც. ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა, ორწევრიანი თანხმოვანთმიმდევრობების შესახებ მეგრულში
- მ. თ ე თ რ ა ძ ე, კორპუსული მუშაობა კავკასიურ ენებზე
- ი. კ ე კ ე ლ ი ა, ძიებანი სამეგრელოს ტოპონიმიიდან (ქოყო, ხანწკი)
- ა. ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი, უდური – უდეები, უდინური – უდინები, უდიური – უდიები ტერმინთა შესახებ

3 მაისი, 11 საათი

თავმჯდომარეები: ვ. მაღრაძე, მ. ჩუხუა

- მ. დ ლ ო ნ ტ ი, თ ა ნ ა- და თ ვ ი თ- კომპონენტთა სტრუქტურულ-სემანტიკური ფუნქციისათვის
- მ. ჩ უ ხ უ ა, მეორეული რ -> ლ' || ლ' ლატერალიზაციის ფონეტიკური პროცესის შესახებ ჩერქეზულში
- ს. ო მ ი ა ძ ე, „თბილისის უნივერსიტეტის“ კონცეპტური სტრუქტურა არნოლდ ჩიქობავას მედიატექსტთა მიხედვით
- ქ. და თ უ კ ი შ ვ ი ლ ი, სახელის ფუძის საკითხისათვის ქართულში
- ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ინტონაციის ცნებისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში
- მ. ს ა დ ლ ი ა ნ ი, ი „ც“, „მცა“ ნაწილაკიან არსებით სახელთა ბრუნებისათვის სვანურში
- მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ნარატივი, როგორც ლექსიკური ერთეული, თანამედროვე ქართულში
- თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, თანამედროვე ქართული ენის განახლებული ელექტრონული ორთოგრაფიული ლექსიკონის პირობითი ნიშნებისათვის
- ნ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ფიტონიმთა ერთი წყების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის
- ხ. ყ ა ნ და შ ვ ი ლ ი, კახეთის რეგიონის სოფლების სახელწოდებანი 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მასალებში
- თ. მ ე ლ ა ძ ე, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისათვის (სვანეთის ეთნოლინგვისტური ჩანაწერების კვლევის მაგალითზე)

4 მაისი, 11 საათი

თავმჯდომარეები: **ნ. მაჭავარიანი, მ. სუხიშვილი**

- ნ. მაჭავარიანი, აფხაზური ენის აფიქსთა და მოდალურ ელემენტთა ლექსიკონი (შედგენის პრინციპები)
- თ. ვაშაკიძე, მე ნაცვალსახელის პარადიგმისათვის თანამედროვე ქართულში
- მ. რობაქიძე, „კენ“ თანდებულის ისტორიისა და ფუნქციისათვის
- რ. პაპიაშვილი, მ. ბერიძე, უნიფიკაციის საკითხები ქართული სამეცნიერო ენის კორპუსში
- ნ. ჯორბენაძე, გრაფიტის ენობრივი მხარე თანამედროვე ქართულ რეალობაში
- ნ. ციხიშვილი, ნ. შავრეშიანი, ლ. გიგლემიანი, მ. საღლიანი, ზმნათა დეფექტურობის საკითხისათვის ქართველურ ენებში
- ლ. აზმაიფარაშვილი, შეფასებითი კონოტაციების საკითხისათვის ხუნძურ ენაში
- რ. ლოლუა, „ალვანთა ქვეყნის ისტორია“ და მისი ცნობები კავკასიის ალბანური დამწერლობის შესახებ
- ლ. კელაურაძე, ქართველურ-ბურუშული ახალი ლექსიკური დაკავშირებანი
- მ. ლაზარტყავა, *პასუხობს* ზმნის ორთოგრაფიისათვის
- ლ. კოჭლამაზაშვილი, *ფარცხ-* ძირთან დაკავშირებული ისტორიული ცვლილებანი ქართველურ ენებში

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი

შეფასებითი კონოტაციების საკითხისათვის ხუნძურ ენაში

ენის შესწავლა უსათუოდ გულისხმობს მასზე მეტყველი ეთნოსის ენობრივი მსოფლხედვის თავისებურებებისა და კულტურულ-ყოფითი რეალიების შეცნობასაც.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ლექსიკური მასალა, რომლის საშუალებითაც ხუნძურ ენაში აღიწერება ადამიანის სხვადასხვაგვარი თვისებები (გარეგნულიც და შინაგანიც) და ხდება მათი შეფასება. აღსანიშნავია, რომ ხუნძური ენის ლექსიკურ ერთეულთა ამგვარი კონოტაციების დადგენის პირველი ცდა წარმოდგენილია უკვე პ. უსლარის ხუნძურ სიტყვათვრებულში, რომელიც დართული აქვს მის კაპიტალურ მონოგრაფიას „ხუნძური ენა“ (1989). ენობრივი მსოფლხედვის შესახებ ინფორმაციის შემცველი ფაქტების გამოვლენასა და შესწავლას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თეორიული ლინგვისტიკის თვალსაზრისითაც. საინტერესოა სურათი უნდა მოგვცეს კავკასიის მრავალფეროვან ლინგვოკულტურულ სამყაროში არსებული ვითარების შედარებით-შეპირისპირებითა კვლევამ.

მოვიხმობთ ხუნძური ენიდან ადამიანის შეფასების ზოგიერთ მაგალითს, რომლებიც ქართულისაგან რამდენადმე გამოირჩევიან სპეციფიკურობით და გარკვეულ წარმოდგენას ქმნიან ენობრივი მსოფლხედვის ცალკეულ თავისებურებათა შესახებ. ამ ტიპის ენობრივ მასალას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ პ. უსლარმა. არაერთ მნიშვნელოვან ფაქტს გამოგვივლენს ამ მხრივ, როგორც სასაუბრო მეტყველების, ისე ფოლკლორის, მხატვრული ლიტერატურის, ეთნოგრაფიული ტექსტების ანალიზი.

ატრიბუტივები: **ხალათაბ** „გრძელი“, **ბორხათაბ** „მაღალი“; მაგ., *ხალათაბ გაბურ* „გრძელი კისერი“ ან *ბორხათაბ გაბურ* „მაღალი კისერი“ ქალური სილამაზის ერთ-ერთი აღმნიშვნელია ხუნძურში.

ჭატიდაბ „ფართო“: გულკეთილ ადამიანზე ითქმის *რაკ ჭატიდაჟ ჩი*, ზედმიწე. „გულ-ფართო კაცი“. საპირისპირო ატრიბუტივია **ყჭარიდაბ** „ვიწრო“: *ყჭარიდაჟ ჩი*, ზედმიწე. „ვიწრო კაცი“ ნიშნავს უკარება, უყმურ, ბუზღუნა ადამიანს.

ტომობა „მწარე“: *ტომობა ჩი*, ზედმიწ. „მწარე კაცი“ ნიშნავს მძიმე ხასიათის, უკარება ადამიანს.

თათუაბ „გემრიელი“, **თათუ** „გემო“: *თათუ ჰეჭეჭ ჩი*, ზედმიწ. „გემო უქონელი კაცი“ ნიშნავს მოუხეშავ, ტლანქ ადამიანს.

ჰეტარაბ „ხვეული, კლაკნილი“, მაგ., *ჰეტარაბ ნუბ* „მიხვეულ-მოხვეული გზა“, მაგრამ *ჰეტარაჭ ჩი* „ყალბი, ცბიერი ადამიანი“, ზედმიწ. „დაკლაკნილი კაცი“.

ტუტაბ „მსუბუქი“: *ტუტაჭ ჩი*, ზედმიწ. „მსუბუქი კაცი“ ნიშნავს შეზღუდული ნიჭისა და უნარის მქონე ადამიანს.

ბიჰააბ „ადვილი, იოლი“: ეს ატრიბუტივი სხვადასხვა მნიშვნელობით შეიძლება მოგვევლინოს, იმისდა მიხედვით, მამაკაცის მსაზღვრელად იქნება გამოყენებული თუ ქალისა, მაგ., *ბიჰააჭ ჩი* „დამყოლი, ხათრიანი კაცი“, ზედმიწ. „ადვილი კაცი“, მაგრამ *ბიჰაადა ჭაუჭუ* „მსუბუქი ყოფაქცევის ქალი“. ნივთის კლასში ხმარებისას **ბიჰააბ** ატრიბუტივის ძირითადი მნიშვნელობაა „იოლი, შესასრულებლად ადვილი“.

თამახაბ „რბილი“: *თამახაჭ ჩი* „დამთმობი, სუსტი ხასიათის კაცი“, ზედმიწ. „რბილი კაცი“, მაგრამ II კლასში *თამახად* ითქმის ნაზი ქალის შესახებ, დადებითად აფასებს ქალს; შდრ. *თამახალ ქუტერალ* „ნაზი (ზედმიწ. „რბილი“) ხელები“.

ხალხურ სიმღერებში გვხვდება სხვადასხვაგვარი პოეტური ეპითეტები, როგორცაა, მაგალითად:

მიქი „მტრედი“: მყარი ატრიბუტული შესიტყვება *ტერ მესედილაბ მიქი* „ოქროსფერი მტრედი“ წარმოადგენს ქალის მიმართ გამოყენებულ სატრფიალო ეპითეტს, მაგ. (სიმღერიდან):

ბორხათაბ ტურდა ჭოლებ

ტერ მესედილაბ მიქი,

შიბ ტუნადა ტელა მუნ

ჭუჰარაჭ დურ ინსუცა?

„მაღალ კლდეზე მჯდომარე

ოქროსფერო მტრედო,

რა მივცე რომ დამითმოს შენი თავი

ამაყმა მამაშენმა?“

მიღწერა „მერცხალი“: *ზობალაზულ მიღწერა*, ზედმიწ. „ცათა მერცხალი“ ასევე სატრფიალო ეპითეტია და ქალის მიმართ გამოიყენება. მაგ. (სიმღერიდან):

ჰაჭადალდა საჭერდულეზ
ზობალაზულ მიღწერა,
შეიბ ტუნედად რეყელა
ფახროდაჟ კიდაჟგო ჟაცა?

„ჰაერში მოფარფატე
ცათა მერცხალი,
რა მივცე რომ დამთანხმდეს [შენს მოცემაზე]
ამპარტავანი [შენი] ორივე ძმა?“

მოყოფ „კაკაბი“: *ღირ მოყოფ* „ჩემო კაკაბო!“ საკმაოდ გავრცელებული საალერსო გამოთქმაა სასაუბრო მეტყველებაშიც; *მოყოფილ რილინ ბუგო ჰად მასალულ*, ზედმიწ. „კაკაბის სიარული აქვს ამ გოგოს“, ე.ი. ლამაზად დადის; შდრ. ქართ. *დაგოგმანებს* (ითქმის ქალზეც), *გოგვა* „ფრინველის კეთილი სვლა“ (საბა).

ყუანშა „საფეთქელი“, **ყუნშაბი** „საფეთქლები“: კომპოზიტი *ყუნშაბი-ბერცინ*, ზედმიწ. „საფეთქლებ-ლამაზი“ ითქმის კეკლუცი, კოხტა ქალის შესახებ.

ქერენ „მკერდი“: ლამაზი ქალის მკერდის დასახასიათებლად ხუნძური ენა მიმართავს ასეთ შედარებას: *ჰარცულ ქერენ* „ვერცხლის მკერდი“, *ქერენ ჰარცულაა*, ზედმიწ. „მკერდ ვერცხლისა [ქალი]“, მაგ. (სიმღერიდან):

ჟოტულესულ ებელ ტეჲან დაჭანი
ტეჲი რასანდულა ჰარცულ ქარანდა.

„სატრფოს დედა სათხოვნად თუ მოვიდა
კრავები დაკუნტრუმებენ ვერცხლის მკერდზე“.

გამოიყენება ერთობ თავისებური შედარებაც: *ჰან ჰადაბ ქერენ*, ზედმიწ. „ყველივით მკერდი“, *ჰან-ჰარცულ ქერენ*, ზედმიწ. „ყველ-ვერცხლის მკერდი“. აქ „ყველი“ გულისხმობს „თეთრს“; ანალოგიისათვის შდრ. ლაკურ ხალხურ პოეზიაში გავრცელებული *ჩაქარდანულ ჩურხ*, ზედმიწ. „შაქრის ტანი“, რომელშიც „შაქარი“ ასევე „თეთრს“ აღნიშნავს და ადამიანის სილამაზის გამომხატველად გვევლინება. ასე-

თი შედარება არც ხუნძურისთვისაა უცხო, მაგ., ჩაქარულაბ დირ ჰან ყოტიზედილან, ჩარხიდე ქუნ რუგო ლეზალალ ნუსალ „ჩემი შაქარა ხორცის დასაჭრელად სხეულს ჩამასვეს ბასრი დანები“ (სიმღერიდან).

გარდა იმისა, რომ ყველი თეთრია, იგი იჭმევა და ხალხურ პოეზიაშიც არის ეს ასახული:

უად დურ ჭუჭიგო შიბ, დურ ჭუჭიგო შიბ!
დირ ჰანჰარცულ ქერენ ქინ ქუნანლარებ?
დურ ბახილლიგო შიბ, ბახილლიგო შიბ!
მესედილ ქარანდა ქუერ შაად ლოლარებ?

„ვაი, რა ამპარტავანი ხარ, რა ამპარტავანი!
ჩემ ყველ-ვერცხლის მკერდს როგორ არ ჭამ?
რა ძუნწი ხარ, რა ძუნწი!
ოქროს მკერდზე ხელს რატომ არ მადებ?“

გაბურ „კისერი“: ლამაზი ქალის კისერი ხუნძურში დახასიათებულია ასე – *მესედილ გაბურ* „ოქროს კისერი“; მაგალითად, ხალხურ სიმღერაში:

ჭარცულ დირ ქარანდა ქუერ ლუნ ინარი?
მესედილ გარბიდა ყჳალ ბან ინარი?
„ვერცხლის მკერდზე ხელს არ დამადებ?
ოქროს კისერზე არ მომეხვევი?“

ღუანშა „კეფა“: ამ სიტყვისგან ჩანს მიღებული **ღუანშაუ** „ვერაგი“. ხუნძურ ენაში „ვერაგობა“ სემანტიკურად სწორედ „კეფას“ რომ უკავშირდება, ამას ცხადყოფს ფრაზეოლოგიზმიც *ღუანშა ჭჳაზე*, ზედმიწ. „კეფაში ჩარტყმა“. გადატანით იგი ნიშნავს „მოტყუებას“, „გაქურდვას“.

ჰომერ „სახე“: *ჰომერ ჯაჰალი* „სახის სითეთრე“. იხმარება უცოდველობის, სიწმინდის მნიშვნელობით. ამის საპირისპიროა *ჰომერ ჭეჭერლი*, ზედმიწ. „სახის სიშავე“.

ცინ „ნაღველი“: ეს სიტყვა, ქართულისგან განსხვავებით, იხმარება „ბრაზის, მრისხანების მნიშვნელობით“: *ცაიდალაჟ ჩი* „გაბრაზებული, განრისხებული კაცი“, ზედმიწ. „ნაღველიანი კაცი“.

ზარ „მუშტი“: *ზარ ჭანასაჟ ჩი* „მუშტისოდენა კაცი“, ე. ი. ტანმორჩილი; შდრ. ქართ. *თითისტოლა*.

ბაწ „მგელი“: ჯერ კიდევ პ. უსლარი აღნიშნავდა, რომ ყოველგვარი შედარება მგელთან მთიელებში შექებად ითვლებათ; მაგ., *ბაწ შადათ ჩი* „მგელივით კაცი“, ე.ი. „გულადი“; *ბაწილ შამალ ბუგო დირ ჟოტულოესულ* „მგლის ბუნება აქვს ჩემს სატროფოს“; *ბაწ შადინ ქანანლა* „მგელივით ჭამს“ (შექება). გმირის საქები გავრცელებული ეპითეტია ხუნძურში *ჰუნდულ ყოყაბ ბაწ* „ყურმოკლე მგელი“:

ჰოდუგეან აბე დირ ებელადა,
შადადანი ხუჭინ ჰუნდულ ყოყაბ ბაწ!
უჰდუგეან აბე შაგარლ'იდალა,
ბაწიცანი შამალ ჰოდობ რეხიჭინ!

„ნუ ტირი-თქო, უთხარით დედაჩემს,
ამოდ არ მომკვდარა ყურმოკლე მგელი!
ნუ მოთქვამთ-თქო, უთხარით ნათესავეს,
მგელს თვისი ბუნება არ შეურცხვენია!“

მიიჩნევენ, რომ მგელს შეუძლია მეტად შორ მანძილზე დანახვა (თუმცა სინამდვილეში მას ძლიერი ყნოსვა აქვს განვითარებული), ამიტომ ხუნძურში არსებობს შედარება *ბაწილალ ბერალ* „მგლის თვალები“, რაც ადამიანის საქებ ეპითეტს წარმოადგენს.

წირყ „ფოცხვერი“: *წირყილ მაჰაბი* ან *წირყილალ ჰატალ* „ფოცხვერის ფეხები“, ე. ი. ფეხმარდი, მკვირცხლი ადამიანი (შდრ. ქართ. *მგლის მუხლი*):

ბაწილალ დურ ბერალ, წოდორაჟ ჰუდულ,
წოდორგონი ჟუკა ჟანიბ წორალდა,
წირყილალ დურ ჰატალ, ჰინტ ხეხაჟ ჰალმალ,
ჰადურგონი ჟუკა ჰოლოჯაბაზულა.

„შენი მგლის თვალები, სატროფოვ,
ფრთხილად იყავი წორში.
შენი ფოცხვერის ფეხები, სატროფოვ,
მზად იყავი ჯეელებში“.

ცერ „მელა“: *ცერ მაჰაჟ ჩი* „მელასავით კაცი“, ე.ი. „ცბიერი“; მაგრამ შესიტყვება *ცარალ რილ'ინ* „მელიას სიარული“ ნიშნავს ფრთხილად სვლას.

ქეთო „კატა“: პ. უსლარი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც შენიშნა, რომ ხუნძური ენა კატას მიაწერს წმინდა ადამიანურ თვისებას, მაგ., *მარჰა ბიცუნა ბუგო ქეთო „კატა კრუტუნებს“*, მაგრამ საინტერესო აქ ისაა, რომ ზედმიწევნითი მნიშვნელობა ამ წინადადებისა არის „ზღაპარს ყვება კატა“ (მარჰა „ზღაპარი“):

მასითო რაჟალდა ქათილ ტინჭანი,
დურ ქარანდე ბახუნ, მარჰა ბიცინე.

„კერიასთან კატის კნუტად ნეტავ მაქცია,
მკერდზე ამოგაცოცდებოდი, ზღაპარს მოყვებოდი“

[ე.ი. ვიკრუტუნები].

ოც „ხარი“: *ოც მაჰაჟ ჩი „ხარივით კაცი“* (ზედმიწ. „ხარის სუნის კაცი“, შდრ. მაჰ „სუნი“) ნიშნავს ზანტ და აგრეთვე რეგვენ, გონებაჩლუნგ ადამიანს.

ყურყ „ბაყაყი“: ხუნძური ენა ბაყაყსაც მიაწერს ადამიანურ თვისებას, მაგ., *ხანდელა ბუგო ყურყ* „ილანძღება ბაყაყი“. პ. უსლარი აღნიშნავს, რომ ბაყაყის ყელი მუდმივ მოძრაობაშია და მთიელეზი მიიჩნევენ, რომ იგი ადამიანებს წყევლისო.

ჩუთ „ხვლიკი“: *ჩუთილ ჭადინ ტერ* „ხვლიკის მსგავსი ფერი“. ითქმის ძალზე გაფითრებულ ადამიანზე.

გარწ „კალია“: *გარწჰან ჭემერ* „კალიასავით ბევრი“. ასე ამბობენ, როცა სურთ ადამიანთა, ცხოველთა ან ფრინველთა უთვალავი სიმრავლე გამოხატონ. ქართული ენა ასეთ შემთხვევაში ბუზთან შედარებას მიმართავს ხოლმე; **გარწილ ბოხ** ან **გარწიმაჰო** „კალიის ფეხი“: ასე უწოდებენ დაცინვით თხელფეხებიან ადამიანს:

– მუნ ჟაყა ქართოშქა ბუჯიზე დილ’ინარიშ: ხურიდე?

– ჟალლაჰ დილ’ინაროხა ცო გალი ბაჯუნგი.

– დილ’ინჰონანი ქუნიეგი ქუინარებ დუცაჰ ჰებ ცო გოროგი, გარწიმაჰო!

„ – შენ დღეს კარტოფილის ამოსათხრელად არ წახვალ [ქალო] ყანაში?

– დმერთმანი, ვერ წავალ. ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამ.

– არ წახვალ და ჭამითაც ვერ შეჭამ ნამცეცსაც კი, შე კალიის ფეხო!“

(მ. ჰაიბულაევა, მ. ჰაიბულაევი, 2008).

ჭებ „რწყილი“: *ჭებ ჰადაჟ ჩი* „რწყილივით კაცი“ = „მკვირცხლი, მსუბუქი ადამიანი“.

მესედ „ოქრო“: არსებობს საალერსო გამოთქმა *დირ ჰარაც-მესედ*, ზედმიწ. „ჩემო ვერცხლო-ოქრო“; ამავე სიტყვისაგან არის მიღებული *მესედო* „მშვენიერი ქალი“, „მზეთუნახავი“ (ქალის საკუთარი სახელიცაა), ხოლო მამაკაცისთვის გამოყენებულია თავისებური საალერსო ეპითეტი – *ტურარაბ მესედ* „ხვეული ოქრო“.

მარღალ „მარგალიტი“: *მარღალაღულ ჩერხ* „მარგალიტის სხეული“. ასე აქებენ ადამიანის სილამაზეს:

მუნ ჴატან გურესადა ყჳალ ჟემანანი
ჩაბხილ რატულა ყადგი
მარღალაღულ ჩერხ.

„შენს მტერს თუ მოვეხვიო
ქვალორღიან მიწაშიმც ჩაიმარხოს
[ჩემი] მარგალიტის სხეული“.

ხუნძურს მოეპოვება მარგალიტის აღმნიშვნელი სხვა სახელიც – **ჟაუჰარ**, რომელიც საერთოდ ძვირფას თვალსაც აღნიშნავს, შდრ.:

აღჟანალდა ჟანიდ ჟაუჰარ ჴადინად, სუნდალ'უნ ჴოტულეჴ დუდა რიხარად?

„სამოთხის მარგალიტის მსგავსი [ქალი] რატომ ვარ საყვარელო [ვაჟო] შენგან შეძლებული?“

გამაჴ „ქვა“: *გამაჴ ჰადაჟ ჩი* „ქვასავით კაცი“ ხუნძურში ითქმის უშიშარ ადამიანზე. ამასთანავე, არსებობს შესიტყვება *განჴილ ბეტერ* „ქვის თავი“, რომელიც ადამიანის სიბრიყვის, სირეგვენის აღმნიშვნელია; შდრ. ქართ. *ხის-თავა, ხის-თავიანი*.

ჴენ „კუნძი“: *ჴენ ჰადაჟ ჩი*, ზედმიწ. „კუნძივით კაცი“ მიუთითებს მოუხეშავ, ჯძუხ, ღონიერ ადამიანზე, შდრ. ქართ. *კუნძივით ჩავსკვნილი*.

ჴერ „ჴოკი“: *ჴერ ჰადაჟ ბაჴარჩი* „ჴოკივით ვაჴკაცი“ დაცინვით ითქმის აყლაყულა გამხდარ ადამიანზე.

გამა „ნავი“: *ერგადალ გამა*, ზედმიწ. „რიგის ნავი“, ე. ი. ნავი, რომელსაც რიგრიგობით იყენებენ, ასე ამბობენ გარყვნილი ყოფაქცევის ქალზე. *ერგა „რიგი“*, ნათ. *ერგადალ*.

ყენ „ცხვრის ტყავი“: ნიშნავს აგრეთვე უმაქნის, უვარგის ადამიანს; შდრ. ქართ. *ჩვარი*.

ფიწ „ფისი“, აგრეთვე „ფიჭვის კევი“: *ფიწილ რუყი შადაჲ ჩი* „გაფისული ჩვარივით კაცი“, ე. ი. აბეზარი და გულისგამწყალელებელი.

რაკუ „ნაცარი“: კომპოზიტი *რაკუ-კირში*, ზედმიწ. „ნაცრის მჩიჩქნავი“ ნიშნავს შინაყუდა, უსაქმურ, საზოგადოებისათვის უსარგებლო, არაფრის მაქნის ადამიანს; შდრ. ქართ. *ნაცარქექია*.

ახირ „ბოლო, დასასრული“: *ახირ ჰეჭეჲ ჩი*, ზედმიწ. „ბოლო უქონელი კაცი“, ე. ი. არასაიმედო კაცი, რომელსაც ვერ დაეყრდნობი ვერაფერში, შდრ. ქართ. *უთავბოლო*.

ნოდარ ადოტიელი

ადგილობით ბრუნვათა ნიშნების გენეზისის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში

1. ლოკალიზაციის კატეგორია გამოხატავს სუბიექტის დამოკიდებულება-თვალსაზრისის გარესამყაროში ობიექტთა კონკრეტული ადგილმდებარეობის („-ზე“, „-ში“, „-ქვეშ“, „-თან“...) ან სივრცეში განსაზღვრული მოძრაობის („-ში-კენ“, „-ზე-კენ“, „-ში-დან“, „-ზე-დან“...) მიმართ. სწორედ ადამიანთა თვალთახედვის არეში მოქცეულ და მათ ცნობიერებაში გააზრებულ საგანთა სივრცობრივი მდებარეობა-მოძრაობა ან მათი მიმართება მეორე საგნისა თუ სუბიექტის მიმართ აისახება თავისებურ ლოკატიურ ბრუნვებში, რომლებიც ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა მორფოლოგიაში სერიათა მწყობრ სისტემას ქმნიან.

2. I წყების ადგილობით ბრუნვის ნიშანთა და მათი ფონეტიკური სახესხვაობების სიმრავლე ხუნძურში თვალშისაცემია: ა) {-და}, ბ) {-ტა}, {-ლა}, {-ყა}... (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე; შ. მიქაილოვი). მათი ფუნქციური დისტრიბუცია განსაზღვრულია: {-ტა} გამოხატავს ჰორიზონტალურ სიბრტყეზე მდებარეობას, ხოლო {-და} -ვერტიკალურ ზედაპირზე. {-ტა} გენეზისურად ტად („ზედ“) ზმნისართს უკავშირდება: განჭი-ტა (<განჭი-{და} ტა{დ}) (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე). ხუნძური ენის ჰიდურ კილოკავში დასტურდება არქეტიპი ტ'ად („ზედ“), რომელსაც ანდიურ-დიდოურ ენებში კანონზომიერად შეესატყვისება: ანდ. ჰი-ტ'ა : ბოთლ. ჰე-ყა : ლოდ. ჰი-ლა :

ჭამ. ჰი-ლაამ : კარ. ტ'ა (ლოკ.) : ახვ. ტ'ად-ო – საკ. დიდ. ტირ-ი : ჰინ. ტურ-ე ხვარშ. ტალ-ა : ბეჟ. ტოდ-ო „ზედ“.

ზემომოყვანილი მონაცემები მოწმობს, რომ კანონზომიერ ფონემათშესატყვისობა გვაქვს როგორც ხმოვნებში (*ა : ხუნძ. ა ~ ანდ. ო : ახვ. ა ~ საკ. დიდ. ი : ჰინ. ე : ხვარშ. ა/ო : ბეჟ. ო/ჰ), ისე თანხმოვნებში (*ტ' : ხუნძ. ტ ~ ანდ. ტ' : ბოთლ. ყ : ღოდ. ლ : ჭამ. ლ : კარ. ტ' : ახვ. ტ' ~ საკ. დიდ. ტ : ჰინ. ტ : ხვარშ. ტ : ბეჟ. ტ). ბოლოკიდურ თანხმოვანთა მონაცვლეობა (*დ>რ>ლ) ჩვენს ყურადღებას კლას-ნიშნის რეფლექსებისაკენ წარმართავს, ხოლო ფუძედ რეკონსტრუირდება: ხუნძ. {-ტ'ა} ~ ანდ.: ბოთლ.: ბაგვ. {-ყა} : ღოდ. ჭამ.: ტინდ. {-ლა} : კარ. : ახვ. {-ტ'ა} ~ საკ. დიდ. : ჰინ.: {-ტო} : ხვარშ. {-ტა} (ინხ.), {-ტო} (საკ. ხვარშ.) : ბეჟ. {-ტა} (საკ. ბეჟ.), {-ტო} (ჰუნზ.). საერთო ამოსავალს წარმოადგენს {*-ტ'ა} (ილ. ცერცვაძე, ელ. ლომთაძე).

3. რაც შეეხება მეორე ადგილობითი ბრუნვის {-და} ნიშანს, (ტ. გუდავა; ზ. მაჰომედბეკოვა, შდრ. შ. მიქაილოვი), იგი სრულიად დამოუკიდებელი მარკერია როგორც ფორმოზრივად, ისე ფუნქციის თვალსაზრისითაც, ვინაიდან: "Наличие двух особых локативных серий, ориентирующих предмет по горизонтальной и вертикальной (боковой) плоскостям, было исторически исходным на общеварском уровне" (ზ. მაჰომედბეკოვა).

ჩვენი ვარაუდით, ხუნძ. {-და}, ერთი მხრივ, შეიძლება დაუკავშირდეს ანდიური ენის ქვანხიდათლურ თქმაში დადასტურებულ -დუ<*-დო („-თან“) თანდებულს, ხოლო, მეორე მხრივ, დიდოურ ენათა სემანტიკურად გადახრილ შესაბამის მონაცემებს: საკ. დიდ., ხინ. -დე, ბეჟ. -დნ (ჰუნზ. -დწრ).

4. სუბესივის სერია, რომელიც „ქვემ“ მყოფობის ლოკალიზაციას გამოხატავს, კანონზომიერ ფორმოზრივ შესატყვისობას გვიჩვენებს და საერთოა ამ ენათა ბრუნებაში: ხუნძ. {-ტი} ~ ანდ. {-ტი-ი} ~ დიდ. {-ლ'}. როგორც ხშირად ხდება, ხუნძურსა და დიდოურ ენებში სათანადო ბრუნვის ნიშანი დაკარგულია, თუმცა დინამიკურ ბრუნვათა ნიშნებში მოკვეცილი ხმოვანი აღდგება (დ. იმნაიშვილი).

5. პოსესივის სერია, რომელიც ერთგვარ თანაობას („-თან“, „-ზე“, „-კენ“) გამოხატავს, არაიშვიათად მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობით გამოიყენება და საერთო სუფიქსით გადმოიცემა ხუნძურ-ანდიურ ენებში: ხუნძ. {-ჰ} ~ ანდ. {-ჰ-ი/-ჰ} : ბოთლ. {-ჰ-ი} : ჭამ. {-ჰ} : ახვ. {-ჰ}. ამ ნიშანში პოვნოიერ *ჰ-ს შესატყვისობა ირღვევა დიდოურ ენებში, რომლებშიც კანონზომიერი შესატყვისის ხ-ს ნაცვლად ფონე-

მათიგივეობა (ჯ : ჯ) არის წარმოდგენილი (ნ. არდოტელი): საკ. დიდ.: ჰინ.: ხვარშ. {-ჯ-ო} : ბეჟ. {-ჯ-ა}.

ანდიურ და, განსაკუთრებით, დიდოურ ენებში თანაობის სერის გამოხატვა დიფერენცირებულია: ა) „-თან“, „მახლობლად“ (დისტანციური თანაობა) გადმოიციემა ხ-ს შემცველი ნიშნით; ბ) „-თან“, „-თან ერთად“ (უშუალო თანაობა), გამოიხატება ჯ-იანი ნიშნით.

დისტანციური თანაობის გამოსახატავად ანდიურ-დიდოური ენები საერთო წარმომავლობის სუფიქსს იყენებენ: ანდ. {-ხ-ა}, ბოთლ. {-ხ-ი}, ლოდ. {-ხ-ა}, ჭამ. {-ხ-ე}, ბაგვ. {-ხ/-ხ-ი}, კარ. {-ხ/-ჰ}, ახვ. {-ხ-არი} ~ საკ. დიდ. {-ლო}, ხვარშ. {-ლა-ლ} (საკ. ხვარშ.), {-ლო}, ბეჟ. {-ლა} (საკ. ბეჟ.), {-ლურ} (ჰუნზ.).

ამგვარი ლოკალიზაციის გამომხატველ ნიშანთა არქეტიპების რეკონსტრუქციისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დიდოურ ენათა ჩვენება, რომლის მიხედვით {-ხო} ნიშანს სხვადასხვაგვარი ფუნქციის გადმოცემა ეკისრება. არ არის გამორიცხული, რომ იგი გენეზისურად უკავშირდებოდეს ხუნძურ-ანდიურ ენათა ჯ-ს შემცველ ნიშანს: *ჯ' : კ.-ხუნძ. ხ ~ ს.-ანდ. ჯ' (დაცულია ახვახურში) ~ საკ. დიდ. -ხ-ო : ჰინ. -ჰ-ო : ხვარშ. -ჰ-ო (საკ. ხვარშ.), -ჰ-ა (ინხ.) : ბეჟ. -ლ-ოდ „-თან“, „მახლობლად“, „ერთად“.

6. ინესივის სერიაში წარმოდგენილია ლოკალიზაცია შინაგან სიცალიერეში ან მთლიან მასაში. ა) ლოკალიზაცია შინაგან სისავსეში: ხუნძ. {-ლ'} ~ ანდ. {-ლ'-ი} : ბოთლ. {-ლ'ა-უ} : ლოდ. {-ლ'-ი} : ბაგვ. {-ლ'ა-ი} : ახვ. {-ლ'-ი} ~ ს.-დ. {-ლ'}.

ბ) რაც შეეხება შინაგან სიცარიელეში ლოკალიზაციას, ხუნძურში იგი კლასიფიკატორების საშუალებით აღინიშნება, ხოლო ანდიურ-დიდოურ ენებში არაერთგვაროვანი ვითარებაა: ახვახური ენის ჩრდილოურ დიალექტში რელიქტურად შემონახულია „რ სერია“. სავარაუდოა, {-რ} ნიშანი IV კლას-ნიშანს უკავშირდებოდეს (შდრ. ანდ. -ლ : შიშუ-ლ-ა „ბოთლში“...). დიდოურ ენათა ანალოგიურად, ანდიურ ენათა ერთ წყებაში სიცარიელის შიგნით მყოფობა-არსებობას ძირითადად ოდენ ხმოვნიაანი ნიშანი აწარმოებს: ანდ. {-ა}, ბოთლ. {-ე}, {-ი}, {-უ}, ლოდ. {-ო}, {-უ}, ჭამ., კარ. {-ი} ~ საკ. დიდ. {-ა}, ჰინ., ხვარშ. {-ა}, {-მა}, ბეჟ. {-ყ/-ყო} (საკ. ბეჟ.), {-ჰ}, {-ჰ}, {-ჰ} (ჰუნზ.).

რედუპლიკაციის ფუნქციონირების სახეები თაბასარანულ ენაში

(მორფოლოგიური ფუნქციის მქონე რედუპლიკაცია)

მოხსენებაში გაანალიზებულია თაბასარანულ ენაში რედუპლიკაციის ფუნქციონირების სახეები. ემპირიული მასალის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ინტენსიფიკაციის გამომხატველი რედუპლიკაცია რედუპლიკაციის ფუნქციითა შორის იერარქიულად ყველაზე მაღლა დგას (ლიმი-ლიმი „ქათქათა“, სიტყვასიტყვით „თეთრი-თეთრი“; წიბ-წიბ „ცოტა-ცოტა“, წიბ-წიბ-ჯი „ცოტა-ცოტათი“) ადვერბიალიზაციითა და მეორეული პრედიკაციით. ადვერბიალიზაცია უხერხდება თითქმის ყველა დადასტურებულ რედუპლიციურ მძრ-ფუმეს, რომლებიც გამოხატავს ინტენსიობას; რედუპლიციურებულ ფუმეთა ფუნქციები შეიცავს აბსოლუტურობის, სისწორის, იდენტურობის, დიურატიულობისა და მასთან დაკავშირებული კატეგორიების, პროლეტივის, დისტრიბუტივისა და სხვა ფუნქციებს; ასევე ლექსიკალიზაციის ფუნქციას, რაც, ზოგადად, ფართოდ არის გავრცელებული ენებში.

რედუპლიკაციის თვისობრიობათა შორის განსაკუთრებულ თვისებადაა გამოყოფილი თაბასარანულ ენაში მორფოლოგიური ფუნქციის მქონე რედუპლიკაცია. თაბასარანული ენის რედუპლიკაციის შემთხვევების ფუნქციური სფეროს კვლევა შესრულდა ამ ენის ემპირიული მასალის მიხედვით. გამოიყო შემთხვევები, როცა რედუპლიკაცია იძენს მორფოლოგიურ დატვირთვას, რაც იშვიათია, ზოგადად, ენებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მორფოლოგიური რედუპლიკაცია უარყოფითის წარმოების ფორმებში; აღსანიშნავია, რომ დიალექტების მიხედვით დასტურდება სხვაობები. თაბასარანული ენის სამხრულ დიალექტში აწმყოს ფორმებში **ალ-** „ზე“ პრევერბთან გვხვდება უარყოფითობის გამომხატველი ფორმები, რომლებიც ჩვეულებრივ **-დარ** უარყოფითობის მარკერით კი არაა ნაწარმოები, არამედ უარყოფითობის ფორმები ნაწარმოებია **ალ-** „ზე“ ზმნისწინის განმეორებით, ოღონდ აქ დაკარგულია ზმნისწინის ფუნქცია და ეს ნიშანი გამოხატავს უარყოფითობას. ეს მოვლენა არ შეიძლება აიხსნას როგორც ფონოტაქტიკური შეზღუდვა ან **დარ-** უარყოფითობის

ნიშნის გაუჩინარება, რადგანაც აღნიშნულ შემთხვევებში ერთდოულად გვხვდება ერთსა და იმავე ზმნაში **ალ- „ზე“** ზმნისწინით ნაწარმოები ფორმები და ასევე **დარ-** უარყოფითობის ნიშნით ნაწარმოები ფორმები (**ალაწ-უზ** „მიყრა, დაყრა რაღაცაზე“, „დამატება“, „დაფარვა“ - უარყოფითის ფორმები: **ალ-ალ-აწ-უზ და ალ-დრ-აწ-უზ**).

ს ა მ ხ რ უ ლ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი :

ალ-ალ-აქუზ – უარყოფ. ფორმა < **ალ-აქუზ** „ცხება, წასმა“

ულ-ულ-უზუზ – უარყოფ. ფორმა < **ულ-უზუზ** „გადასხმა ზემოდან რაღაცისა“

ულ-ულ-ურშუზ – უარყოფ. ფორმა < **ულ-ურშუზ** „მოთავსება რაღაცაზე“

ილ-ილ-იტუზ – უარყოფ. ფორმა < **ილ-იტუზ** „გადახვევა, შეხვევა“

ალ- „ზე“ ზმნისწინის შემცველი ზმნების უარყოფითობის ფორმები ჩრდილოურ დიალექტში იწარმოება მხოლოდ **დარ-** უარყოფითობის სუფიქსით:

ელეპ-უზ „დაჯდომა რაღაცაზე“ – უარყოფითობის ფორმა - **ელ-დერ-ეპ-უზ** „არ დაჯდომა რაღაცაზე“;

ულ-უგკ-უზ „ჩაცმა რაღაცაზე“ – უარყოფითობის ფორმა - **ულ-დურ-უგკ-უზ** „არჩაცმა რაღაცაზე“.

მოხსენებაში გაანალიზებულია მორფოლოგიური ფუნქციის მქონე რედუპლიკაციის სხვა შემთხვევაც (**იზუ-ხ ხ-აზუ-ხ** „მე მაქვს“, სიტყვ. „ჩემთან თან არის თან“). მოცემულია მცდელობა, აიხსნას მორფოლოგიური ფუნქციის მქონე რედუპლიკაციის გამომწვევი მიზეზები თაბასარანულ ენაში.

ა მ ი რ ა ნ ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი

უდური – უდები, უდინური – უდინები, უდიური – უდიები ტერმინთა შესახებ

კავკასიის მრავალფეროვან ეთნოლინგვისტურ რუკაზე დღეისათვის მცირე, მაგრამ ისტორიულად მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უდიებსა და უდიურ ენას უკავია. უდიები საქართველოში უკვე საუკუნეა რაც მოსახლეობენ. უდიური ენის სწავლების დაახლო-

ეზით ნახევარსაუკუნოვანი ტრადიცია არსებობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიუხედავად ამისა, უდიებისა და უდიური ენის აღსანიშნავად კვლავაც გამოიყენება უმართებულო ფორმები.

უდიურ ენასთან დაკავშირებულ ტერმინებს ევგ. ჯეირანიშვილმა მიაქცია ყურადღება. მეცნიერის მიერ 1967 წელს თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის XI სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ იქნა მოხსენება „სწორია თუ არა ტერმინები – „წახურული ენა“, „რუთულური ენა“, უდიური ენა“?. იმავე წელს ავტორის სტატია „უდიური თუ უდიური“ დაიბეჭდა აკაკი შანიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში „ორიონი“. ოთხი წლის შემდეგ, 1971 წელს გამოცემული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს „უდიური ენა“ შესავალში მეცნიერი კიდევ ერთხელ იმეორებს თავის მოსაზრებას ამ ტერმინთა შესახებ. ჩანს, საკითხი აქტუალური იყო.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი **უდიური** იყო დამკვიდრებული. ასეთი ფორმა გვხვდება თვითონ ევგ. ჯეირანიშვილის ადრეულ შრომებში. მოგვიანებით მეცნიერმა გამიჯნა მართებული და უმართებულო ფორმები. ევგ. ჯეირანიშვილი აღნიშნავს, რომ **უდი** სატომო სახელია. ბოლოკიდური ფუძისეული -ი ხმოვანი მახვილიანია, ფორმათა ცვლის დროს არ იკვეცება (უდი-ნ-ენ (ერგ.), უდი-ნ-ახ (მიც)...; უდი-უხ „უდიები“, უდი-ალ „უდიც“, უდი-ნუთ „უდის გარემე“). აქედან გამომდინარე, *უდიური* ფორმა არასწორია.

არასწორია უდი ხალხის აღსანიშნავად ტერმინი **უდები**-ც. ბოლოს ამ ტერმინს ვხვდებით ევროპის საბჭოს ეგიდით გამოცემულ ბროშურაში „უდი უმცირესობის კულტურული მარშრუტი საქართველოში“ (2017 წ.). უნდა აღინიშნოს, რომ იმავე ბროშურაში მოცემულია ტექსტის ინგლისური თარგმანი, სადაც უდიების აღსანიშნავად **Udis** ფორმა გვაქვს (ისევე როგორც უდიური ენის აღსანიშნავად გვაქვს **Udi language**). თუ ბოლოკიდური -ი არ არის ფუძის კუთვნილება, მაშინ რატომ გვაქვს ინგლისურ ფორმაში. *Udi* უდიური ენის საერთაშორისო სახელწოდებაა, სწორედ ამ სახით (სრული, უკვეცილი) არის წარმოდგენილი სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ენათა სახელწოდებებისათვის შექმნილ სისტემაში (ISO 639-3). ტრადიციის გამო თუ ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე (-ი ხმოვანფუძიანი სახელები საერთოდ არ არის დამახასიათებელი ქართულისთვის; აგრეთვე ფუძეხმოვიანი სახელთა კვეცა VC სტრუქტურის აფიქსური მორფემის დართვისას) ასეთი უმართებულო ფორმა ზოგჯერ შეიძლება მოვისმინოთ სამეცნიერო წრეშიც.

ტერმინი **უდინური** ქართულში რუსულიდან შემოსულად ითვლება (ეგვ. ჯეირანიშვილი). ცხადია, ეს ტერმინი, ისევე როგორც **უდინები** არასწორია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცხოვრები უდიების დიდი ნაწილი სწორედ ამ ტერმინებს იყენებს საკუთარი თავისა და საკუთარი ენის აღსანიშნავად. ამ ტერმინთა დამკვიდრებას უდიებში რუსულის გავლენის გარდა, შეიძლება ხელი იმანაც შეუწყოს, რომ თავად უდიები მშობლიურ ენას **უდინ მუზ**-ს (ზედმიწ. „უდის ენა“, ნათ. ბრ.) უწოდებენ. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -ნ დროთა განმავლობაში, შესაძლებელია, ფუძის კუთვნილება იქნა აღქმული.

სატომო სახელის უკვეცელობა მრ. რიცხვში დაცულია ძველბერძნულ და სომხურ წყაროებშიც – **οὐν-οι, ունի-ք**. ამრიგად, რადგან **უდი** ხმოვანფუძიანი, უკვეცელი სახელია მისგან ნაწარმოები ტერმინული მნიშვნელობის ზედსართავი სახელი ქართულად უნდა იწარმოებოდეს ასე: **უდიური** (ეგვ. ჯეირანიშვილი). შესაბამისად, **უდიები** არის ერთადერთი სწორი ფორმა უდი ხალხის აღსანიშნავად, ისევე როგორც ტერმინი **უდიურია** მართებული ამ ხალხის ენის აღსანიშნავად.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა მ ე

რთულფუძიან რიგობით სახელთა მართლწერისათვის

ქართულში რიგობით რიცხვით სახელთა მართლწერის საკითხები დადგენილი და მოწესრიგებულია, თუმცა ზოგი შემთხვევა კვლავ მოითხოვს შესაბამის ნორმათა დადგენასა და სისტემატიზაციას. ეს განსაკუთრებით ეხება სამ- და მეტკომპონენტის რიგობით რიცხვით სახელთა დაწერილობას.

აღსანიშნავია, რომ მრავალწევრიანი რიცხვითი სახელები უფრო ხშირად გამოიყენება რაოდენობითის ფორმით, ნაკლები სიხშირით დასტურდება მათი რიგობითობა. ამიტომაც მკაფიოდ არ ჩანს მათი მართლწერის ტრადიცია. სირთულე იჩენს თავს რიგობითობის **მე-** თავსართის გამოყენებისას. ათასეულებთან ერთად ერთეულების დაწერილობის საკითხი ნორმირებულია – „ასისა და ათასის შემდეგ

მე- ისევ ერთეულსა და ათერთეულს ახლავს და იწერება ასი და ათასი ცალკე: ხუთი ათას სამას ორმოცდამეშვიდე“... (ვ. თოფურია).

დაწერილობის თვალსაზრისით სიჭრელეა ისეთ რიგობით რიცხვით სახელებთან, რომელთა შემადგენელი ნაწილები ათასეულის შემცველია. მაგალითად: 150000, 190 000, 735 000... როგორ უნდა იწარმოოს აღნიშნული ფორმები – **მეასორმოცდაათასე, მეასოთხმოცდაათასე** თუ **ას ორმოცდამეათათასე, ას ოთხმოცდამეათათასე**? ვფიქრობთ, ასეთ ფორმებში უნდა გატარდეს ის თანმიმდევრული წესი, რომელიც შემუშავებულია ზოგადად რთულფუძიან რიცხვით სახელთა მართლწერისას – რიგობითობის მაწარმოებელი **მე-** დაერთვის დასახელებული ტიპის რიცხვითი სახელების ბოლო კომპონენტებს: **ას ორმოცდამეათათასე, ას ოთხმოცდამეათათასე, სამას ოთხმოცდამეათათასე...** ცალკე აღებულ **ათი ათასს, ოცი ათასს** და მსგავს რიცხვით სახელებს რიგობითის ფორმები ასე ეწარმოება: **მეათათასე, მეოციათასე.** ე.ი., რიგობითის მაწარმოებელი **-ე** დაერთვის ფუძის ბოლოს. აქ, ბუნებრივია, დადგება სხვა საკითხიც – ერთად დაიწერება აღნიშნული ტიპის ფორმები თუ ცალ-ცალკე: **ასორმოცდამეათათასე** თუ **ას ორმოცდამეათათასე, სამასოთხმოცდამეათათასე** თუ **სამას ოთხმოცდამეათათასე.** დადგენილია, რომ **და** კავშირით ნაწარმოები სიტყვები ერთად უნდა დაიწეროს (ას ოცდახუთი, შვიდას ორმოცდასამი...). დასახელებულ შემთხვევებშიც ბოლო რთული რიცხვითი სახელი ერთად დაიწერება: **ას ორმოცდამეათათასე, ას ოთხმოცდამეათათასე, სამას ოთხმოცდამეათათასე...** მათ აერთიანებთ არამხოლოდ **და** კავშირი, არამედ **მე-** მაწარმოებელიც. თუ რიგობითი რიცხვითი სახელი ორწევრიანია, მაშინ ის ერთად დაიწერება: მეცხრამეტე, სამოცდამეთხუთმეტე, შვიდასმეცხრამეტე, ცხრაასსამოცდამეთვრამეტე... მართალია, ყველა დასახელებული რიცხვითი სახელი, ორკომპონენტია და სამ- და მეტწევრიანიც, ერთ სახელად მოიაზრება, მაგრამ ორზე მეტი წევრის თავმოყრის გამო ძალიან იტვირთება და ერთ სიტყვად მისი დაწერა ვერ მოხერხდება. ქართული ენისათვის ეს არცაა ბუნებრივი სხვა მეტყველების ნაწილთა დაწერილობისასაც. ორწევრიანი რიცხვითი სახელები კი ამის საშუალებას იძლევა. ამგვარი მიდგომა უფრო გაამარტივებს და ერთ ყალიბში მოაქცევს რიგობით რიცხვით სახელთა მართლწერის საკითხს.

რთულ რიცხვით სახელთა შემადგენელ ნაწილად დასტურდება **მილიონი, მილიარდი...** ტიპის ფორმებიც. რიგობითის სახით მათი წარმოდგენა აქაც უჩვეულო ჩანს, რაკი ისინი ძალიან იშვიათი

გამოყენებისაა. მაგალითად, **ექვსი მილიონი, სამი მილიარდი...** რიგობითის ფორმით აქ განსხვავებული, გამონაკლესი შემთხვევა გვექნება -**მე-ე** კონფიქსს დაირთავს როგორც პირველი კომპონენტი, ასევე მეორეც: **მეექვსე მემილიონე, მესამე მემილიარდე...** ამას იწვევს **მილიონი, მილიარდი** რიცხვითი სახელების (სხვა ფორმებთან შედარებით) მეტი თავისთავადობა. მართალია, აქ ორმაგი წარმოება იჩენს თავს (რადგან რიცხვითი სახელის ორივე ნაწილს რიგობითის მაწარმოებელი **მე-ე** დაერთვის), მაგრამ, ამავდროულად, ქართულისათვის არაბუნებრივ ფორმას მივიღებთ ასეთ შემთხვევებში მაწარმოებლის რომელიმე ერთ კომპონენტთან დასმა – **ექვსი მემილიონე, მეექვსე მილიონე.**

შ ა ლ ვ ა გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა

ტოპონიმ თბილისის ისტორიისა და წარმომავლობისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, საქართველოს დედაქალაქის სახელწოდება ზედსართავ სახელ **ტფილ-თბილ**-ს უკავშირდება. ამ ვერსიასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რამდენად შეიძლება ტფილის-ი თბილისი ზედსართავიდან მიღებულიყო ტოპოფორმანტ -ისი-ს საშუალებით, რომელიც, როგორც წესი, არსებით სახელებს ერთვის? მაგ.: ძვ.ქართ. მანგალ-ი – მანგლისი, ნიჩაბ-ი – ნიჩბისი, შინდ-ი – შინდისი და ა.შ.

დიდი ხნის წინ გამოთქმული მოსაზრება, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი ქალაქის სახელწოდება ქართველთა წინაპრების სატომო სახელ თუბალს უკავშირდება, სპეციალურ ლიტერატურაში არ იქნა გაზიარებული.

მოხსენებაში საკითხის დასმის წესით წამოყენებულია ვერსია, რომ ოიკონიმი თბილისი საკუთარი სახელისგანაა მიღებული. გამართლებული უნდა იყოს აკად. ს. ჯანაშიას თვალსაზრისი, რომელიც ეთნონიმ იბერს უცხოენოვან წყაროებში დამოწმებულ თუბალ, თობელ, თაბალ, ტიბარენ ეთნიკურ სახელებთან კავშირში განიხილავდა.

გასაანალიზებელ ტოპონიმთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იქცევს მჭედლობის მფარველი ღვთაების სახელის თობელის პოვნისებრი მესხეთსა და ქიზიყში .

სემიტური ენების, მათ შორის ბიბლიით დადასტურებულ ეთნონიმებს შორის (ძველი ებრაული თუბალ, თობელ, აქადური თაბალ) ოიკონიმ თბილისისთვის უფრო მისაღები აქადური ფორმა **თაბალ** ჩანს, რომელსაც მელითონე ეთნოსის ყოფაში ძველთაგანვე მჭედლობის ღვთაების სახელი უნდა ყოფილიყო, რაც საქართველოს ზიგიერთ მხარეში დღესაც არის დაცული. ასეთი დაშვების შემთხვევაში ძველი იბერიის მელითონეობის მფარველი ღვთაების ციხე-ქალაქი იქნებოდა ქალაქი თბილისი, რომლის ორმარცვლიან ამოსავალ ფუძეში კუმშვას აქვს ადგილი, როგორც ამას ზემომოყვანილ ტოპონიმებშიც ვხედავთ.

ამგვარად ჩვენი ქვეყნის მთავარ ქალაქის სახელწოდებაში სემიტური ენობრივი გადმოცემით დაბრუნებული ქართული ეთნონიმი იბერი არის საგულგებელი. ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე მჭედლობის სხვა ქართული ღვთაების ამირანის შემთხვევაშიც, რომელიც ეთნონიმ არამიდან (შდრ.არამ-ხუტუ) არის სემიტური ენების საფუძველზე გაფორმებული.

ქართველ ტომთა განსახლების წინააზიურ არეალშიც იძებნება მაგალითი იმისა, როდესაც ქალაქი და მთლიანად მხარე ერთი დამავე ეთნონიმით აღინიშნება. მაგ. ქალაქი მაზაკა, რომელიც სატომო სახელი მესხია (შდრ.ბიბლიური მეშეხ) და მესხთა საცხოვრისი.

თბილისის იბერთან დაკავშირების თვალსაზრისით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ქართლის ძველი დედაქალაქის სახელწოდება მცხეთა ეთნონიმ მესხიდანაა მიღებული.

ამგვარად, მოსენებაში საკითხის დასმის წესით წარმოდგენილი ვერსიის თანახმად, ძველი იბერიის ციხე-ქალაქის და შემდეგ დედაქალაქის სახელწოდება, ისევე როგორც მჭედლობის მფარველის ღვთაების სახელი, ეთნონიმ იბერს უკავშირდება. იბერისგან მიღებული უნდა იყოს ასევე გეოგრაფიული სახელი იმერეთიც.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

ისტორიულ ერთეუმიან ზმნათა ფორმაწაროების თავისებურებათა შესახებ

ძველი ქართულის ერთეუმიანმა ზმნებმა საინტერესო ფორმობრივი ცვლილებები განიცადეს. მათმა ძირითადმა ნაწილმა -ავ თემის ნიშანი დაირთეს (თელ-ავ-ს, კეც-ავ-ს, ლეს-ავ-ს, რეკ-ავ-ს, ჩეხ-ავ-ს და სხვა) და ორთეუმიანები გახდნენ (შეუერთდნენ -ავ თემისნიშნიანთა საკმაოდ დიდ ჯგუფს: ბარ-ავ-ს, მალ-ავ-ს, ხატ-ავ-ს და სხვა).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შესაბამისად, -ავ და-ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითში შენარჩუნებული უნდა იქნეს თემის ნიშნები (დაუმალ-ავ-ს, დაუდგ-ამ-ს... და არა დაუმალ-ია, დაუდგ-ია...)... წესით ეს ნორმა უნდა გატარდეს იმ ისტორიულ ერთეუმიან ზმნებშიც, რომლებიც -ავ თემისნიშნიანები გახდნენ; თუმცა „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ ასე არ არის - უმეტეს შემთხვევაში გვერდი აქვს ავლილი I თურმეობითის ფორმათა ჩვენებას... ამის მიზეზი ჩანს ის პრობლემები, რაც ზოგადად არის დაკავშირებული -ავ და-ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის ფორმათა წარმოებასთან (ამის თაობაზე რამდენჯერმე ვისაუბრეთ)... ისტორიულ ერთეუმიან ზმნათა ფორმაწაროების თავისებურებათა გათვალისწინება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ -ავ და-ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის ფორმათა მართლწერის წესები უნდა გადაიხედოს, კერძოდ, -ია დაბოლოებიან ფორმებს აკრძალვა უნდა მოეხსნას.

ქ ე თ ე ვ ა ნ და თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

სახელის ფუძის საკითხისათვის ქართულში

სახელის ფუძე ტრადიციულად განიმარტება, როგორც სიტყვის ნაწილი, რომელთანაც დაკავშირებულია მისი ლექსიკური მნიშვნელობა. აგებულების თვალსაზრისით კი ფუძე არის სახელის ის ნაწილი, რომელსაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის. შესაბამისად, ცნობილია ფუძის მონახვის წესი: სახელის ფუძე რომ მოვნახოთ, სა-

ხელი უნდა ჩავსვათ მოთხრობით ბრუნვაში, ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი და რაც დარჩება, ის ფუძეა.

ბრუნვის ნიშანი რომ ფლექსიური მორფემაა და ფუძეში არ შედის, ეს საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისია, რაც შეეხება რიცხვის კატეგორიას და მის ნიშანს, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, რომლებიც შეიძლება ორ სხვადასხვა პოზიციად ჩამოვაყალიბოთ:

- სახელის რიცხვი არის დერივაციული კატეგორია. რიცხვის ნიშანი შედის ფუძეში და ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფუძეები: კაც-ს – ფუძე – კაც; კაც-ებ-ს – ფუძე – კაცებ (ა.შანიძე, არნ.ჩიქოვავა, ლ.კვაჭაძე, ა. არაბული...).
- სახელის რიცხვი არის ფლექსიური კატეგორია. რიცხვის ნიშანი არ შედის ფუძეში; მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფუძეები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან: კაც-ს – ფუძე – კაც; კაც-ებ-ს – ფუძე – კაც (თ.უთურგაიძე).

ჩვენ ვიზიარებთ მეორე თვალსაზრისს. თუ მრავლობითი რიცხვის ნიშანს ფუძის მორფემად მივიჩნევთ, მრავლობითი რიცხვის ფუძე განსხვავებული იქნება მხოლოდითის ფუძისაგან, როგორც ეს ა. შანიძეს, არნ. ჩიქოვავას, ა. არაბულსა და სხვებს მიაჩნიათ. ასეთ შემთხვევაში ყველა ხმოვანფუძიანი სახელი მრავლობითში თანხმოდანაფუძიანია და უკუმშველი: დედებ-ი, სარკეებ-ი, წყაროებ-ი... სიტყვათა ამგვარი ანალიზისას იკარგება ფუძეთა შორის სხვაობა: ამ სამი სახელის ფუძე განსხვავებულია ფონეტიკური თვალსაზრისით: დედა, სარკე – ხმოვანფუძიანი კვეცადი ფუძეებია, წყარო – ხმოვანფუძიანი უკვეცელი.

ა. შანიძის თვალსაზრისით, ხმოვანფუძიანი სახელები მხოლოდით რიცხვში ბრუნების II ან III ტიპს მიეკუთვნებიან, ებიან მრავლობით რიცხვში კი – I ტიპს. აქვე ჩნდება კითხვა: თუ ებიან მრავლობითში დასმული სახელი ბრუნების I ტიპს განეკუთვნება, ბრუნების რომელი ტიპია ნართანიანი მრავლობითი? მაშინ ნართანიანი მრავლობითისთვის ბრუნების ცალკე ტიპი უნდა შემოვიღოთ, რადგან იგი არც ერთი ტიპის ბრუნებას არ მიჰყვება. ვფიქრობთ, ამგვარი მიდგომა – მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის პარადიგმის ცალ-ცალკე განხილვა – გაუმართლებელია. სახელის ბრუნება ერთ მთლიან სისტემად უნდა იყოს აღწერილი მხოლოდითსა და ორივე მრავლობითში. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თუ რი-

ცხვის ნიშანს დერივაციულ მორფემად მივიჩნევთ, მისი განხილვა ფლექსიურ (ბრუნების) სისტემაში საერთოდ გაუმართლებელია.

ჩვენი აზრით, სახელში მხოლოებითი და მრავლობითი რიცხვის ფუძეები არ უნდა გაიმიჯნოს. სახელს აქვს ერთი ფუძე, რომელიც საერთოა მხოლოებითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებისათვის. მრავლობით რიცხვში სახელს ბრუნვის ნიშნებთან ერთად რიცხვის ნიშანიც დაერთვის. სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმათა ანალიზისას უნდა გამოვყოთ სახელის ფუძე და არა მრავლობითი რიცხვის ფუძე. ამიტომ სახელის ფუძის მოძებნის წესში უნდა შევიტანოთ ცვლილება და ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ფუძის მოძებნისას უნდა ავიღოთ მხოლოებითი რიცხვის მიცემითი (ან მოთხრობითი) ბრუნვის ფორმა. წესი ამგვარ სახეს მიიღებს:

სახელის ფუძე რომ ვიპოვოთ, სახელი უნდა ჩავსვათ მხოლობითი რიცხვის მიცემით (ან მოთხრობით) ბრუნვაში, ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი და რაც დარჩება, ის არის ფუძე.

კაცებ-ი: კაც-ს – ფუძე – კაც

დედებ-ი: დედა-ს – ფუძე – დედა

წყაროებ-ი: წყარო-ს – ფუძე – წყარო

ფუძის განმარტება კი ასეთ სახეს მიიღებს: ფუძე არის სახელის ის ნაწილი, რომელსაც დაერთვის ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

მე ნაცვალსახელის პარადიგმისათვის თანამედროვე ქართულში

ცნობილია, რომ მე ნაცვალსახელი ბრუნვათა მიხედვით არ იცვლება – იგი ასრულებს როგორც სახელობითის (მე, ბავშვი, ვწერ), ისე მოთხრობითისა (მე, ბავშვმა, დავწერე) და მიცემითის (მე, ბავშვს, დამიწერია) ფუნქციებს, ხოლო ნათესაობითში მას ჩაენაცვლება ჩემ ფუძე – აუცილებლად თანდებულის (შერწყმულის ან ცალკე მდგომის) თანხლებით (ჩემთვის, ჩემგან, ჩემკენ; ჩემ გამო, ჩემ მიერ, ჩემ შესახებ...), შესაბამისად, მე ნაცვალსახელის ტრადიციული პარადიგმა ასეთია:

| | |
|--------|---------------|
| სახ. | მე |
| მოთხრ. | მე |
| მიც. | მე |
| ნათ. | ჩემ (+ თანდ.) |
| მოქმ. | – |
| ვით. | – |

იგივე **ჩემ** ფუძე ჩაენაცვლება **მე** ნაცვალსახელს თანდებულებიან მიცემითსა (ჩემზე, ჩემში, ჩემთან, ჩემსავით) თუ მოქმედებით (ჩემით) და ვითარებით (ჩემამდე) ბრუნვებში, რაც, ვფიქრობთ, პარადიგმაშიც უნდა აისახოს:

| | |
|--------|-------------------|
| სახ. | მე |
| მოთხრ. | მე |
| მიც. | მე, ჩემ (+ თანდ.) |
| ნათ. | ჩემ (+ თანდ.) |
| მოქმ. | ჩემ-ით |
| ვით. | ჩემ (+ თანდ.) |

მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე

კორპუსული მუშაობა კავკასიურ ენებზე

დღეს ენათა დოკუმენტირება და კვლევა ტექნოლოგიათა სწრაფი განვითარების ხანაში სხვა მოთხოვნებს უყენებს მეცნიერს.

ზოგიერთ ჩრდილოკავკასიურ ენაზე პირველი ჩანაწერები საუკუნეებს ითვლის, თუმცა 21-ე საუკუნეში ენის დოკუმენტირება და მასალის ტექნოლოგიზება კორპუსის სახით ახალი და განსავითარებელი მიმართულებაა.

განვიხილავთ დღეს არსებულ კორპუსებს, რომლებიც კავკასიური ენების მასალას მოიცავს, დავახასიათებთ კორპუსის ტიპებსა და მათ შესაძლებლობებს, ფუნქციებს.

საქმე ეხება იმ კორპუსულ მუშაობას, რომელიც მიმდინარეობს რამდენიმე იბერიულ-კავკასიურ ენაზე რუსეთში, გერმანიაში, ფინეთში, ინგლისში...

დალესტნური ენებიდან ლეზბიური ენისათვის კორპუსის სა-
მუშაო ვერსია ხელმისაწვდომია 2011 წლიდან. იმ დროისათვის კორ-
პუსი შეიცავდა 800 000 სიტყვას, დღესდღეობით კი მასალა გაცილე-
ბით მდიდარია და მორფოლოგიური ანოტირებაც იხვეწება.

ხელმისაწვდომია ასევე ბალტოსლავის ორი კორპუსი: აფხა-
ზურისა (2010052 სიტყვა) და ხუნძურისათვის (2 000 693 სიტყვა).
ამავე კორპუსებისათვის შექმნილია კირილიცადან ლათინურ ტრან-
სკრიპციაზე ავტომატურად გადამყვანი აპლიკაცია.

აფხაზური ენის ეროვნულ კორპუსს ამზადებს გოეთეს სახე-
ლობის ფრანკურტის უნივერსიტეტი ორ პარტნიორთან ერთად: სა-
მოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების
ცენტრი და ორგანიზაცია „აფხაზეთის საქმიანი ქალები“. პროექტი
2015 წელს დაიწყო და ჯერ მომხმარებლისათვის სრულად ხელმი-
საწვდომი არ არის.

სპეციფიკური კორპუსებიდან აღსანიშნავია ჰელსინკის უნი-
ვერსიტეტის პროექტი, რომელიც ბიბლიის ტექსტების პარალელურ
კორპუსებს აერთიანებს. პროექტში შესულია მარკოზის სახარება
ლაკურად (12894 სიტყვა), ხუნძურად (13578 სიტყვა) და თაბასარა-
ნულად (12378 სიტყვა).

მოხსენებაში წარმოვადგენთ ამ და სხვა კორპუსთა კრიტიკულ
ანალიზსა და მათი გამოყენების პერსპექტივას ქართველი კავკასიო-
ლოგების მიერ.

დ ი ა ნ ა კ ა კ ა შ ვ ი ლ ი

ლექსემების ხ ე ლ ი ს ა და თ ა ვ ი ს შემცველი ფრაზეოლოგიზმები და კომპოზიტები ქართულსა და წოვათუშურ ენებში

როგორც ქართული, ისე წოვათუშური ენა ფრაზეოლოგიური
ერთეულების ფორმირებისას ხშირად მიმართავს სომატურ ლექსე-
მებს. ყველაზე პროდუქტიულ ერთეულებს წარმოადგენენ **გული**,
თავი, **ხელი**, **თვალი** და **ფეხი**. საანალიზო მასალად გამოვიყენეთ
წოვათუშურ-ქართულ-რუსულ (ქადაგიძე 1984) და წოვათუშურ-
ქართულ-რუსულ-ინგლისურ ლექსიკონთა (შემდგ. ა. ბერთლანი და

სხვები, 2013) მონაცემები. მოხსენებაში მოცემული იქნება ხელისა და თავის შემცველი კომპოზიციებისა და ფრაზეოლოგიური გამოთქმების სტრუქტურულ – სემანტიკური ანალიზი.

აღნიშნული ფრაზეოლოგიზმები შინაარსობრივად მრავალფეროვანია:

ქოდ-არჟ-დ-არ, ქოდ-ასტარ – გულუხვობა (ზედმიწ. ხელის გაშლა, ხელის გახსნა); **ქოლატ-დ-არ** – დახმარება (ზედმიწ. ხელისშემველება); **ქოდ-ერწ-დ-არ** – სამაგიეროს გადახდა (ზედმიწ. ხელისშებრუნება); **ქოჰაჰყ-დ-არ** – ძუნწობა (ზედმიწ. ხელის მოჭერა); **ქოდ-ალარ** – დახმარება, (ზედმიწ. ხელის მიცემა); **ქორთობ-ავ-ბ-არ** – დაბნევა (ზედმიწ. თავის დაკარგვა); **ქორთოთიტარ** – შერცხვენა (ზედმიწ. თავისმოჭრა); **ქორთოქორბაყარ** – თავის ხელში აყვანა; **ქორთიხესტარ** – მოფერება (ზედმიწ. თავზე შემოვლება); **ქორთიხდ-ალარ** – გათავხედება (ზედმიწ. – თავზე ასვლა);

კომპოზიციები:

ქოდაცუ – ხელმოკლე, ღარიბი; **ქოჯაყ-დ-არ** – რამის დაწყება (ზედმიწ. ხელის წავლება, მოხვედრება); **ქოჰჰაღონ** – ძუნწი (ზედმიწ. ხელმაგარი, მტკიცე); **ქორთლაწბარ** – ზრუნვა (ზედმიწ. თავსა-იტკივებს) და სხვ.

ი გ ო რ კ ე კ ე ლ ი ა

ძიებანი სამეგრელოს ტოპონიმიიდან (ქოყო, ხანწკი)

ქოყო მუხურის ტერიტორიულ ერთეულში შემავალი სოფელია და მდებარეობს ლუგელას ხეობასა და მუხურს შუა. გ. ელიავა, გრ. შენგელია და გ. ფარულავა შენიშნავენ, რომ **ქოყო**/**ქოხო** უბნის, პატარა მთიანი სოფლის სახელია მუხურის სასოფლო საბჭოში, ხობისწყლის ზემო წელზე. იმოწმებენ რესპოდენტის შემდეგ ცნობასაც: ეს ადგილი ძველთაგანვე ცნობილია ნაყოფიერი, შავი და ადვილად დასამუშავებელი, ხილიან-ვაზიან-ვენახიანი ნიადაგით, რასაც დადიანები ამუშავებდნენ. ამიტომ ჰქვია **ქოყო**/**ქოხო** „ნაყოფიერი“.

ვიდრე მოიძებნება დამატებითი მასალა სოფლის სახელწოდების ასახსნელად, საგულისხმოდ გვეჩვენება მეგრული ენის სალექსიკონო მასალებში მოცემული ქოცო, ქოყო სიტყვის შემდეგი მნიშვნელობა: „გოდორყური, კოდის წყალი. გოდორყური თევზის საჭერი მოწყობილობაა, რასაც მიუდგამენ მდინარის ნაკადს. წყალი წნულიდან გადის და თევზი შიგ რჩება“.

ხანწკი სოფელია დიჭყეს ხეობაში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ნაფიჩხოვოს ტერიტორიულ ერთეულში. ამასთანავე, ხანწკი ეწოდება უბანს პირველ ჭოღაში, დიჭყეს მარცხენა მხარეს. აკონკრეტებენ: **ზემო ხანწკი**, **ქვემო ხანწკი**. სოფელი **ხანწკუს** ფორმით მოიხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ, 1620 წლით დათარიღებულ აღაპში.

ფიქრობენ, რომ ხანწკი ნიშნავს „ნიშანს, ჭდეს“. აქედანაა მიღებული **ხანწკუა** – საქონლის ყურის ჩაჭრა სანიშნად; ხის დაჭდევება → **ხანწკილი** „ნიშანდადებული, დაჭდევებული“ → **ხანწკი**. შდრ. **ხანწკა** „გამხდარი, სუსტი, ხორცგალეული“ (პ. ცხადაია).

არაა გამორიცხული, რომ სოფლის სახელწოდება დაკავშირებული იყოს **ხანწკა**, **ხანწკი** სიტყვის სხვა მნიშვნელობასთან. კერძოდ, „მწირი, ხრიოკი, ქვალორდიანი, მცირემოსავლიანი მიწა; წვრილ-წვრილი, ხვინჭკიანი, ფატარი, მსუბუქი და ადვილად დასამუშავებელი ნიადაგი“.

ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

ქართველურ-ბურუმული ახალი ლექსიკური დაკავშირებანი

წარმოვადგენთ ახალ ქართველურ-ბურუმულ ლექსიკურ დაკავშირებებს:

სქ *ალ- > ქართ. ალა (საბა) “მთავარის პირის ლიბრი”, (ქეგლ.) “ლაქები მთავარის ზედაპირზე” : ბურ. hal-ánc “მთვარე”;

სქ *ბაყუ- > ქართ. ბაყე-ი, (ხევს.) ბაყე კაცი “დონდლო, ზორზო-ხა კაცი”, [ზან. (მეგრ.)] ქართ. (იმერ.) ბოყე-ი “საჯდომი ძვალი”, სვან. (ლშხ., ჩლრ.) ბაყუ-ია-ჲ “მსუქანი, დიდი, ზორბა” : ბურ. bubóq, (ი.)bobóq, bubúq “ფეხის ხორცოვანი ნაწილი, დუნდული”;

სქ *ზაცხ- > სვან. ბაცხ, (ლშხ.) ბეცხ “დიდი ლხინი, რომელსაც იხდიდნენ მტერზე მნიშვნელოვანი გამარჯვების შემთხვევაში ან ვაჟიშვილის (გადაშენების საშიშროების წინაშე გვარის გამგრძელებლის) დაბადებისას; ქელები” : ბურ. basá “ლხინი რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გამო; გამასპინძლება, სანოვაგის გაცემა”;

სქ *გელ- (?) > *მგელ- > ქართ. მგელ-ი; ზან. (მეგრ.) გერ-ი, ნგერ-ი, (ლაზ.) მგერ-ი, მგუერ-ი “მგელი” : ბურ. gaál (19 საუკუნის ფორმა; მრ. რიცხვში gaál-ji), gaáljo (ბერგერით – ზიარი ფორმა მხოლოდ. და მრავლ. რიცხვებში), (ნ.) gaálgo “ველური ძაღლის სახეობა; (ი.) აფთარი”;

სქ *გოდოლ- > ქართ. გოდოლ-ი “მაღალი კოშკი (ზოგჯერ ზღუდე-გალავნით)”: ბურ. gódar “დიდი, სქელი კედელი (სოფლის, დასახლების ირგვლივ)”;

სქ. *გოდორ- > ქართ. გოდორ-ი “წნელისაგან (ტკეჩისაგან) დაწნული მაღალი, მოგრძო კალათი” : ბურ. gudúr “ხის დიდი ჯამი, სათავსი საჭმლის შესანახად”;

სქ *გოჯ- > ქართ. გოჯ-ი “სახსარი; მალა; კოჭი; მცენარის ღერო > სიგრძის ერთეული”; სვან. გრჯ, გოჯ, გრჯა “გოჯი” : ბურ. (იოშიკავა) gijá “პალო, სოგმანი, კილო” [მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის შდრ. ქართ. გოგ-ი (საბა) “თითის გარეგანი ნაწევარი” - (ქეგლ) “სახლის სახურავის დაქანებათა შესაყარის დასაყრდენი, ერთი ან ორი ბოძი ქუდით”, (ფშ.) იოგ-ი “ნაწილი თითისა; სახსარი” - (იმერ.) იგოგ-ი “იგივეა, რაც გოგი”];

სქ *გუნ > მეგრ. გუნ-აფ-ა “დამწიფება” : ბურ. du-γún- “დამწიფება”;

სქ *გუნ- > სვან. გუნ-ა-მ, გუნ-წ-მ, გუნ-წ “მური, ჭვარტლი” : ბურ. gu, მრ. -mij (ი. gu, მრ. -ij) “ყვითელი მონადები სახლის სვეტებზე, მტვერისა და მურის ნარევი”;

სქ *გურკ- > ქართ. გურკ-ა “კურკა” : ბურ. urkí “წიპწა”;

სქ *დირ-/დვრ > ქართ. დირ-ე-მ/დვრ-ე-მ (საბა) “სამირკველი ძელი”, (ქეგლ) “გათლილი ძელი, დადებული სახლის ნაწილის (კედელი, სვეტი...) სამირკვლად ან სარტყლად” : ბურ. dir “ღვიის გრძელი და სწორი ღერო (ლორიმერით: ძველად სახურავის კოჭებად იყენებდნენ)”;

სქ *დოგა-დოგა > ქართ. (ქიზიყ.) დოგა-დოგა “მონდომებით, გულდაგულ, მოწადინებით”, (გრიშაშვილი) “გულდაგულ, პირდაპირ, ერთმანეთთან მუშტის დარტყმით მისვლა; დაჟინებით აზეზარი

მოთხოვნა; სწრაფ-სწრაფად, ჩქარ-ჩქარა”, (ქეგლ) დოგა-დოგა დაადგება “დაჟინებით მოსთხოვს (რისამე მაშინვე შესრულებას...)” : ბურ. *dúke-dúke* “დიდი სიამოვნებით, ხალისით”, (ი.) *dúke* “დაუყოვნებლივ”, *dóoka-dóoka guchár* “ნელი, მიზანმიმართული, პატარა ნაბიჯებით სიარული”;

სქ *დულ- > ქართ. (თუმ.) დულ-უკ-ა-ე “ჯარაზე დაგრეხილი ძაფის გორგალი”, დულ-უკ-აჟ-ი “ზაწრის გორგალი” : ბურ. *dulu* “სქელი დაგრეხილი ზაგირი, დაგრეხილი თოკი (განსაკუთრებით ავგაროზისთვის)”;

სქ. *დუხ- > სვან. დუხ, დუხუ “ყოჩი, ერკემალი” : ბურ. *du* “ერთ წლამდე ციკანი”;

სქ *ტაშლ- > ქართ. ვაშლ-ი, ზან. (მეგრ.) უშქურ-ი, (ლაზ.) უშქურ-ი, უშქირ-ი..., სვან. უსიგუ/უსიკუ : ბურ. *báalt*, (ი.) *balt* “ვაშლი”;

სქ *ტერ- > ქართ. ი-ურ-ვ-ებ-ს “იმორჩილებს”, სვან. ა-ტრ-ე, ა-ტერ-ე, ა-ტერ-ე “აზღაგვებს (დანას, ნაჯახს...); წაახდენს, აზიანებს, აფუჭებს ნათესს; მუცელს (წა)უხდენს” : ბურ. -*uria*, (ი.) -*weria*, -*ura* “გამოყენება (სამუშაო იარაღის); დახარჯვა; დასაქმება, სწავლება, გაწვრთნა”;

სქ *თაკ- > თაკ-ილ-ი “უკადრისობა, შეუფერებლად, სამარცხვინოდ ცნობა” : ბურ. *thúki* “სირცხვილი, შერცხვენა” (*khoté duró étas thúki dilá* “ეს სამუშაო ჩემთვის დამამცირებელია”);

სქ *კაჭი-> ქართ. კაწ-რ-ავ-ს, სვან. ი-კანჭ-ტრ-წლ“იკაწრება”, ი-კანჭ-ტრ-ე “იკაწრავს” : ბურ. (ი.) *kaç* “ჩხაპნა, კაწრა”;

სქ *ლაი ლაი- > ქართ. ლაილაი “უაზრო, გაუთავებელი ლაპარაკი” : ბურ. *làai*, *làailai* “ხალისით ლაპარაკი, ლაქლაქი”;

სქ *ლაპ-ლაპ- > ქართ. ლაპლაპ-ი “რისამე ზედაპირის ბზინვა, ელვარება; ციმციმი”, სვან. (ჩლრ.) ლი-ლაპლაპ-ი “ტარტარი, ლაქლაქი” : ბურ. *lam*, *lálam*, *laláp*, (ი.) *lap*, *lap lap*, *laláp*, *lup lup* “ბრწყინვა, წვა, ნათება; ლამფის, ცეცხლის ანთება”;

სქ *ლასლას- > ქართ. ლასლას-ი : ბურ. *lasalás guchár*, *lálas* “ლასლასი”;

სქ *-ლე > შდრ. *გუა-ლე-> ქართ. გუა-ლე, სუ-ლე, (ხევს.) -ლე “ნაწილაკი, რომელიც მიმართვისას იხმარება”, სვან. გუა-ლ, გუა-ჰ, გუა “წადი, გასწი” : ბურ. *léei*, *léi*, *le* “ნაწილაკი, რომელიც მამაკაცისადმი მიმართვისას იხმარება”;

სქ *მანჭ- > ქართ. მანჭ-ვ-ა : ბურ. *manj-ns* “მახინჯი სახის მქონე”;

სქ *მარან- > ქართ. მარან-ი “ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი” : ბურ. mara, máray “საწყობი, საკუჭნაო”;

სქ *მონ-> ქართ. მონ-ა-ღ “მსახური” : ბურ. (ი.) moon “თემი”, moon-dari “სამეზობლო”;

(?) სქ *ნომ- > ქართ. ნომ-ო (საბა; ნ. ჩუბინ., დ. ჩუბინ.) “ფოთლიანი შტო” : ბურ. (ი.) noš “ნორჩი ხე, ხის შტო”;

სქ *სა- > სვ. სან-ულდ “ნიკაპი” : ბურ. -sán “ნიკაპი”;

სქ *ტახ- > ქართ. ტახ-ი (საბა) “ღორი მამალი”; სვან. ტახ-რა “მამალი ნადვი ან ფიჭვი; კავკასიური სოჭი” : ბურ. ta, (ი.) ta, tah “ლეოპარდი”, táqış “ლაქებიანი, ჭრელი (ცხოველი)” [მნიშვნელობათა და კავშირებისათვის შდრ.: ივ. *^herk^h- “ჭრელი, ლაქებიანი” > *^hork^h- “გოჭი; ღორი”; ასევე: ებრ. bārō/ūd “ლაქებიანი (ცხოველი)” : არაბ. bard “ლეოპარდი”];

სქ *ტოლ- > ქართ. ტოლ-ი : ბურ. (ი.) -ltúl-um/túl-um “მსგავსი”;

სქ *ფაუ- > ქართ. ფა-ენ-ი “სკიპტრა, სამეფო ჯოხი”, სვან. ფაუ, ფაუჟუ, ფაუ “ჯოხი” : ბურ. (ლორიმერი) p^hauwo, p^hayci, (ბერგერი) p^háyci “კვერთხი, ხელჯოხი”;

სქ *ფირქ- > სვან. ფირქ “ხის კასრი” : ბურ. p^hirkó, (ნ.) p^hírkuṭi “წყლის ავზი, წყლის თასი (მდიდართა სახლებში, ადრე ხისგან მზადდებოდა, ახლა თითბრისა და რკინისგან)”;

სქ *ფონ- > ქართ. ფონ-ი “მდინარეში გადასასვლელი ადგილი, სადაც წყალი თხელია და ნელი”; (ნ. ჩუბინ.) “გასავალი მდინარისა, სადაცა თხლად სდის, брод”; (დ. ჩუბინ.) “მოშვებული და დაგუბებული წყალი; თხელი ადგილი მდინარეში სადაც ფეხით გაივლი; пруд, запруженная вода, брод” : ბურ. p^hon (ლორიმერი) “ხარვეზი მორწყულ კვლებს შორის; არხით ერთმანეთისგან გამოყოფილი კვლები”, (ბერგერი) “დაბალი მიწაყრილი მინდორში წყლის დასაგუბებლად”;

სქ *ქაქ- > ქართ. (ქიზიყ.) ა-ქაქ-ვ-ა “აშლა, ცოტაოდნად ათხრა”, [ზან.] (ქართ.)ოქოქა “სახვნელი იარაღი, აჩაჩა” : ბურ. (ი.) k^haká “ხვნა ამის მომდევნო თესვის გარეშე”;

სქ *ღალ- > ქართ. ღალ-ა (ქსე) “ფეოდალური გამოსადები მარცვლეულით; ეწოდებოდა აგრეთვე მიწის საიჯარო გადასახადს; ზოგჯერ აღნიშნავდა სხვადასხვა სახის ნატურალურ საგლებო გადასახადს”; (ქეგლ) “გამოსავალი, ბარაქა (მიწისა, ჭირნახულისა და მისთ.); ნაწველი; წველის ბარაქიანობა და ცხიმიანობა; თაფლისათვის საჭირო ნექტარი, რასაც ფუტკარი იღებს ყვავილებიდან” :

ბურ. *yan* “ოქროს ღალა; ხორბლის ღალა; ღალა, გადასახადი საერთოდ”, *yalá* “მეზობლების მიერ ერთმანეთისთვის გაწეული დახმარება; მოდგამი”;

სქ *ყაყაჩ- > ქართ. (ინგ.) ყაყაჩო ღამეა “ნათელი, მთვარიანი ღამე” (შდრ. კაკაჩი (საბა) “ღამე, მთვარით განათებული”), სვან. (ჩლრ.) ყაყაჩ “მთვარის ძლიერი სინათლე” : ბურ. *yáqac-in* “ნაპერწკლები”;

სქ *ყიჷ- > ქართ. ყივ-ილ-ი, ზან. (მეგრ.) ცი-ონ-ი “ყივილი”, ცი-ან-ს “ყივის (მამალი)”, (ლაზ.) ო-ყი-უ “ყივილი”, ყი-აფ-ს “ყივის (მამალი)”... : ბურ. *qíw, qíw-an, (ი.) qíu* “ყვირილი”;

სქ -ხლ- > ქართ. სა-ხლ-ი; მეგრ.-ლაზ. ო-ხორ-ი : ბურ. *ha, ლოკ. hal-e* “სახლი”;

სქ *ხუნდ- > ქართ. ხუნდ-ი : ბურ. *yúyundíñ (<yút yundíñ, yot/yut “მუნჯი”)*, (ი.) *yondíñ, yundíñ* “მტრედის სახეობა”;

სქ *ჯოჯ- > ქართ. ა-ჯოჯ-ვა “ვაზის ასარვა” (?), (საბა) *ჯოჯ-ვა-ვენაჯის შტოს მოტეხა*, ზან. (მეგრ.) *ჯგუნჯგ-ი* “საყრდენი ვაზისათვის”, (ლაზ.) *მზგუჯ-ი* “პატარა ბოძი” : ბურ. *gugón* “ხეზე გაშვებული ვაზი”;

ლ ე ვ ა ნ კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი

ფარცხ- ძირთან დაკავშირებული ისტორიული ცვლილებანი ქართველურ ენებში

გეოგრაფიულ სახელთა **ფარცხ-** ძირით წარმოების ხშირი შემთხვევები გვაქვს ქართველურ ენებში. ტოპონიმიში ასახულია მისი ფონეტიკური მრავალფეროვანი სახეცვლილება, რაც სავსებით დასაშვებს ხდის ძირის საერთო-ქართველურ ქრონოლოგიურ დონეზე აღდგენის შესაძლებლობას.

ქართულში ეს ძირი ორი მნიშვნელობით დასტურდება: 1. „სასოფლო-სამეურნეო იარაღი ხნულის ბელტის დასაშლელად“ და 2. „წისქვილის ბორბლის ღერძის თავის დასადები ხე“ (ქეგლ). გეოგრაფიულ სახელებში მისი რეალიზაციის ნიმუშად შეიძლება დასა-

ხელდეს: **ფარცხ**-ის-ი (სოფელი და ციხე-სიმაგრე თეთრიწყაროს მნცპ.), **ფარცხ**-ა-ნა-ყან-ევ-ი (სოფელი წყალტუბოს მნცპ.) და სხვ. ამავე ძირის ფონეტიკურ სახესხვაობად მივიჩნევ **ზარცხ**-ან-ა (დასახლება ბათუმში) ფორმას, სადაც ანლაუტში ფ>ზ დისიმილაციური გამჟღერების პროცესს უჩენია თავი.

ქართული **ფარცხ**- ძირის კოლხური შესატყვისი ***ფორჩხ**- უნდა ყოფილიყო; მართლაც, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, დღევანდელი *ბორჩხის* (ართვინი, თურქეთის რესპუბლიკა) ისტორიული სახელწოდება სწორედ **ფორჩხ**-ა იყო. დისიმილაციური გამჟღერებით უნდა აიხსნას ლაზურში **ფორჩხ**->**ზორჩხ**- ისტორიულად განხორციელებული ცვლილება, რაც უცხო არაა კოლხურისათვის (შდრ. ქართ. **ფრჩხ**-ილ-ი : ლაზ. **ზუცხ**-ა, მეგრ. **ზირცხ**-ა „id“).

ჩვენი აზრით, იგივე ძირი შეინიშნება ტოპონიმში **ო-ფურჩხ**-ეთ-ი < ***ო-ფორჩხ**-ეთ-ი (რიონის ხეობა), სადაც **ო**>**უ** გადაბგერება ანლაუტურ **ფ**-ს უნდა გამოეწვია პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე, რომლის მსგავსი შემთხვევები სხვა დროსაც განხორციელებულა: **ფუთი** < ***ფოთი**, **ბული** < ***ბოლი**...

სვანურში გვხვდება **ფარცხ**- „ლასტის“ მნიშვნელობით (თო-ფურია-ქალდანი), მაგრამ გეოგრაფიულ სახელებში არ შეგვხვდრია.

გამოვლენილი ძირები საერთო-ქართველურ დონეზე ***ფარცხ**-ფორმის აღდგენის საშუალებას იძლევა და დასაშვებია ისიც, რომ **ფ/ზ** ბგერათმონაცვლეობა ანლაუტში იმჟამინდელი ცოცხალი ფონეტიკური პროცესი იყო, რომელიც დიფერენციაციის შემდგომ იმ ფორმით შემოგვრჩენია, როგორც იმ საუბნო (კილოური) მეტყველებას სჩვეოდა.

მოხსენებაში წარმოდგენილია აგრეთვე ამ საკითხის შესახებ სხვა ავტორთა შეხედულებანი და დამატებითი არგუმენტები, რომელნიც ჩვენი შეხედულების მხარდამჭერად გვესახება.

პასუხობს ზმნის ორთოგრაფიისათვის

მოხსენება შეეხება **უპასუხებს** ზმნის პარალელურად **პასუხობს** ფორმის დაშვების საკითხს.

ცნობილია, რომ ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში **პასუხობს** ფორმა აკრძალვითაა წარმოდგენილი – [პასუხობს მას კი არა] **უპასუხებს**, **პასუხს** აძლევს.

არნ. ჩიქობავა წერს: „...მოვლენის ახსნა – ესაა მთავარი, თუ გვინდა, რომ წესის დადგენა ობიექტურ საფუძველს ემყარებოდეს და არა პირადი გემოვნების მიხედვით ხდებოდეს“. რა თქმა უნდა, „მოვლენის ახსნის“ თვალსაზრისით მართებულია **უპასუხებს** ფორმა, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ქართულში **პასუხობს** ვარიანტმა ფაქტობრივად უკვე დაიმკვიდრა ადგილი ისეთ კონტექსტებში, როგორებიცაა: „დიდუბის რაიონის გამგეობა სახალხო დამცველის განცხადებას **პასუხობს**“ (ნორმის თანახმად, უნდა იყოს: **უპასუხებს**), „დევენილთა საკითხების შემსწავლელი კომისია დევნილების კითხვებს **პასუხობს**“ (უნდა იყოს: **უპასუხებს**), „პოპულარული ქართველი ბიჭი, რომელმაც აშშ-ში ჩოხით იქორწინა, კრიტიკოსებს **პასუხობს**“ (უნდა იყოს: **უპასუხებს**) და მრავალი სხვა.

ვფიქრობთ, თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში აკრძალვა უნდა მოეხსნას **პასუხობს** ფორმას და გვქონდეს: **უპასუხებს** // **პასუხობს**.

„აღვანთა ქვეყნის ისტორია“ და მისი ცნობები კავკასიის ალბანური დამწერლობის შესახებ¹

„აღვანთა ქვეყნის ისტორია“, რომლის ავტორობა ტრადიციულად მიეწერება მოვსეს კალანკატუაცის, შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ორი იწყება უძველესი დროიდან და მიყვანილია VIII საუკუნემდე, მესამე ნაწილში კი აღწერილია VIII-X საუკუნეების მოვლენები. სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება „აღვანთა ქვეყნის ისტორიის“ შედგენის დროისა და მისი ავტორის შესახებ. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, „აღვანთა ქვეყნის ისტორია“ X საუკუნის კომპილაციური ნაშრომია (ქ. პატკანიანი, ნ. აკინიანი, მ. აბელიანი, ჩ. დოვსეტი და სხვ.), ხოლო სხვა სპეციალისტები, იქიდან გამომდინარე, რომ VII საუკუნის ამბები ნაშრომში გადმოცემულია დაწვრილებით და თვითმხილველის მიერ აღწერილის შთაბეჭდილებას ტოვებს, ორი ავტორის შესახებ მოსაზრებას ემხრობიან (ტ. ტერ-გრიგორიანი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, კ. ტრევერი, მ. არტამონოვი, ზ. ბუნიათოვი, კ. ალიევი, ვ. არაქელიანი, ფ. მამედოვა და სხვ.). მკვლევართა უმეტესობა მოვსეს კალანკატუაცის VII საუკუნის ავტორად მიიჩნევს (ეგვ. ბორე, კ. შაჰნაზარიანი, მ. არტამონოვი, ტ. ტერ-გრიგორიანი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, კ. ტრევერი, კ. ალიევი, ზ. ბუნიათოვი, ვ. არაქელიანი, ფ. მამედოვა და სხვ.), ზოგი კი – X საუკუნის ავტორად (ქ. პატკანიანი, მ. აბელიანი და სხვ.). ზოგიერთი სპეციალისტი (ტ. ტერ-გრიგორიანი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ნ. აკინიანი, ზ. იამპოლსკი, კ. ტრევერი, ზ. ბუნიათოვი, ლ. დავლიანიძე-ტატიშვილი და სხვ.) X საუკუნეში მცხოვრებ ავტორად ან თანაავტორად მოვსეს დასხურანეცის ასახელებს („აღვანთა ქვეყნის ისტორიის“ ავტორია მხითარ გოშისა და ვანაკანის მიხედვით). ჩ. დოვსეტი კალანკატუაცის და დასხურანეცის ერთ და იმავე პირად მიიჩნევს, ხოლო, ზ. იამპოლსკის აზრით, VII საუკუნის ავტორია ვინმე ადრიანე, რომლის სახელიც „ისტორიის“ ფურცლებზე გვხვდება.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № YS-2016-45, „კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული ანალიზი“).

„ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი 1289 წლით თარიღდება. ამჟამად ცნობილი ყველა სხვა ხელნაწერი (XVII-XIX სს.) ამ ან კიდევ ერთი XVII საუკუნის ნუსხიდან მომდინარეობს.

„ალვანთა ქვეყნის ისტორია“ წარმოგვიდგენს მრავალ საყურადღებო ცნობას კავკასიის ალბანური დამწერლობისა და მწიგნობრობის შესახებ. სამწუხაროდ, თხზულებაში არ გვხვდება სანდო ცნობები კავკასიის ალბანური დამწერლობის შექმნის შესახებ, თუმცა აღსანიშნავია ერთი საგულისხმო ტექსტი, რომელიც არ დასტურდება სხვა სომხურ წყაროებში. იგი წარმოდგენილია პირველი ნაწილის XXVII-XXIX თავებში და მოგვითხრობს მამტოცის ალბანეთში მოღვაწეობასა და მისი მოწაფეების მარტვილობის შესახებ. ამ, სავარაუდოდ, აგიოგრაფიულ ტექსტში, რომელიც, ჩვენი აზრით, ალბანეთის ეკლესიის მიერ კანონიზირებული VII-VIII სს. მიჯნაზე მოღვაწე **ისრაელის** „ცხოვრებიდან“ უნდა იყოს ამოღებული, მამტოცი გვევლინება მხოლოდ რელიგიურ მოღვაწედ, არსად არ არის ნახსენები მისი ღვაწლი კავკასიის ალბანური დამწერლობის შექმნის საქმეში ან ამასთან დაკავშირებული სხვაგვარი მოღვაწეობა – სკოლების გახსნა, თარგმნა და ა. შ. (თუ არ ჩავთლით ერთ აშკარად ინტერპოლირებულ წინადადებას: „ერთმა ვინმემ, უწინ ვარდაპეტად მყოფმა, სულიწმიდის მადლით შექმნა სამი ხალხის სომეხთა, ალვანთა და ქართველთა დამწერლობა...“ (ნაწ. I, თავი XXVII)).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტექსტს დღემდე არ მიეცა სათანადო ყურადღება, ვფიქრობთ, რომ მასში წარმოდგენილი ცნობების გათვალისწინება მნიშვნელოვანია კავკასიის ალბანური დამწერლობის გენეზისის კვლევისას.

ენობრივი სიტუაცია თანამედროვე ლატვიაში

ლატვიის ენობრივ სიტუაციას განსაზღვრავს გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. ენობრივ სიტუაციაზე გავლენას ახდენს ეთნიკური შემადგენლობა, ისტორიული პირობები, კულტურული განვითარება, ნაციონალური ეკონომიკის განვითარების რეგიონალური სპეციფიკურობა და ასევე მიგრაციის პროცესები.

ლატვიის ნაციონალური და ენობრივი პოლიტიკა გართულებულია ზოგადი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, ეთნოდემოგრაფიული, ფსიქოლოგიური სიტუაციებით, რაც ენობრივ იერარქიულ ურთიერთობას კიდევ უფრო პრობლემატურს ქმნის. ბალტიის ქვეყნების და კერძოდ, ლატვიის ენობრივი სიტუაციის პროგრესული განვითარება არაერთხელ გამხდარა სოციოლინგვისტა მსჯელობის საგანი.

მიუხედავად იმისა, რომ ლატვიის საბჭოთა კონსტიტუციის 73-ე მუხლის მიხედვით, ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა იყო ლატვიური, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ფუნქციურად სახელმწიფო ენის სტატუსით რუსული სარგებლობდა. ლატვია რუსულის, როგორც დომინანტი ენის, გავლენას 200 წლის განმავლობაში განიცდიდა და ენობრივი სიტუაციაც დღევანდელი ვითარებისაგან რადიკალურად განსხვავებული იყო.

მეორე მსოფლიო ომამდე ლატვიელები ლატვიის მოსახლეობის 77 პროცენტს შეადგენდნენ, 1959 წელს მათი მაჩვენებელი 62 პროცენტამდე, 1979 წელს 54 პროცენტამდე, ხოლო 1989 წლისათვის მათი პროცენტული მაჩვენებელი 52-მდე შემცირდა. მაშინ როცა რუსებისა და სხვა ეთნიკური ჯგუფების რიცხვი, რომლებიც ასევე რუსულად მეტყველებდნენ, იზრდებოდა. თუ 1935 წელს ლატვიაში რუსების რაოდენობა მთელი მოსახლეობის 8,8 პროცენტს შეადგენდა, 1959 წლისათვის მათი რიცხვი 26, 6 პროცენტამდე, ხოლო 1989 წელს უკვე 34 პროცენტამდე გაიზარდა. ასევე იზრდებოდა 1935 წლიდან რუსულად მოლაპარაკე ბელორუსებისა და უკრაინელების რიცხვი. ბელორუსები 1935 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მთლიანი მოსახლეობის 1,4 პროცენტი იყო. 1989 წლისა-

თვის მათი რიცხვი 4,5 პროცენტამდე გაიზარდა. უკრაინელები, რომლებიც 1935 წელს მოსახლეობის 0,01 პროცენტს შედგენდნენ, 1989 წლისათვის 3,4 პროცენტი გახდა. კიდევ უფრო რთული მდგომარეობა იყო ურბანულ დასახლებებში, სადაც მოსახლეობის უმეტესობას რუსულენოვანი ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენდნენ.

საბჭოთა პერიოდის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ლატვიის მოსახლეობის 2 673 000-დან მხოლოდ 52 პროცენტი იყო ლატვიელი, 33 პროცენტი რუსი, დანარჩენი სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები. აქედან, ლატვიელების 95 პროცენტი მშობლიურ ენად ლატვიურს მიიჩნევდა, ხოლო 5 პროცენტი – რუსულს. 45 პროცენტი ლატვიელებისა მაღალ დონეზე ფლობდა რუსულს და მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. მაგ., 1970 წელს 47 პროცენტი ლატვიელებისა გამართულად მეტყველებდა რუსულად, 1979 წლისათვის უკვე – 61 პროცენტი. 1970 წელს რუსი მოსახლეობის მხოლოდ 18 პროცენტი, ხოლო 1989 წელს 21 პროცენტი ფლობდა ლატვიურს.

ამგვარი რთული ეთნიკური და ენობრივი ვითარების ფონზე 1989 წელს ლატვიამ მიიღო ენის კანონი, რომლითაც გადაიდგა პირველი ნაბიჯები ლატვიური ენის გამყარების საქმეში.

1991 წელს ლატვიამ აღიდგინა დამოუკიდებლობა. დღეს ლატვიური ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. იგი ასევე გახლავთ ევროკავშირის ერთ-ერთი ოფიციალური ენა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ამ ენის ეკონომიკური ღირებულება.

ლატვიის დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად დაიწყო მოსახლეობის შემცირება. თუმცა ლატვიელთა რიცხვი, პირიქით, იზრდებოდა.

1999 წელს პარლამენტმა მიიღო სახელმწიფო ენის კანონი, რომელიც არეგულირებს როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას, ასევე, სხვა ენათა გამოყენების საკითხსაც.

აღნიშნულმა საკანონმდებლო აქტებმა საშუალება მისცა ლატვიურს გამხდარიყო როგორც ოფიციალურად, ასევე ფუნქციურად ქვეყნის სახელმწიფო ენა. დღეს იგი სრულფასოვნად ფუნქციონირებს როგორც სახელმწიფო ენა ქვეყნის ცენტრალურ თუ ადგილობრივ ადმინისტრაციებში, განათლებასა თუ მედიაში.

დღეს ლატვიურ სკოლებში მოსწავლეთა 71, 6 პროცენტი პროცენტი სწავლობს, რუსულ ბილინგვურში კი - 27, 3 პროცენტი. მართალია, უკვე 1989 წლიდან ლატვიურის სწავლება შემოიღეს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მაგრამ მხოლოდ 1995-1998

წლებში მოხდა დიდი გარდატეხა. უმცირესობათა სკოლებში დაინერგა ცვლილებები, რომლის შედეგად დაწყებით ჯგუფებში 2 საგანი დაემატათ ლატვიურად, ხოლო საჯარო სკოლებში – 3 საგანი.

1992 წლიდან ლატვიაში ფუნქციონირებს 200-მდე რუსული, 6 პოლონური, 2 ებრაული, ერთი ლიტვური, ერთი ბელორუსული, ერთი ესტონური და ერთი უკრაინული სკოლა, თუმცა ამ სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობა (რუსული სკოლების გარდა) 1, 1 პროცენტს შეადგენს.

1999 წლიდან უმცირესობათა ბილინგვურ სკოლებში დაინერგა სხვადასხვა მოდელი სხვადასხვა ენობრივი პროპორციებით. 2004 წლიდან კი ამგვარ სკოლებში მოქმედებს ენობრივი პროპორცია 60:40. 2008 წლიდან ყველა ტიპის სკოლის დამამთავრებელი მოსწავლეები აბარებენ ერთიან გამოცდას ლატვიურში.

მიუხედავად იმისა, რომ რუსული ძალიან გავრცელებული ენაა დღესაც ლატვიაში, ლატვიურ სკოლებში იგი არაა სავალდებულო საგანი, განსხვავებით ინგლისურისაგან.

2012 წელს ლატვიაში ჩატარდა რეფერენდუმი რუსულისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების შესახებ, თუმცა ამ ინიციატივამ გამარჯვება ვერ მოიპოვა.

დღეს ლატვიაში ფუნქციონირებს 4-5 ლატვიური ტელეარხი, რამდენიმე რეგიონალური არხი, 5 საჯარო და რამდენიმე კერძო რადიო. თუ 1985 წელს ლატვიურად ითარგმნა 350-მდე წიგნი, 2017 წელს მათი რიცხვი 1300-მდეა.

ლატვიური უკვე სრულფასოვნად ფუნქციონირებს ისეთ სფეროებშიც, რომლებშიც რუსული ასრულებდა სახელმწიფო ენის ფუნქციას: საგარეო ურთიერთობები, საზღვაო თუ სახმელეთო თავდაცვა, ჯარი და სხვა.

დღეისათვის ლატვიაში ენობრივი იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურზე ლატვიური ენა დგას. სახელმწიფო ენის შემდეგ რუსულ ენას უჭირავს მეორე პოზიცია.

ლატვიაში მცხოვრები ბელორუსების უმეტესობას მშობლიური ენა დაკარგული აქვთ და რუსულენოვნები არიან. მათმა უმეტესობამ არ იცის ლატვიური. აღსანიშნავია, რომ ბელორუსიელების ლატვიური ენის კომპეტენცია იზრდება. თუ 1989 წელს მხოლოდ 18 პროცენტმა იცოდა ლატვიური, დღეს მათი რიცხვი 40 პროცენტამდე გაიზარდა.

უკრაინელები ტრადიციულ უმცირესობას არ მიეკუთვნებიან. უკრაინელთა 90 პროცენტმა იცის რუსული, 49 პროცენტი აცხადებს, რომ იცის უკრაინულიც. მხოლოდ 9 პროცენტმა იცის ლატვიური.

პოლონური ენა საკმაოდ გავრცელებული იყო ლატვიის აღმოსავლეთ ნაწილში, თუმცა დღეისათვის მისი როლი გაუქმებულია. ლატვიაში მცხოვრები პოლონელების მხოლოდ ერთმა მეხუთედმა იცის მშობლიური ენა, ისიც უფროსი თაობის წარმომადგენლებმა. 1990-იანი წლებიდან პოლონელებმა დამდიეს რუსიფიკაცია და პოლონურად მოლაპარაკეთა რაოდენობა გაიზარდა. მათ ასევე შეისწავლეს ლატვიური. დღეს ლატვიის 13 ქალაქში არსებობს პოლონურ-ლატვიური კავშირის წარმომადგენლობები, რადიომაუწყებლობა და გაზეთი პოლონურ ენაზე. ფუნქციონირებს პოლონური საბავშვო ბაღიც.

ლიტველები ლატვიის უმცირესობაა. მათი რიცხვი დაახლოებით 30-40 000-ია. ნახევარი მათგანი ლატვიურს მიიჩნევს მშობლიურ ენად. ისინი ძალიან კარგად არიან ინტეგრირებული ლატვიის საზოგადოებასთან. 10 000 ლიტველი მშობლიურ ენად მიიჩნევს ლიტვურს, ანუ 31 პროცენტი. 1997-98 წლის მონაცემებით ლიტველთა 40 პროცენტი სწავლობდა რუსულ სკოლებში. 1995 წლიდან არსებობს ლიტვური დაწყებითი სკოლა, გამოდის გაზეთი.

ებრაელები ლატვიის მოსახლეობის 7 პროცენტია. ისინი ძირითადად რუსულენოვნები არიან. ახალგაზრდებმა არც იდიში იციან და არც ებრაული. ლატვიაში მცხოვრები ებრაელები საუბრობდნენ იდიშზეც, ხოლო კურზემის მაცხოვრებლები – გერმანულად. ამჟამად იდიშზე მოსაუბრეთა რიცხვი დაახლოებით 1000 და ისიც უმეტესად პენსიონერები. ოჯახებში უმეტესად დღესაც რუსულად საუბრობენ. რიგაში არის ორი ებრაული სკოლა, ერთი სახელმწიფო, მეორე კერძო.

ბოშების რიცხვი დაახლოებით ოთხი ათასია და საუბრობენ თავიანთ მშობლიურ ენაზე. ზოგი მათგანი ლატვიის კურზემულ დიალექტსაც ფლობს, ზოგი ლატვიურად და რუსულად მეტყველებს, თუმცა წერა-კითხვა არ იციან. განათლებულთა რიცხვი მცირეა, თუმცა ლინგვისტურად და პოლიტიკურად კარგად არიან ინტეგრირებულები. მათ აქვთ ერთი სკოლა და კულტურის ცენტრი.

ესტონელები, უძველესი მეზობლები ლატვიელებისა, ცხოვრობენ საზღვართან მიმდებარე ტერიტორიაზე. მათი რიცხვი დაახლოებით ორი ათას ხუთასია. 80 პროცენტმა იცის მშობლიური ენა,

თუმცა მოხდა ზოგი მათგანის ასიმილაცია ლატვიელებთან ან რუსებთან. უმეტესობამ იცის ლატვიური. რიგაში არის ესტონური სკოლაც. 1992 წლიდან ესტონური გაზეთი და რადიოგადაცემებიც გაჩნდა.

დღეისათვის 3700 გერმანელი ცხოვრობს ლატვიაში. მათგან 15 პროცენტმა იცის გერმანული, დანარჩენები ლატვიურად მეტყველებენ.

ლივონელები ლატვიის ავტოქტონი მოსახლეები არიან. დღეისათვის დაახლოებით 170 ადამიანმა მიიჩნია თავი ლივონელად, თუმცა ენა ბევრმა არ იცის. მხოლოდ ხანდაზმულ ადამიანებს შეუძლიათ ამ ენაზე ლაპარაკი და აგრეთვე რამდენიმე ენთუზიასტს და მკვლევარს ესტონეთიდან, ფინეთიდან თუ სხვა ქვეყნიდან.

ლივონური ენისა და კულტურის დაცვა ლატვიაში კანონითაა გარანტირებული. კერძოდ, ლატვიის რესპუბლიკის 1991 წლის კანონით ლატვიის ეროვნულ უმცირესობათა და ეთნიკური ჯგუფების შეუზღუდავი განვითარებისა და კულტურული ავტონომიის შესახებ. ამ კანონის სპეციალური მუხლებით ლივონელებს მინიჭებული აქვთ კულტურული თვითმართველობის ფართო უფლებები. გარდა ამისა, ბალტიური ასამბლეა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეროვნული იდენტობის საკითხებს. 1995 წელს ასამბლეამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია ბალტიის აუზის ქვეყნების მკვიდრი ერების ეთნიკური იდენტობების შესწავლის ხელშეწყობისა და განვითარების შესახებ.

ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა ღ რ ა მ ე

ჩა-ზმნისწინის გააქტიურებისათვის თანამედროვე ქართულში

თანამედროვე ქართულში აშკარად იგრძნობა ჩა-ზმნისწინის გააქტიურების ტენდენცია: იგი დასტურდება ისეთ ფუძემდებთან, რომლებთანაც მანამდე ნაკლებად ან საერთოდ არ გამოიყენებოდა, მაგ.: „ჩადეჟა პური“, „ჩაუყარაულდა მსხვერპლს“, „ჩაბოლმილი დადიოდა“, „ჩალოგინებული არიან“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ აღნიშნული ტიპის სიტყვათშეხამებანი (როცა შესიტყვების ერთ-ერთი წევრი გააქტიურებული ჩა-ზმნისწინიანი ფორმა) თანამედროვე მეტყველებაში ერთგვარ ფრა-ზეოლოგიურ გამოთქმებადაც კი იქცა, (მაგ.: **ჩანიშნულია** ბრიფინგი/შეხვედრა/სხდომა ნიშნავს: **ნავარაუდება, ივარაუდება // დაგეგმილია, იგეგმება** ბრიფინგი/შეხვედრა/სხდომა, ხოლო თუ ბრიფინგის, შეხვედრისა თუ სხდომის დრო განსაზღვრულია, გადაწყვეტილია; ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, **და-** ზმნისწინი უნდა გამოვიყენოთ.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა გააქტიურებული ჩა- ზმნისწინიანი ფორმები მწერლის სტილით აიხსნება.

ნ ა ნ ა მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი

აფხაზური ენის აფიქსთა და მოდალურ ელემენტთა ლექსიკონი (შედგენის პრინციპები)

აფხაზური აგლუტინაციური ტიპის ენაა; სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, იგი გამოირჩევა სახელურ და ზმნურ სიტყვა-ფორმათა მაწარმოებელი მორფემების სიუხვით.

ლექსიკონის მიზანია აფხაზური ენის მორფოლოგიის უკეთ წარმოჩენის მიზნით ამ ენაში არსებულ ფორმანტთა ლექსიკოგრაფიული სისტემატიზაცია და განმარტება.

ლექსიკონში შევა: სახელური მორფემები, ზმნის პირ-კლასის, მოდალურ კატეგორიათა და დრო-კილოთა მაწარმოებელი, ფინიტურობა-ინფინიტურობის, საგარემოებო და სამიმართებო, მადინამიკურებული ელემენტები, დამოუკიდებელ სიტყვათაგან მომდინარე ე. წ. ლოკალური და სხვა შინაარსის პრევერბები და სხვ.

ლექსიკონში განმარტებული იქნება აგრეთვე აფხაზური ენის დიალექტებში დადასტურებულ მორფემათა ნაირსახეობანი. შესაძლებლობის შემთხვევაში მითითებული იქნება ზოგიერთი ფორმანტის გენეზისი, მოხმობილი იქნება საილუსტრაციო მასალა.

მოხსენებაში წარმოვადგენთ რამდენიმე მორფემის განმარტებას; მაგ.:

ბ-

ზმნაში ქალთა კლასის მეორე პირისა და სახელში ამავე პირის კუთვნილების აღმნიშვნელი ფორმანტი, უკავშირდება **ბარა** „შენ“ (ქ.) ნაცვალსახელს. ბარა **ა-ბ-ა-ჰა-ჟეაჟ** „შენ (ქ.) გაიგონე“ ის(ნ.) ბარა **ბ-ან** „შენი (ქ.) დედა“

-ბა

კითხვითი ელემენტი, მისი ფონეტიკური ვარიანტია **-ფა. ჟ-შა-ბა-ყოჟ** > **ჟ-შა-ფა-ყოჟ** „შენ (მკ.) როგორ ხარ?“

კითხვითი ელემენტი, რომელიც ფორმდება „**დ**“-ს რიგის პიროვან-კლასოვანი აფიქსებით და გამოხატავს კითხვითი ნაცვალსახელის შინაარსს. სარ-**ბა-ნ** სარა? „მე რომელი, ვინ (ვარ)?“

გვარ-სახელთა მაწარმოებელი **ა-ფა** „შვილი“ სიტყვისაგან მომდინარე **-ფა** სუფიქსის ფონეტიკური ნაირსახეობა. **აღლეიფა** > **აღლეიბა**.

იგივე **ბა** ძირი არის კითხვით სიტყვაში **იზბან?** „რატომ? რისთვის?“

ბა ძირი გაუფორმებლად გამოიყენება ჩაკითხვისას. – ახაწა დააჟტ „კაცი მოვიდა“. – ახაწა **ბა?** „კაციო?“

ნივთთა კატეგორიის რიცხვით სახელებში შემავალი ბოლოკიდური ელემენტი (ორიდან მოყოლებული) **გგ-ბა** „ორი“, **ხ-ბა** „ხუთი“ და ა. შ.

თ ა მ ა რ მ ე ლ ა ძ ე

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისათვის

(სვანეთის ეთნოლინგვისტური ჩანაწერების კვლევის მაგალითზე)

თანამედროვე სამყარო გლობალიზაციის, სოციალური ტრანსფორმაციის და მიგრაციების შედეგად არაერთი ენის, ტრადიციული ცოდნისა თუ წეს-ჩვეულებების გაქრობის მომსწრეა. რა სარგებლიანობის მომტანიც უნდა იყოს გლობალიზაცია მსოფლიოსთვის, რიგ შემთხვევებში მისი გავლენა შესაძლოა ნეგატიური აღმოჩნდეს

კულტურებისთვის და სათანადო მენეჯმენტის არარსებობის შემთხვევაში საფრთხე შეექმნას მრავალფეროვნებას, ჰეტეროგენულთვისებებს. სწორედ ამ გამოწვევების საპასუხოდ, 2003 წელს პარიზში გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (იუნესკო) მიიღო საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, რაც ფასდაუდებელია საზოგადოების მდგრადი განვითარებისა და ჰარმონიული სამყაროს შექმნისთვის. ამ კონვენციის მიღების შემდეგ, ინტერდისციპლინურ კვლევებში გახშირდა კითხვები კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე და საზოგადოების როლზე მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას განვითარებულ ქვეყნებში, რომელთაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მოუხდათ მოდერნიზაციის გამოწვევებთან ჭიდილი. ამის თვალსაჩინო მაგალითია იაპონია, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში დღესდღეობით ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა, თუმცა ამავდროულად ერთ-ერთი პირველი იდგა საფრთხის წინაშე, რადგანაც სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას შეეძლო ჩაეყლაპა ენა, ტრადიციული ყოფა-ცხოვრება და წეს-ჩვეულებები. დღეს იაპონიაში ჰარმონიულად არის შეხამებული ძველი და ახალი ტრადიციები თანამედროვე ელემენტებით. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების უმთავრესი მექანიზმი ამ ტრადიციების მატარებელი ხალხის წახალისება და მხარდაჭერაა (იხ. მაგ. Shigeyuki Miyata: 2012; Hyoki Satoru: 2007). ამიტომ კვლევითი ინსტიტუტები აწყობენ რეგულარულ სემინარებს და ადგენენ სასწავლო პროგრამებს ტრადიციული უნარ-ჩვევების მომავალი თაობისთვის სწავლების მიზნით, ქმნიან დოკუმენტურ ფილმებს, მართავენ პერმანენტულ გამოფენებს.

კონსერვაციის პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია იმ ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების წარმოება და გავრცელება, რომლებიც ხალხურ დღესასწაულებთან არის დაკავშირებული. მნიშვნელოვანია სპეციალურად დადგენილი ეროვნული დასვენების დღეები, უამრავ ტურისტს რომ იზიდავს და ღიაა მონაწილეობის მსურველი ნებისმიერი ადამიანისთვის. ეს ფაქტი არამხოლოდ ეკონომიკურად აძლიერებს ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ ტრადიციული რიტუალის გაგრძელებასა და შენარჩუნებას უწყობს ხელს.

სვანეთის ეთნოლინგვისტური მემკვიდრეობის შესწავლითა და ინტერდისციპლინური კვლევებით ჩვენ ვეხმიანებით კონვენციის მთავარ იდეას – კულტურული მემკვიდრეობა უსათუოდ ჯეროვნად

უნდა იყოს დაცული, აღიარებული და გამოყენებული, პირველ რიგში, ამ მემკვიდრეობის შემქმნელი და მატარებელი ხალხის სასარგებლოდ. აკადემიკოს ნიკო მარის მოწაფის – ევდოკია კოჟევნიკოვას მიერ შეგროვილი ეთნოგრაფიული ჩანაწერებისა და ფოტოების პუბლიკაციით გვსურს სვანეთის არამატერიალური კულტურის ის ელემენტები გამოვავლინოთ, რომლებიც თითქმის ბოლომდეა უკვე მივიწყებული და მხოლოდ ამ ეთნოგრაფიულ თუ ლინგვისტურ მასალებში შემოინახა. ჩვენი მისიაა, არამხოლოდ შევისწავლოთ და დავიცვათ უნიკალური მასალა, არამედ იგი ხელმისაწვდომი გავხადოთ პირველ რიგში ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ვისი წინაპრებიც აღიბეჭდნენ ფოტოებსა თუ ჩანაწერებში, რითაც ტრადიციული ცოდნის ხელახალი ინტერპრეტაციის საშუალებას შევქმნით. ამავე დროს საშუალება გვძლევს წარმოვაჩინოთ ქართველი ხალხის მდიდარი ეთნოკულტურული მემკვიდრეობა. ეს ეთნოგრაფიული ჩანაწერები ხომ სწორედ სვანეთის მკვიდრი მოსახლეობის (და ზოგადად ქართველი ხალხის) კოლექტიური მეხსიერება და კუთვნილებაა.

თანამედროვე მეთოდების გათვალისწინებით, ჩვენს კვლევას, სამეცნიერო-დისციპლინური ხედვის გარდა, აქვს უფრო ამბიციური მისია და ემსახურება ქართველი ხალხის კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენას, ტრადიციული ცოდნის გაზიარებას, კულტურისადმი კუთვნილების გრძნობის გამძაფრებას, სიამაყის და ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას. ამ ფასდაუდებელი მასალის შესანარჩუნელად უმწერლობო ენის ტექსტების დოკუმენტაციას, გამოცემასა და გამოფენას.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა მ ე

„თბილისის უნივერსიტეტის“ კონცეპტური სტრუქტურა არნოლდ ჩიქობავას მედიატექსტთა მიხედვით

სულიერებაზე ორიენტირებულ ქართულ დისკურსში დიდი ადგილი ეთმობა საგანმანათლებლო კონცეფციებს. „სწავლის მძებნელი“ ხალხის ეროვნულ ცნობიერებაში მკვიდრია ახალი ცოდნისკენ სწრაფვის მნიშვნელობა, რაც სხვადასხვა დროს მაკროკონცეპტ

„ცოდნის“ ახალ-ახალ შემადგენლებს აჩენს. 1918 წლიდან ქართულ ლინგვოკულტურასა და ქართულ დისკურსში ჩნდება კონცეპტი „უნივერსიტეტი“, რომელიც თავისი მნიშვნელობით დიდად აჭარბებს ამავე სიტყვით აღნიშნულ ცნებას.

ცალკეული ადამიანის ცნობიერებაში შენახული ინდივიდუალური კონცეპტი, ჩვეულებრივ, მეტი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება, ვიდრე კოლექტიური ცნობიერების იგივე კონცეპტი. აღნიშნული მოვლენის საფუძველი შემდეგია: კოლექტიური ცნობიერება იქმნება კოლექტივში შემავალი ინდივიდების პერსონალურ გამოცდილებაში არსებული უნიკალურობის რედუქციითა და თანხვედრათა შეკრებით. არნოლდ ჩიქობავა, როგორც ენობრივი პიროვნება, როგორც უნივერსიტეტის პირველი გამოშვების სტუდენტი და ასპირანტი, უნივერსიტეტის აღზრდილთა შორის პირველი პროფესორი და არა ენის რიგითი მატარებელი, არღვევს მოხმობილ დებულებას – მის ცნობიერებაში შემავალი კონცეპტ „უნივერსიტეტის“ დომინანტური ნიშნები არა რედუცირებულად, არამედ მთელი სისრულით გადაინაცვლებს ქართველთა კოლექტიურ ცნობიერებაში, რასაც ნათელყოფს XX-XXI საუკუნეების ქართული დისკურსი.

„თბილისის უნივერსიტეტის“ კონცეპტური სტრუქტურა, რომელსაც მოხსენებაში ვრცლად განვიხილავთ, ავაგეთ არნოლდ ჩიქობავას მედიატექსტთა მიხედვით („სახელოვან იუბილარს“, გაზ. „მუშა“, 1938, 29 მაისი, გვ. 3; „გვახსოვდეს და ვაფასებდეთ“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1967, 2 დეკემბერი, გვ. 2; „თბილისის უნივერსიტეტი და ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინება“, ჟ. „ცისკარი“, 1968, № 10, გვ. 121-125; „ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტი“, გაზ. „თბილისი“, 1968, 21 ოქტომბერი, გვ. 3; „დედაბოდი“, გაზ. „კომუნისტი“, 1978, 11 ნოემბერი“, გვ. 5; „მაშინ და ახლა“, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“. 1978, 10 ნოემბერი, გვ. 6), რომლებიც უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღებს ეძღვნება და არნოლდ ჩიქობავას შრომების მეხუთე ტომში ერთად არის შესული.

აღნიშნულ კონცეპტურ სტრუქტურაში გამოვყავით ოთხი ძირითადი მიმართულება:

- თბილისის უნივერსიტეტი – ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა;
- თბილისის უნივერსიტეტი – ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინება;

- თბილისის უნივერსიტეტი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საძირკველი;
- თბილისის უნივერსიტეტი – ქართული კულტურის უდიდესი ფაქტორი.

მოხსენების დროს, თითოეულის საგანგებო აღწერითა და კონცეპტის ნომინაციურ ველში შემავალ სხვა ნიშნებზე დაკვირვებით, წარმოვაჩინეთ იმ პირობებს, რომელთა მიხედვითაც „თბილისის უნივერსიტეტი“ და მისი კონცეპტ-სინონიმი „ქართული უნივერსიტეტი“ ქართველთა ღირებულებითი იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დგას.

რ უ ს უ და ნ კ ა პ ი ა შ ვ ი ლ ი, მ ა რ ი ნ ა ბ ე რ ი ძ ე

უნიფიკაციის საკითხები ქართული სამეცნიერო ენის კორპუსში*

ქართული სამეცნიერო ენის კორპუსი შეიქმნა ბესარიონ ჯორბენაძის სამეცნიერო ტექსტების ბაზაზე, თუმცა ის უკვე მოიცავს სხვადასხვა დარგისა და სხვადასხვა ავტორის ცალკეულ ნაშრომებს.

მიმდინარეობს სამეცნიერო მეტაენის კორპუსის (სმკ) ტექსტური კოლექციის განვრცობა. ამჟამად ვმუშაობთ არნოლდ ჩიქობავას შრომების სრული კორპუსული ვერსიის შექმნაზე.

ამ სამუშაოს პირველი ეტაპი არის ტექსტების უნიფიკაცია. ამჟამად დამუშავებული და გამოსაქვეყნებლად მომზადებულია არნოლდ ჩიქობავას შრომათა ახალი რედაქციის ხუთი ტომი (1, 2, 3, 6, 7).

უნიფიცირების პროცესი რამდენიმე საფეხურს მოიცავს, ესენია:

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (პროექტი „დიდი ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიული ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი (GEDA)“ – № 217008).

- ✓ ქართულენოვანი ტექსტების კონვერტაცია
- ✓ უცხოენოვანი ტექსტების კონვერტაცია
- ✓ გრაფიკული უნიფიცირება (შრიფტების, სპეციფიკური ნიშნების და ა. შ.)
- ✓ პუნქტუაციის უნიფიცირება
- ✓ ტექნიკური უნიფიცირება, გადატანის (დამარცვლის) იგნორირება, სარედაქციო ნიშნების (გამუქება, ხაზგასმა, დახრა, კურსივი...) იგნორირება.

უნიფიცირების პროცესში მზადდება ტექსტის ორი ვერსია: საბიბლიოთეკო და კორპუსში ასატვირთი ვერსიები (სამი ფორმატის ფაილი: PDF, DOCX და TXT...). ამათგან PDF ფორმატის ფაილი აიტვირთება ბიბლიოთეკაში, TXT ფორმატის ფაილი – კორპუსში, ხოლო DOCX ფორმატის ფაილი ინახება კორპუსის არქივში შესაძლო ცვლილებების განსახორციელებლად.

საბიბლიოთეკო ვერსია შეძლებისდაგვარად ზუსტად ასახავს ავტორისეულ ტექსტს, თუმცა უნიფიცირების ძირითადი ასპექტები მასშიც გათვალისწინებულია, რათა ძიებისას ეს ორი მონაცემი ერთმანეთთან თავსებადი იყოს და კორპუსული ძიება სრულფასოვნად წარიმართოს.

ტექსტების უნიფიცირების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი აღმოჩნდა ტრანსლიტერაცია.

სხვადასხვა დროს გამოცემულ, სხვადასხვა ავტორის ნაშრომში განსხვავებული ტრანსლიტერაციული ნიშნებია გამოყენებული, რაც კორპუსული გამოცემისთვის დაუშვებელია. გარდა ამისა, პრობლემას ქმნის ისიც, რომ კორპუსში მხოლოდ უნიკოდის შრიფტით აკრეფილი ტექსტის ატვირთვა შეიძლება, ხოლო ტრანსლიტერაციისთვის ქართულ სამეცნიერო სივრცეში დამკვიდრებული ყველა ნიშანი უნიკოდის შრიფტს არ მოეპოვება.

მოხსენებაში წარმოვადგენთ არნ. ჩიქობავას ნაშრომებში გამოვლენილ ტრანსლიტერაციულ მრავალფეროვნებას და წარმოვადგენთ სმკ-ს ტრანსლიტერაციულ კონცეფციას, რომელიც გულისხმობს, საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მთელი კორპუსის ტრანსლიტერაციული ვერსიის შექმნას.

„კენ“ თანდებულის ისტორიისა და ფუნქციისათვის

1. ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმისა და ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში „კენ“ თანდებულს ვერ ვხვდებით; არ არის შეტანილი ილ. აბულაძის მიერ შედგენილ „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ (1973) და „ძველქართულ-ძველსომხურ ლექსიკონებში“ (2014). მისი მნიშვნელობა გამოხატულია „კერძ(ო)“ თანდებულის, რომლიდანაც ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიღებულია „კენ“. აკ. შანიძის მიერ აღნიშნულია „კერძო“-ს გამოყენება მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებთან – „მარცხენით კერძო“, „ზღუად კერძო“ (აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ. 1976 გვ. 141-142). ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ (1995) ნაჩვენებია „კერძ“ ნათ. ბრუნვასთანაც: „იწყო მან მეყსეულად სლვად გზასა მას მთისა საკრველისა კერძ“. `ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონში` (2009) აღნიშნულია, რომ „კერძო“ თანდებულის ფუნქციით გვხვდება ნათ., მოქმ. და ვით. ბრუნვებთან და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა „კენ“. სამეცნიერო ლიტერატურასა და ლექსიკონებში „კერძ(ო)“ სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობებია მოწოდებული. ამათ შორისაა „მხარე“: „ჰბურო უკუანა კერძო კარვისა“, გამოს. 26. 12; „ასი ერთ კერძით“ (= ერთი მხრიდან) ვფხ. 655. 4, საიდანაც განვითარებულია „კერძ(ო)“-ს, როგორც „კენ“ თანდებულის მნიშვნელობა.

2. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ბიბლიის „მცხეთურ ხელნაწერში“ (გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, 1982) ვხვდებით „კე“ თანდებულს: განჰკრთა სამოველ და მირბიოდა ელისავე ... აღდგა სამოველ და მირბოდა ელისავე და ჰრქუა: აქა ვარ“ (I მეფ., 3. 5-6). საბას ლექსიკონში შეტანილია თანდებული კენ ბიბლიის ამავე ადგილის დამოწმებით, რომელსაც ახლავს ასეთი შენიშვნა: „დასახელებულ წყაროშია „ელისავე“. როგორც ჩანს, საბამ ან ერთ-ერთმა რედაქციამ მცდარად მიიჩნია „კე“. ლექსიკონში იგი არ ჩანს.

3. „კენ“ თანდებულის მნიშვნელობით „კერძ(ო)“ მიცემით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებთან სისტემატურად დასტურდება ბიბლიის წიგნებში : (მცხეთ. ბიბლ.) ჩემ კერძო ხარ, დაბ. 23. 3; წარმოვიდა მიერ აბრაჰამ ქუეყანად სამხრად კერძო, დაბადება 20.1; ეფრემ მარჯუენით მარცხენით კერძო ისრაჴლისა, ხოლო მანასე მარცხენით მარჯუენედ კერძო ისრაჴლისა, დაბ. 48.13.

4. „კერძ(ო)“-ს აქვს სხვა მნიშვნელობებიც – როგორც არსებით სახელსა და თანდებულს: „ჩემი კერძი (=წილი, ნაწილი) სოფელიმცა გარდიფხვრების“, ვფხ. 769. 4; ჩემად კერძად (=ნაცვლად, მაგივრად) პატრონობდეს, ვფხ. 168. 1. წინა კერძო (= წინა მხარეს) რაზმი ორი 447. 4; ყოვლით კერძო (= ყოველმხრივ,), ვფხ. 1643. 3; – „წყალი სიგრილისა კერძო არის და სიგრილითა შეიკრვის მამაცი“, „ვისრამიანი“ (ალექსანდრე გვახარიას და მაგალი თოდუას რედაქციით), თბ. 1984, გვ. 57. მზია ანდრონიკაშვილის მიერ („ნარკვევები ირან-ქართ ენობრ. ურთიერთობიდან“, თბ. 1966) ნაჩვენებია „კერძ“ (გვ. 93), „კერძი“ (გვ. 69), „კერძო“ (გვ. 69); „კერძო“ – ს მნიშვნელობებისთვის მოწოდ. „მხარე“: „ორნი იგი გრკალნი ერთ კერძო და ორნი იგი გრკალნი ერთ კერძო მეორესა მას კიდესა~ (გამოსლვ. 25. 11), „ნახევარი“: „ქმენ კიდობანი წამებისად ძელთაგან ულპოლველთა ორ წყრთა და კერძო“ (გამოსლვ. 25. 9). გარდა ამ მნიშვნელობებისა აღნიშნულია აგრეთვე „წილი, ნაწილი, ხვედრი“ და თანდებული „კენ“.

5. აკ. შანიძე გვაწვდის „კენ“ თანდებულის ჩამოყალიბების გზას. მისი სიტყვით, „ძველად ითქმოდა „კერძო“, რომელიც მოითხოვდა მოქმედების (კითხვაზე საიდან?), ან ვითარების (კითხვაზე საითკენ): მარჯუენით კერძო, მთად კერძო. ბოლო მარცვლის დაკარგვის შემდეგ დარჩენილი კერ შეიცვალა „კენ“-ად და ნათესაობითს დაუკავშირდა: მარჯვენისკენ, მთისკენ და, მეორე მხრივ, „კერ“ -მა კე მოგვცა, რაც „ვეფხისტყაოსანშიც“ არის დადასტურებული („ზღვათაკე სარკმლით გატყორცა“) და ჩვეულებრივია ვაჟს ნაწერებში, სადაც ზოგჯერ მართლ კ გვრჩება: ხალხისკე, ჩვენკე, იმათკე, ცეცხლისკე, მტრისაკე, იქისკე, ცისაკ (აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 602). ამ მონაცემებით „კერძოს“ ისტორიული განვითარება ასე წარმოგვიდგება: კერძო > კერძ > კერ > კენ > კე > კ (შდრ. ცალკერძ, ცალკე).

6. როგორც ჩანს, კენ პირველად თავს იჩენს XII ს.-ის I ნახევრის ძეგლში „ვისრამიანი“ (ხორასნისაკენ); „ვეფხისტყაოსანში“ კენ უკვე სისტემატურად გვხვდებოდა, მასთან ერთად ხშირად გამოიყენება პარალელურად კერძ და კე ფორმები. (კერძ) – მორჭმულიმცა ჩემ კერძ ირე 414.2; თავი მათი ჩემ კერძ ირეს 645.2; მერმე მანცა ჩემ კერძ იროს 883.2; შენ წამო დი ჩემ კერძ ირე 1430.4; წამოვალ, შენ კერძ ვირები 426.4; მეცა შენ კერძ ვიარები 431.1; (კე) – ჩემკე 1132.1; 1132.4; 1174.3; 1488.3. მისკე 609.1; 848.2; 1334.4; 1532.4. ჩვენკე 1224.4. თქვენკე 740.3. მათკე 601.4; 627.3; 1508.3; ზღვათაკე 582.4;

1116.3; *ლაშქართაკე* 979.1; მინდორთაკე 567.3; 892.3; 1332.4 *ქვაბისაკე* 916.1; *ქვეშეთკე* 1112.3; (კენ) – ჩემკენ 402. 3 შენკენვე 833. 2 მისკენ 196. 2; 673. 3; 883. 2; მათკენ 197.1 მუნითკენ 1538.3; სპათაკენ 437.3; ტარიელისკენ 1330. 2 ქაჯეთისკენ 1351 („ვეფხისტყაოსნის სიმფონია“, შედგენილია აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, 1980).

7. კენ თანდებულის შესახებ თავისი დაკვირვებები წარმოდგენილი აქვს ა. მარტიროსოვს („თანდებული ქართულში“ – იბერ-კავკ. ენათმეცნ. I, 1946). მისი სიტყვით, *ახალ ქართ-ში კერძო*-ს შეენაცვლა კენ თანდ. (მარტო ნათ=ში) სახელებთან მხოლოდ მიმართულების გამოსახატავად... სამ. ქართ-შივე კენ-ის პარალელურად გვხვდება კე-ც: მინდორთაკე (ვფხ.), ღმრთისაკე (ვისრ.), საწოლისაკე (შაჰნავაზ.), მისკე (ამირანდარ.). ძვ. ქართ-ში კერძო, ეტყობა, ჩამოყალიბების პროცესშია. სამ. ქართულში იგი ნათესაობითთან უფრო განმტკიცდა და სისტემატურადაც იხმარება. მასალათა ანალიზის საფუძველზე „კერძოს“ განვითარების ასეთი საფეხურები ჩანს: ჯერ შეიკვეცა ო ხმოვანი: კაცისა კერძ (ამირანდარ.), აფხაზთა კერძ (ქართლ. ცხ.). შემდეგში თითქოს რ-ს დაკარგვითა და რ-ს და ნ-ს მონაცვლეობით მიღებულ იქნა კენ: ხორასნისაკენ (ვისრ.). ამ სახით შემოვიდა იგი ახალ სალიტ. ქართულში. იმის დადგენაც კი ჭირს, თუ ამ თანდებულმა როდის როგორი ცვლილება განიცადა (ვფხ-ში გვხვდება სამივე სახე: კერძო, კენ, კე). კერძო --დან კენ-ის მიღება თითქოს ადვილად მტკიცდება. ბოლოში თანხმოვნისა და ხმოვნის მოკვეცა ჩვეულ. მოვლენაა სხვა თანდებულებშიც, მაგრამ ერთგვარად ჭირს რ > ნ. ეგების აქ შენაცვლება კი არ გვექონდეს, არამედ კერძო-დან უშუალოდ მიღებულ კე-ზე -ნ -ნა ელემენტის დართვა (შდრ. ზედან, შიგან... გამოდის, რომ კე უფრო ძველი სახეა, ვიდრე კენ (გვ. 226). ჩვენ მიგვაჩნია, რომ მეცნიერის მეორე ვარაუდი სწორია, რასაც ადასტურებს ბიბლიაში კე -ს ხმარება.

8. ზემოთ წარმოდგენილი მასალის გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელი ხდება დავასკვნათ: „კე“ თანდებული ნათესაობით ბრუნვაში დასტურდება ბიბლიის ერთ-ერთ წიგნში და იხმარება „კერძო“- პარალელურად. კენ თანდებული ძველ ქართულ წყაროებში არ გვხვდება. იგი, როგორც ჩანს, პირველად იჩენს თავს XI საუკუნეიდან და სისტემატურად დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“. თანდებულის მოდიფიკაციის გზა ასე წარმოგვიდგება: კერძო > კერძ > კე > კ.

მედეა საღლიანი

ი „ც“, „მცა“ ნაწილაკიან არსებით სახელთა ბრუნებისათვის სვანურში

თანამედროვე სვანური ენის კილო-კილოკავები საკმაოდ მდიდარია ნაწილაკებით. ნაწილაკთა სიმრავლე განპირობებულია, ძირითადად, ფონეტიკური ვარიანტულობით, რასაც, ასევე, დიალექტ-კილოკავთა სიმრავლე განაპირობებს. ცხადია, ნაწილაკთა სისტემა როგორც სემანტიკურად, ისე ფუნქციურადაც ძალზე დატვირთულია. მათი სისტემური აღწერა და ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი კი მნიშვნელოვანია ენის ფუნქციონერებისა და განვითარების ტენდენციებისათვის. ბუნებრივია, არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია ნაწილაკიან სახელთა ბრუნება სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტების (*ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურის, ლენტეხურის*), *ჩოლოურული მეტყველებისა და ლახაძულური კილოკავის* მონაცემების გათვალისწინებით.

სვანურში ნაწილაკთა რამდენიმე სემანტიკურ ჯგუფს (*კითხვითი, განუსაზღვრელობითი, მიმართებითი, გამძლიერებითი, მიგებითი, უკუთქმითი, სიტყვასიტყვითი, განცვივრებითი, ნება-სურვილისა, ნატვრითი, სხვათა სიტყვისა, დადასტურებითი, ჯერობაგზისობისა, უარყოფითი და ა. შ.*) გამოყოფენ, რომელთა ერთ ნაწილს, ქართულის მსგავსად, სუფიქსური ელემენტის სახე აქვს, მეორე ნაწილს კი – დამოუკიდებელი სიტყვისა და ისინი ზმნასთანაც დასტურდებიან და სახელთანაც.

ვინაიდან ამჟერად ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანი ნაწილაკიან სახელთა ბრუნებაა, აქედან გამომდინარე შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ -ი „ც“, „მცა“ ნაწილაკზე, რომელსაც სუფიქსური ელემენტის სახე გააჩნია და დაერთვის არსებით (საზოგადო და საკუთარ) სახელებს.

გამოკვლევამ ცხადყო, რომ სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში ყველაზე უფრო პროდუქტიული -ი „ც, მცა“ ნაწილაკიანი არსებითი სახელებია, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ბრუნების მიმოხილვა სწორედ -ი ნაწილაკიანი არსებითი სახელებით დაიწყება.

როგორც -ი „ც, მცა“ ნაწილაკიანი თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელების ბრუნებამ აჩვენა, ნაწილაკის დართვა არც მხოლოდით და არც მრავლობით რიცხვში არავითარ ცვლილებას არ იწვევს. ერთადერთი გამონაკლისია ლახამულური კილოკავი, რომელსაც მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში მრავლობითის ნიშნისეული ხმოვანი (წ) თითქმის ყველგან ეკვეცება: **ამტყუასგ-რ-ემ-ი** „ვარსკვლავებისაც“, **კენ-რ-ემ-ი** „კვერნებისაც“, **წნგლეზ-რ-ემ-ი** „ანგლოზებისაც“. სხვა კილოებსა და კილოკავებში მრავლობითისეული **-წრ** სუფიქსის ხმოვნითი ელემენტი ყველგან შენარჩუნებულია.

-ა ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო სახელები -ი „ც, მცა“ ნაწილაკის დართვისას ერთადერთ თავისებურებას, მსგავსად თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელებისა, ლახამულური კილოკავის მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ავლენენ (შდრ. **ნექტ-რ-ემ-ი** „წარბებისაც“), ეკვეცებათ მრავლობითისეული ხმოვნითი ელემენტი, **-ოლ** სუფიქსის დართვის შემთხვევაში ხმოვნითი ელემენტი შენარჩუნებულია.

-ე ხმოვანზე დაბოლოებულ საზოგადო სახელთა ბრუნებისას გამოვლენილი ერთადერთი თავისებურება კვლავაც ლახამულურმა კილოკავმა აჩვენა, თუმცა ამჯერად მხოლოდითი რიცხვის მიცემით ბრუნვაში (მაგ. **თხერა-ა** „მგელსაც“...).

-ო ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო არსებითი სახელები იშვიათობაა სვანურში და ნაწილაკის დართვისას რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ შეგვიძინებია.

-უ ხმოვანზე დაბოლოებული საზოგადო არსებითი სახელებიც იშვიათად დასტურდება სვანურში (მაგ.: **გიგუ** „გუგული“, **გაზუ** „ურქო თხა, დოლა“, **ნეფყუ** „ურიბი, თავსაბურავი“, **ჯურუ** „ხვრელი“...) და ისინი თითქმის ისევე იბრუნვიან -ი „ც“ ნაწილაკის დართვისას, როგორც **ტუნუ** და **მუ** ლექსიკური ერთეულები. სხვაობაა მრავლობით რიცხვში, რასაც მოწმობს, ერთი მხრივ, **ტუნუარ**, **ტუნუ-არს**, **ტუნუარდ**... და, მეორე მხრივ, **ლამუა**, **ლამუას**, **ლამუად**..., **მუა-ლარ**, **მუალარს**, **მუალარდ**... ფორმათა მრავლობითის წარმოება. რაც შეეხება ლახამულურ კილოკავს, იგი აქაც თავისებურებას ავლენს როგორც მხოლოდითი, ისე მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში ზოგიერთ სახელთან (მაგ., მხ. რ., ნათ. ბრ. **ტუნუ-იშ-ი**, მრ. რ. ნათ. ბრ. **ტუნუ-წრ-ე-ა**), რაც მას საგრძნობლად განასხვავებს ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებისაგან (შდრ. ბქ. **ტუნუ-წშ-ი** და **ტუნუ-წრ-ემ-ი**).

-ი ნაწილაკიანი თანხმობანფუძიანი საკუთარი სახელები ბრუნებისას რაიმე თავისებურებას არ ავლენენ, ხოლო -ა, -ე, -ი, -ო, -უ, -გ ხმოვანზე დაბოლოებული საკუთარი სახელები აღნიშნული ნაწილაკის დართვისას თავისებურებას გვიჩვენებენ ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ კილოკავში ნათესაობით ბრუნვაში, სადაც **პაჭა-შ-ი** „პაჭასიც“, **გტაშა-შ-ი** „გვაშასიც“, **ფებტე-შ-ი** „ფებვესიც“, **ზანე-შ-ი** „ზანესიც“, **დოსი-შ-ი** „დოსისაც“, **ბოდლო-შ-ი** „ბოდლოსიც“, **ბაცუ-შ-ი** „ბაცუსიც“, **ბიმე-შ-ი** „ბიმუსიც“... ფორმათა პარალელურად **პაჭა-შ-ი-მ** „პაჭასიც“, **გტაშა-შ-ი-მ** „გვაშასიც“, **ფებტე-შ-ი-მ** „ფებვესიც“, **ზანე-შ-ი-მ** „ზანესიც“, **დოსი-შ-ი-მ** „დოსისაც“, **ბოდლო-შ-ი-მ** „ბოდლოსიც“, **ბაცუ-შ-ი-მ** „ბაცუსიც“, **ბიმე-შ-ი-მ** „ბიმუსიც“ ფორმებიც დასტურდება. აუსლაუტში გამოვლენილი *იოტი (მ)* თითქოს უფრო მეტად აძლიერებს კუთვნილებას, თუმცა ბალსქვემოურისათვის, რომელსაც აუსლაუტში იოტიზაცია, როგორც წესი, არ ახასიათებს, მსგავსი ბრუნვის ფორმების არსებობა არქაიზმად ვერ ჩაითვლება. ვფიქრობთ, ამ ფორმათა არსებობას ბალსზემოურის გავლენა უნდა განაპირობებდეს.

პაჭა-შ-ი||პაჭა-შ-ი-მ, გონჯო-შ-ი||გონჯო-შ-ი-მ და ა. შ. ფორმათა პარალელურად ლახამულურში დადასტურდა როგორც ბალსქვემოურისათვის, ასევე სვანურის სხვა დიალექტებისათვის უჩვეულო ნათესაობითი ბრუნვის შემდეგი ფორმები: **ბოდლო-შ-ი{შ}** „ბოდლოსიც“, **რობო-შ-ი-{შ}** „რობოსიც“, **გონჯო-შ-ი-{შ}** „გონჯოსიც“, **როდო-შ-ი-{შ}** „როდოსიც“, **ფაგო-შ-ი-{შ}** „ფაგოსიც“, **ბაცუ-შ-ი-{შ}** „ბაცუსიც“, **ბაჯუ-შ-ი-{შ}** „ბაჯუსიც“ და ა. შ., რაც, ბუნებრივია, ლახამულურის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ.

-ი ნაწილაკიანი ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების ბრუნებისას ზოგიერთ თავისებურებას ბალსზემოური დიალექტიც ავლენს ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში. -გ ბოლოხმოვნიათა ნაწილაკდართული საკუთარი სახელები ბრუნებისას ნათესაობითში სამგვარი ფორმით წარმოგვიდგებიან. (მაგ.: **გიგსე-შ-ი||გიგს-რშ-ი||გიგს-შ-ი** „გიქსუსიც“, **ბიმე-შ-ი||ბიმ-რშ-ი||ბიმე-შ-ი** „ბიმუსიც“, **ადნე-შ-ი||ადნ-რშ-ი||ადნე-შ-ი** „ადნუსიც“), თუმცა, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, პარალელურ ფორმათა არსებობა ნაწილაკის დართვით არ უნდა იყოს გამოწვეული. რაც შეეხება მოქმედებით ბრუნვას, აქ კიდევ ერთი თავისებურება იჩენს თავს, რაც მას სხვა დიალექტებისაგან განასხვავებს. -უ ბოლოხმოვნიათა საკუთარი სახელები, რომელთაც -ი ნაწილაკი აქვთ დართული, სხვა დიალექტებისაგან

განსხვავებით, ფუძეზე ბრუნვის ნიშნის -შტ'ს წინ დამატებით დაირთავენ უ'ს (მაგ.: **ბაცუ[უ]-შტ-ი** „ბაცუთიც“, **ბაჯუ[უ]-შტ-ი** „ბაჯუთიც“ და ა. შ.), თუმცა მის დართვას სისტემატური ხასიათი არა აქვს.

ჩოლურული მეტყველება, რომელიც მრავალი თავისებურებით ხასიათდება, ნაწილაკდართული ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების ბრუნებისას ძირითადად ლაშხურს მისდევს.

მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი

„გააწმყოებული ხოლმეობითების“ ცნებისათვის

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ძველი ქართულის ტექსტებში II ხოლმეობითის მწკრივი ფუნქციურად აწმყოს ენაცვლება; შესაბამისად, გამოთქმულია მოსაზრება II ხოლმეობითის აწმყოდ გარდაქმნის შესახებ; ამ გარდაქმნას (II ხოლმეობითი > აწმყო) ძველი ქართული ზმნის სისტემაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ცვლილება უდევს საფუძვლად, კერძოდ, ასპექტური უღლების გარდაქმნა ტემპორალურ უ ლ ლ ე ბ ა დ (ა. ჩიქობავა), ა. შანიძის შეფასებით, „დიდი მოხვეული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. „გააწმყოებული ხოლმეობითის“ ისტორიას ქართულში ეძებნება როგორც ფორმალური:

| | | | |
|----------|--------------|---------|----------------------|
| II ხოლმ. | მომკ-ი-ს | – აწმყ. | მო-ჰ-მკ-ი-ს (მკ-ი-ს) |
| | ჰ-ხად-ი-ს | – აწმყ. | ჰ-ხად-ი-ს |
| | გან-ჯრწნ-ი-ს | – აწმყ. | გან-ჰ-ჯრწნ-ი-ს |

ასევე – ფუნქციურ-სემანტიკური საფუძველი; ამ ორ მწკრივს ძვ. ქართულში განსხვავებული ფუნქციების გარდა (შდრ.: **აწმყ.**, ახლანდელი დრო, უსრული ასპექტი, ერთგზისობა – **II ხოლმ.**, წარსული დრო, სრული ასპექტი, მრავალგზისობა), საერთო ფუნქციაც უდასტურდება, კერძოდ **უდროო (მარადიული)** დროის გამოხატვა, აწმყოს – უფრო იშვიათად, II ხოლმეობითს – საკმაოდ ხშირად (ზ. სარჯველაძე). ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ II ხოლმეობი-

თის მოქმედება წარსული დროით ყოველთვის არაა შეზღუდული, ის შეიძლება განხორციელდეს როგორც ახლანდელ, ასევე – მომავალ დროშიც (ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი), საერთოდაც „ასპექტური უღლება დროულ გაგებას გამოირიცხავს.

ასპექტური უღლების ტემპორალურ უღლებად გარდაქმნის –, კონკრეტულად, ამ გარდაქმნის თანამდევნი პროცესის (ხოლმეობითი II > აწმყო) მიმართ არსებობს კითხვები, რომლებიც პასუხს ითხოვენ, მაგ., ზმნის უღლების სისტემაში მომხდარი ამ დიდი ცვლილების დროითი ფიქსაცია: აწმყო (ასევე, უწყვეტელს) წარმოება საერთოქართველური ფუძემენის დაშლისას უკვე ფაქტია (გ. მაჭავარიანი), მაშინ როცა ხოლმეობითი II-ის აღდგენის ალბათობა საათუოა (ი. მელიქიშვილი). ჩნდება სხვა საკითხებიც.

ამასთანავე, არსებობს ფაქტები, რომლებიც ხოლმეობითი II-ისა და აწმყო ისტორიული ურთიერთობის ჩიქობავასეულ ვერსიას უჭერს მხარს:

- ი თემის ნიშანი ქართულსა (მ კ - ი - ს, ჭ რ - ი - ს...) და სვანურში – ო - ს ყ - ი „აკეთებს“, ო - შ ხ - ი „წვავს“ (ეჯა ექას) და ხოლმეობითი II-ის მ ო - მ კ - ი - ს მან იგი და აწმყო მ ო - ჰ - მ კ - ი - ს იგი მას ძველ ქართულში.

მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა გაუდიფერენცირებლობა სვანურის აწმყო დროისა (ი - შ ხ - ი „წვავს“ – ი - შ ხ - ი „იწვის, იწვება...“ და ქართულის II სერიის, და, მათ შორის, ძვ. ქართულის II ხოლმეობითის ი- პრეფიქსიან ფორმებში (შ ე - ი - მ ო ს - ი - ს მან იგი – შ ე - ი - მ ო ს - ი - ს იგი).

ქართულში აწმყო - ი სუფიქსიან ფორმათა სუბიექტურ მრავლობითის III პირში II ხოლმეობითისეული - ა ნ სუფიქსის ქონა: აწმყ. ძვ. ქართ. გ ა ნ - ჰ - რ ყ უ ნ - ი - ს (რ ყ უ ნ - ი - ს) იგი მას

გ ა ნ - ჰ - რ ყ უ ნ - ი - ა ნ იგინი მას

II ხოლმ. გან-რყუნ-ი-ან მათ იგი

ასევე: იც-ი-ნ, უწყ-ი-ნ ე. წ. აწმყო ხოლმეობითის უიშვიათესი ფორმები და, საერთოდ, იც - ი - ს, უწყ - ი - ს, ჰ რ ქ ჯ - ა... ზმნათა ისტორია, - ი სუფიქსიანი აწმყო-ხოლმეობითის კუმშვა-უკუმშველობით დიფერენცირებული ვარიანტების არსებობა, შერეული კავშირებითისა და შერეული ხოლმეობითების იშვიათი ფორმების მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები, ვფიქრობთ „გააწმყოებული ხოლმეობითების“ ცნების რეალურობაზე მეტყველებს.

თე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

თანამედროვე ქართული ენის განახლებული ელექტრონული ორთოგრაფიული ლექსიკონის პირობითი ნიშნებისათვის

თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება მუშაობს თანამედროვე ქართული ენის განახლებულ ელექტრონულ ორთოგრაფიულ ლექსიკონზე. აღნიშნული ლექსიკონი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მართებული ან არამართებული ფორმების შესახებ ინფორმაციის დაინტერესებული პირისთვის მიწოდებას, მეორე მხრივ კი, იგი თვითონ იქნება მუდმივგანახლებადი ელექტრონული ფორმატის წყალობით.

ორთოგრაფიულ ლექსიკონებში ტრადიციისამებრ გამოიყენება პირობითი ნიშნები, რომლებიც ლექსიკონის მომხმარებელს ინფორმაციას აწვდის ამა თუ იმ ფორმის სისწორის, ნაკლებად მართებულობის ან, პირიქით, არამართებულობის შესახებ. ბუნებრივია, ელექტრონული ლექსიკონიც საჭიროებს ამგვარ მითითებებს, თუმცა მისი საძიებო სისტემისათვის მოუხერხებელი აღმოჩნდა ბეჭდური ვარიანტის ზოგი ასეთი პირობითი ნიშნის გამოყენება – იმ ნიშნებისა, რომლებითაც გაფორმებული სიტყვა ორთოგრაფიული ლექსიკონის ჩანაწერს იწყებს. ასეთებია: (...//), [...//], [... კი არა].

ზემოთ მოყვანილი პირობითი ნიშნებისათვის ჩვენ შევარჩიეთ შემდეგი ალტერნატიული ვარიანტები:

| ბეჭდური ლექსიკონი | ელექტრონული ლექსიკონი |
|----------------------------|--------------------------------------|
| (...//) | > ..., უპირატეს. – ... |
| (ჩასარიცხავი //) ჩასარიცხი | > ჩასარიცხავი, უპირატეს. – ჩასარიცხი |
| [...//] | > ... – შეზღუდ., ... |
| [პოლო //] ცხენბურთი | > პოლო – შეზღუდ., ცხენბურთი |
| [... კი არა] | > ... კი არა – ... |
| [ატანა არა აქვს კი არა] | > ატანა არა აქვს კი არა – ვერ იტანს |

რაც შეეხება, მრგვალ- ან კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულ პარალელურხაზებიან ვარიანტებს, რომლებიც ჩანაწერს არ იწყებს, ისინი გაფორმდება ბეჭდური ორთოგრაფიული ლექსიკონებისთვის მიღებული წესით.

ცნობები ჩეჩნეთის გეოგრაფიული სახელების შესახებ ნ. ი. დინიკის ნაშრომში „ჩეჩნეთსა და დაღესტანში“

1. ჩეჩნური დამწერლობა ჩამოყალიბდა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან. ახალდამწერლობიანი ენის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია თითოეული ახალი ლექსიკური ერთეული თუ ონომასტიკური მასალა, რომელიც იძებნება ისტორიულ წყაროებში, მოგზაურთა ჩანაწერებში...

2. ნ. დინიკის ნაშრომი „ჩეჩნეთსა და დაღესტანში“ ნახური საენათმეცნიერო ლიტერატურისთვის, რამდენადაც მასზე ხელი მიგვიწვდება, ცნობილი არ არის. იგი ეხება 1904 წლის ზაფხულში ავტორის მოგზაურობას ჩეჩნეთში მარშრუტით:

გროზნო, აული ვოზდვიჟენსკაიადან მდ. ჩანტი-არგუნის სათავის მიმართულებით თუშეთის საზღვრამდე; მეორე მიმართულება იმავე ვოზდვიჟენსკაიადან ვედენოს მიმართულებით, შემდეგ, კი - მდ. ხულხულაუს ხეობით დაღესტანში ბოთლიხის მიდამოებამდე.

3. ნაშრომში საინტერესოდ არის აღწერილი რუსი მოგზაურისა და მკვლევრის თვალით დანახული ჩეჩნებისა და დაღესტნის ბოთლიხის რეგიონის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება, დაწვრილებით არის შესწავლილი ფლორა და ფაუნა, გვხვდება ისტორიული ხასიათის ზოგი ცნობაც. ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვანია ნაშრომში დასახელებული გეოგრაფიული სახელები - ტოპონიმები, ჰიდრონიმები. გვხვდება, აგრეთვე, მცირერიცხოვანი ჩეჩნური ლექსიკაც.

4. მოხსენებაში საუბარია ნაშრომში გამოვლენილი ტოპონიმური მასალის შესახებ, შემდგომისდაგვარად ვიძლევიტ ამ მასალის ანალიზსაც.

სიტყვათმახვილი მეგრულში²

მეგრულში მახვილის საკითხებს იკვლევდა არაერთი მეცნიერი. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მეგრულში სიტყვათმახვილი მოდის: ორმარცვლიან სიტყვებში ბოლოდან მეორე მარცვალზე, სამ- და მეტმარცვლიანებში – ბოლოდან მესამეზე (ს. ჟღენტი, არნ. ჩიქობავა...).

მახვილთან დაკავშირებით ტ. გუდავას მოსაზრება ასე აქვს ჩამოყალიბებული: მეგრულში თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა, ხმოვნით დაბოლოებულებში – ბოლოდან მესამეზე, მაგრამ თუ ბოლო ხმოვანი გრძელია, ანუ ორმაგი, მაშინ ამ შემთხვევაშიც მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე იქნება.

მახვილზე მსჯელობისას ტ. გუდავას თვალსაზრისია დამოწმებული ავტორთა კოლექტივის გამოკვლევაში „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ (გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია), თუმცა მონოგრაფიაში „ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია“ აღნიშნულია, რომ ეს წესი არ მუშაობს (ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა).

ჩვენ მახვილის საკითხი შევისწავლეთ ექსპერიმენტულად – პროექტის „მეგრულ-ლაზური ინტონაცია“ ფარგლებში, სავლელ ექსპედიციის დროს, მოპოვებული მეგრული მასალა გავაანალიზეთ პროგრამა Praat-ის მეშვეობით.

ექსპერიმენტის შედეგად გამოვლინდა, რომ მეგრულში ერთმარცვლიან სიტყვებს ცალკე წარმოთქმისას მახვილი არ აქვთ; ორდა სამმარცვლიან სიტყვებს მახვილი მოუდით პირველ მარცვალზე (დასაწყისიდან), ანუ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრი ექსპერიმენტით გამყარდა; თუმცა რთულადაა საქმე მრავალმარცვლიან სიტყვებში: მახვილი ხან პირველ მარცვალზეა, ხან – მეორეზე, ხანაც – მესამეზე.

მეგრულში მთავარ მახვილთან ერთად თანამახვილის არსებობა პირველად შენიშნა ი. ყიფშიძემ, შემდგომ ჭ. ქირია მიუთითებდა მეგრულ სიტყვებში „ორი მახვილის“ არსებობაზე. მეგრულ მრავ-

² კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [217728, მეგრულ-ლაზური ინტონაცია].

ვალმარცვლიან სიტყვებში ჩვენი ექსპერიმენტის შედეგადაც გამოვლინდა თანამახვილი: უმეტეს შემთხვევაში ის მოდის მთავარი მახვილის მომდევნო ან წინა მარცვალზე.

მოხსენებაში დეტალურად იქნება წარმოდგენილი მსჯელობა მეგრულში მახვილის ადგილის შესახებ, ასევე წარმოდგენილი იქნება თვალსაზრისი მისი ბუნებისა და ფონოლოგიური ღირებულების თაობაზეც.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

თ ა ნ ა- და თ ვ ი თ- კომპონენტთა სტრუქტურულ-სემანტიკური ფუნქციისათვის

1. ყურადღებას იპყრობს ბატონი გურამ რამიშვილისეული „ენობრივი შინაარსის პრინციპის“ ანალიზიდან ამოზრდილი მრავლისმეტყველი დეფინიცია ადამიანთა ისტორიული ერთობისა: „**ენით** შეკრული საზოგადოება“. ეს უაღრესად საგულისხმო დეფინიცია გვკარნახობს, რომ **ენა**, თავის მხრივ, ერთგვარი „**სიტყვით** შეკრული საზოგადოებაა“, რომელშიც ხსენებულ „ენობრივ შინაარსს“ უწინარესად წარმოაჩენს არა წინადადება ან სიტყვის ბგერადობა, არამედ საკუთრივ **სიტყვა**, „სიტყვის სტრუქტურა“, თავისი ბგერით-ფორმოზომობრივი, სემანტიკური, სიტყვათწარმოებითი და სიტყვათშეერთებითი ერთობით, რადგან: „ბგერადობა უკავშირდება საგანს არა უშუალოდ, არამედ შინაარსობრივად გადამუშავებული სემანტიკური ერთეულებით“ (გ. რამიშვილი, „ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით“, გვ.10-14).

2. ამ თვალსაზრისით, მივმართავთ ქართული **თანა-** და **თვით-/თვის** კომპონენტების შემცველ თხზულთა ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეებს, რომელთაგან თვალში საცემი პოზიტიური სემანტიკური პარადიგმების შემცველი **თანა-**კომპონენტია ბუდე (150-მდე ლექსიკური ერთეული) მკვეთრად უპირისპირდება ნეგატიური სემანტიკური პარადიგმების შემცველ **თვით-/თვის** კომპონენტთან (50-მდე ლექსიკური ერთეული).

3. აღნიშნული ლექსიკურ-სემანტიკური ბუდეების ანალიზისას, ეკლესიის წმიდა მამათა თარგმანებაზე დაყრდნობით, სათანადოდ მოხმობილია საღვთისმეტყველო-კატეხიზისური განმარტება ძვ.ქართ. **თანა-** და **თვთ-/თვს** (ასევე **თავ(ის)-**) კომპონენტთა შემცველი რამდენიმე ლექსემისა (**თანა-არსობა** „მარადიულობა; არსებობა“, **თანა-მოთაული** „მონაწილე; მოზიარე, თანაზიარი; თანასწორი“, **თანა-შეტყუება** „თანასწორობა, თანაფარდობა; შესაბამისობა; შედარება“, **თვთნება** „ურჩი, თავნება“, **თვთოსახე** „ნაირგვარი“, **თვსად-თანად** „მარტოდა; ცალკე“ და სხვა).

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

კახეთის რეგიონის სოფლების სახელწოდებანი 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მასალებში

კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მასალები საინტერესოა სოფლების სახელწოდებების თვალსაზრისით. დოკუმენტები მოიცავს გლეხთა ჩვენებებს სოფლების მიხედვით, რომლებიც ერთიანდებიან თელავისა და სიღნაღის მაზრებში. მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ იმ სოფლებზე, რომელთა სახელწოდებებიც დღესდღეობით შეცვლილია, ან იყო და აღარ გვხვდება.

აღნიშნულ საკვლევ მასალაში დასტურდება ზოგი ისეთი სოფელი, რომლის ლოკალიზაცია დღეს ჭირს, მაგალითად, სოფელი **ბაღბიანი** და **საჩერქეზიშვილო**. სოფელი **ბაღბიანი** მდებარეობდა ხაშმის მიმდებარედ, თუმცა დღესდღეობით არ დასტურდება ეს სახელწოდება. შესაძლოა ეს სოფლები რომელიმე სხვა, ახლო მდებარე სოფელს შეურთდა და ამიტომ აღარ არსებობს, როგორც ადმინისტრაციული ერთეულები.

დოკუმენტებში ვხვდებით სოფლის ისეთ სახელწოდებებს, რომლებიც დღევანდელი მონაცემებისგან განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტით არის წარმოდგენილი, მაგალითად, **კოლაგირე**: „# 19. 1812 წ. მარტი – სოფ **კოლაგირესა** და ჩალაუბნის მცხოვრებთა მოხსენება იოსებ ანდრონიკოვს“. ვახუშტი ბატონიშვილს სოფლის სახელწოდება მოხსენიებული აქვს როგორც **კოლაქი**. სოფელს ამაჟ-

მად კოლაგი ჰქვია. საკვლევი მასალის ტექსტში სოფელს ამ სახელწოდებითაც მოიხსენიებენ გლეხები, ანუ დადასტურდა სოფლის სახელწოდების პარალელური ვარიანტები.

დოკუმენტებში ვხვდებით ტოპონიმს – **კარდანეხი**. გ. ბედომვილის „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“, (2002 წ.) მითითებულია სოფლის სახელწოდების სამი ვარიანტი : **კარდენახი**, **კარდანახი**, **კარდანეხი**. ავტორი სახელს **კართ ვენახს** უკავშირებს. სახელწოდებას უნდა გაეგლო ცვლილების შემდეგი ეტაპები: **კართ-ვენაჯი — კარდვენაჯი — კარდენახი**. ამჟამად სოფლის სახელწოდებაა **კარდენახი** და ის სხვა ვარიანტით არ დასტურდება და არც მაცხოვრებლები არ მოიხსენიებენ განსხვავებული სახელწოდებით.

დოკუმენტებში ვეჯინი **ვეჯინის** სახელწოდებით გვხვდება. „მატიანე ქართლისაჲ“ და „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსები“ ვეჯინის სახელით იცნობენ სოფელს. დოკუმენტებშიც სწორედ ამგვარ ვარიანტს ვხვდებით. შემდგომი პერიოდში მოხდა **ჟ-ს ჯ-დ** შეცვლა და მივიღეთ **ვეჯინი**.

მოხსენებაში მრავალი სხვა საკითხია დასმული.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

ინტონაციის ცნებისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში³

ქართულ თუ უცხოურ ლიტერატურაში ინტონაციის ცნება სხვადასხვაგვარად არის გაგებული და, შესაბამისად – მისი განსაზღვრებაც განსხვავებულია.

მიაჩნიათ, რომ ინტონაცია არის: გამონათქვამში ტონის მოძრაობა, მისი აწევ-დაწევა; პროსოდიულ ელემენტთა რთული კომპლექსი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სინტაქსური მნიშვნელობებისა და კატეგორიების გამოსახატავად; გამონათქვამის ფონეტიკური

³ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [217728, მეგრულ-ლაზური ინტონაცია].

გაფორმება პაუზიდან პაუზამდე; მეტყველების რიტმიკო-მელოდიკური მხარე, რომელიც გამოიყენება სინტაქსური მნიშვნელობებისა და ემოციურ-ექსპრესიული ელფერის გამოსახატავად; ზეპირი მეტყველების მნიშვნელოვანი ნიშანი, წინადადების (გამონათქვამის) გაფორმების, მისი კომუნიკაციური აზრისა და ემოციურ-ექსპრესიული ელფერის დაზუსტების საშუალება; სუპერსემანტიური ფონოლოგიური მოვლენა, რომელიც ზემოდან ეფინება მთლიანად გამონათქვამს - წინადადებას თუ მის რომელიმე ნაწილს.

მიიჩნევენ, რომ ინტონაცია ძირითადად სინტაქსური მნიშვნელობებისა და ემოციების გამოსახატავი საშუალებაა.

მნიშვნელოვანია ინტონაციის კომპონენტების (მელოდიკა, რიტმიკა, ტემბრი, გრძივობა, პაუზა, ტემპი, ინტენსივობა, მახვილი) და მისი ერთეულების (სინტაგმა, მოტივი, ინტონემა) შესწავლა. ამ საკითხთან მიმართებითაც არ არის აზრთა ერთგვარობა. მკვლევრები სხვადასხვაგვარად აჯგუფებენ ინტონაციის კომპონენტებს და თავისებურ შეხედულებას გამოხატავენ იმის შესახებ, თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული ინტონაციის ერთეულებად.

ვფიქრობთ, რომ ინტონაცია წარმოადგენს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნიშანთა ერთობლიობას და მნიშვნელოვანია მისი შესწავლა ყველა დასახელებული კომპონენტის გათვალისწინებით.

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. 87-92

87. რეგიონულ სამეცნიერო სესიებს იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებზე, როგორც უკვე აღვნიშნე, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ქალაქში 1965 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ მართავდა მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც აკად. არნ. ჩიქობავა ხელმძღვანელობდა (1985 წლიდან - ბ-ნი არნოლდის გარდაცვალების შემდეგ - აკად. ქ. ლომთათიძე). სულ 13 სესია ჩატარდა. ბ-ნი არნოლდი არ იყო საორგანიზაციო კომიტეტის ფორმალური თავმჯდომარე, როგორც ეს ხშირად

ხდებოდა: იგი უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა სამეცნიერო სესიის მომზადებისა და ჩატარების პროცესს, რომელშიც ჩართული იყვნენ ძირითადად ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების თანამშრომლები. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საორგანიზაციო კომიტეტის სწავლული მდივნის პროფ. ალ. მაჰომეტოვის ღვაწლი, რომელიც დიდ ენერგიას ახმარდა ამ საქმეს (მეორე სესიიდან, რომელიც თბილისში ჩატარდა 1967 წელს, მეც ვიყავი ჩართული საორგანიზაციო საქმიანობაში).

საორგანიზაციო მუშაობის ხელმძღვანელობის გარდა, აღსანიშნავია აკად. არნ. ჩიქობავას სხვა სახის მონაწილეობაც: საინტერესო შესავალი სიტყვით გამოდიოდა პირველ სხდომაზე, კითხულობდა სიახლითა და სიღრმით გამორჩეულ მოხსენებას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა დისკუსიაში, ხოლო დასკვნით პლენარულ სხდომაზე გამოდიოდა შემაჯამებელი სიტყვით, რომელშიც აფასებდა გამართული სესიის სამეცნიერო დონეს და საორგანიზაციო კომიტეტისა თუ მასპინძლების მიერ გაწეულ მუშაობას.

VII რეგიონული სამეცნიერო სესია, რომელიც მიემდგნა იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნის მორფოლოგიურ და მოდალურ კატეგორიებს, გაიმართა 1975 წლის 9-11 სექტემბერს ადიღეს ავტონომიური ოლქის დედაქალაქ მაიკოპში. ადიღეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მიერ სხდომის გახსნის შემდეგ შესავალი სიტყვა წარმოთქვა აკად. არნ. ჩიქობავამ; აღინიშნა, რომ ზმნა იბერიულ-კავკასიურ ენებში ერთგვაროვანი არ არის, კერძოდ, ამ ენებში წარმოდგენილია უღვლილების სამი ტიპი – კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი და პიროვანი, ლეზგიურ და ალულურ ენებში კი ზმნა არც კლასისა და არც პირის მიხედვით არ იცვლება, ამასთან, ზმნის ისტორიული თვალსაზრისით შესწავლა იბერიულ-კავკასიურ ენებში ბევრ საერთოს გამოავლენს. ცხადი ხდება კ. უსლარის მიერ ხაზგასმული იმ თვალსაზრისის სიზუსტე, რომლის თანახმადაც, ეს ენები, საოცარ მრავალფეროვნებასთან ერთად, ღრმა ნათესაურ თვისებებს წარმოგვიდგენენ.

შემდეგ ბ-მა არნოლდმა განაგრძო: კავკასიური ენების შესწავლა უნდა მოხდეს მკაფიო თეორიულ მოსაზრებათა საფუძველზე, რის გარეშეც კვლევა-ძიება სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს. კერძო საკითხების ანალიზიდან უნდა წავიდეთ განზოგადებისაკენ...

პირველი მოხსენება პლენარულ სხდომაზე აკად. არნ. ჩიქოვა-
ვას მოწაფემ, პროფ. ზ. კერაშევამ წაიკითხა. მისი მოხსენება იყო ერ-
თგვარი ანგარიში ადიღელი (ჩერქეზი) სპეციალისტების მიერ მშობ-
ლიური ენის კვლევის თვალსაზრისით ჩატარებული მუშაობის შესა-
ხებ (დასკვნით პლენარულ სხდომაზე ბ-მა არნოლდმა ასეთი მოხსენ-
ების ტრადიციად დამკვიდრებას დაუჭირა მხარი).

ამის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა აკად. არნ. ჩიქოვა. მის
მოხსენებაში განხილული იყო საკითხი გარდამავლობის, როგორც
მორფოლოგიური კატეგორიის, შესახებ ქართველურ ენებში, რომ-
ლებშიც ამჟამად ზმნის გარდამავლობა განისაზღვრება მასთან და-
კავშირებული უახლოესი ობიექტის მიხედვით (ე. ი. სინტაქსურად),
ისტორიულად კი ზმნის გარდამავლობას ა- პრეფიქსი განსაზღვრავ-
და, რომელიც წარმოშობით უახლოესი ობიექტის ნიშანი უნდა იყო-
სო (*სა > ჰა > ა).

სესიის შედეგების შეჯამებისას არნ. ჩიქოვაამ აღნიშნა ადგი-
ლობრივი სპეციალისტების წარმატება, რომელთაც ეკუთვნოდა სე-
სიაზე მოსმენილი 47 მოხსენებიდან 12, ეს ადიღელი კოლეგების შე-
სამღებლობებზე მიუთითებსო. წინათ გრამატიკისა და ლექსიკონის
შესადგენად აკადემიები იქმნებოდა. ადიღეში არ არის აკადემია,
მაგრამ ლექსიკონებსა და გრამატიკებს ადგენენ.

გრამატიკა არსებობს 2000 წელზე მეტია. გვექონდა ფილოლო-
გიური, ფილოსოფიური და ისტორიული გრამატიკა. XX საუკუნეში
ჩამოყალიბდა დესკრიფციული ენათმეცნიერება, რომელმაც სინქრო-
ნია წინა პლანზე დააყენა, მაგრამ ვერ გადაჭრა თეორიული გრამა-
ტიკის გადასაწყვეტი საკითხები. ვერც XIX საუკუნის ისტორიულმა
გრამატიკამ და ვერც XX საუკუნის აღწერითმა გრამატიკამ ეს საკი-
თხები ვერ გადაწყვიტეს.

რით აიხსნება ის გარემოება, რომ პრობლემის დაძლევა ვერ
მოხერხდა? ეს იმიტომ ხდება, რომ აღწერისას არ არის გათვალისწი-
ნებული ენობრივი ფაქტის სირთულე, რაც იმაში გამოიხატება, რომ
ფუნქცია და სტრუქტურა ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა.

ჩვენ მხარს ვუჭერთ თეორიული საკითხების ფართო განხილ-
ვას, ამ საკითხების ანალიზს ჩვენი ენების მაგალითზე, შემოქმედე-
ბით განხილვებს, რომლებიც იქნება მიუკერძოებელი და ავტორიტე-
ტებისაგან დამოუკიდებელი.

დასასრულ, ბ-მა არნოლდმა მადლობა გადაუხადა სამეცნიე-
რო სესიის ორგანიზატორებს, რომლებმაც უზრუნველყვეს სესიის
ოპტიმალურ პირობებში ჩატარება... ადგილობრივი სპეციალისტე-

ბისათვის მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ ბ-მა არნოლდმა მათ მიმართ სათანადო მხარდაჭერა გამოხატა: იმედია, ოლქის ხელმძღვანელობა მომავალშიც გაუწევს საჭირო დახმარებას ენათმეცნიერებს, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიანო.

88. არაერთხელ აღმოჩენილა ბ-ნი არნოლდი საფრთხის წინაშე... მისი წიგნი „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942) სტალინურ პრემიაზე წარუდგენიათ. გულწრფელად უთქვამს უარი: ახლა ომია და რა დროს წიგნისთვის პრემიის მიცემააო. ეს განცხადება პროტესტად ჩაუთვალეს და კინაღამ ამას შეეწირა (თურმე პრემია უნდა ამელო და შემდეგ საომარი მოქმედების ფონდისათვის გადამეცაო). როგორც ამბობენ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტს აკად. ს. ჯანაშიას უხსნია განსაცდელისაგან...

89. ადამიანების მოკლე და მარჯვე დახასიათება იცოდა. მოვიყვან რამდენიმეს (პიროვნების დაუსახელებლად):

– საქმის ერთგული და ბეჯითი ადამიანია.

– კარგ ამინდში კარგია და ცუდ ამინდში როგორ მოიქცევა, ვერაფერს მოგახსენებთ.

– ნეგატიურს კარგად აყალიბებს, პოზიტიურის ჩამოყალიბება უჭირს.

– ნიჭიერი კაცია, მაგრამ – ყალბი.

– სვამს, მაგრამ ნაყოფიერად მუშაობს, ზოგი არცა სვამს და არც მუშაობს.

– მონოპოლიის მოპოვება უნდა და კოლეგებს მეტოქეებად აღიქვამს.

– იმპროვიზატორი და პოზიორი (ერთ უცხოელ სპეციალისტზე).

– თავს იმართლებს, კორექტურულ შეცდომებს ვერ ვამჩნევო და კორექტურას უყურადღებოდ ან სულ აღარ კითხულობს... მე კი ტექნიკური მდივანი არასოდეს მყოლია და ვერც ვერავისი მდივანი ვიქნებო...

90. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250 წელი აღინიშნებოდა (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის დაარსება პეტრე პირველის დამსახურებაა და საბჭოთა აკადემია მის მემკვიდრედ მიიჩნეოდა). საქართველოდან დელეგაცია მიემგზავრებოდა აკადე-

მიის პრეზიდენტის აკადემიკოს ი. ვეკუას ხელმძღვანელობით. ბ-ნი არნოლდი დელეგაციის შემადგენლობაში იყო. იგი აკადემიის ადმინისტრაციას უნდა წაეყვანა აეროპორტში. მანქანას ჩემთან უნდა გამოეყო დილის 7 საათისათვის, მერე ბ-ნი არნოლდს გავუვლიდით და წავიდოდით აეროპორტში... მანქანამ დააგვიანა: 8-ის ნახევარზე ჯერ კიდევ არ იყო მოსული (შემდეგ აკადემიაში მისულმა გავარკვიე, რომ მანქანა გაფუჭებულია, მაგრამ ეს არ შეუტყობინებიათ...)... ტაქსი დავიჭირე და სახლთან 15 წუთში მივედი... ბ-ნი არნოლდი ჩაცმული და ძალიან აღელვებული დამხვდა. მისაყვედურა, მაგრამ ვითარება რომ ავუხსენი, ადმინისტრაციის უპასუხისმგებლობას გაუსვა ხაზი. ჩავსხედით მანქანაში. პირველად და უკანასკნელად ვნახე, რომ ბ-ნი არნოლდი მძღოლს აჩქარებდა (სხვა დროს სიარულის შენელებას მოითხოვდა ხოლმე), აეროპორტში თვითმფრინავის გაფრენამდე 45 წუთით ადრე მივედი.

ბ-ნი არნოლდი მძღოლს: მრიცხველი რამდენს აჩვენებს?

მძღოლი მოიღუპა: 10 მანეთს...

ბ-ნი არნოლდი: ეს 10 მანეთი, ეს 10 კიდევ პრემიაა...

მძღოლს სახე გაუნათდა, ბ-ნი არნოლდის ჩემოდანს დაავლო ხელი და აეროპორტის შესასვლელ კარამდე მიგვაცილა... ძლივს მივუსწარით: რეგისტრაცია რამდენიმე წუთში მთავრდებოდა.

91. ბ-ნი არნოლდს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე აინტერესებდა, სპორტულ მოვლენებსაც ყურადღებით ადევნებდა თვალს (რამდენჯერმე სტადიონზეც ყოფილა)...

1978 წლის აგვისტოში ტაშკენტის „ფახთაქორის“ გუნდი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. სასწრაფოდ შეაკოწიწეს ახალი გუნდი სათადარიგო მოთამაშეებისა და გუნდში სხვა კლუბებიდან გადასული ფეხბურთელებისაგან (მათ შორის ერთი ქართველიც იყო). ბუნებრივია, ასეთ პირობებში ჩამოყალიბებული გუნდი კარგად მომზადებული ვერ იქნებოდა. ამ დროს თბილისის „დინამო“ შეხვდა ტაშკენტის „ფახთაქორს“ და წააგო. ჩვენს ფეხბურთელებს, ასე ვთქვათ, თავი არ მოუკლავთ, თორემ გამარჯვება არ გაუჭირდებოდათ (სხვა გუნდები ასე არ მოქცეულან).

აგვისტოს ბოლო იყო. ბ-ნი არნოლდთან ავედი ოქროყანაში, როცა მომხდარის შესახებ ვუამბე, სიხარულით თვალეები გაუბრწყინდა და გულაჩუყებულმა თქვა: კაცურად მოქცეულანო.

92. აკად. არნ. ჩიქობავამ იღვაწა როგორც ჭეშმარიტად დიდ მეცნიერსა და ღირსეულ მოქალაქეს შეეფერება, სიკვდილსაც ღირსეულად შეხვდა. მის უკანასკნელ დღეებს 1985 წელს მივუძღვენი წერილი, ახლა კი მინდა შემოკლებით გავიმეორო ადრე ნათქვამი...

„ეტყობა დიდმა ადამიანებმა არა მარტო ცხოვრება – სიკვდილიც გამორჩეული იციან, სამაგალითო.

ბატონმა არნოლდმა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც შეინარჩუნა მისთვის დამახასიათებელი მაღალი ადამიანური თვისებები – უწინდებურად სიკეთესა და სიბრძნეს აშუქებდა, მით ყველას ავსებდა და ამდიდრებდა. არ დაუკარგავს მისი მაღალი ინტელექტისა და ფაქიზი გემოვნებისათვის ჩვეული იუმორის გრძნობაც.

შუალამე იყო, ცუდად რომ შეიქნა თურმე, მაგრამ მომვლელ ქალს აუკრძალა ახლობლებისა და მკურნალი ექიმის გამოძახება: მთელი დღე აქ იყვნენ, ცოდონი არიან, დადლილები იქნებიანო... არც ჩემთვის დაურეკავთ.

დილას მძიმედ დაგვხვდა. ექიმიც შეშფოთებული იყო. ასეთ დღეში რომ ვნახეთ, ზოგ ჩვენგანს ცრემლი მოერია. თვითონ ერთი წამითაც არ დაუკარგავს ღირსება და წონასწორობა; სიკვდილი არ აშინებდა. რამდენჯერმე გაიმეორა: „სიკვდილი არაა მწელი, კვდომის პროცესია საძაგელი“.

კვდებოდა მშვიდად, უშფოთველად, მოსახდენის გარდაუვალობის შეგნებით. შეწუხებულებს გვამშვიდებდა: „ფილოსოფიურად შეხედეთ, ფილოსოფიურად... საკმაოდ დიდხანს ვიცოცხლე. ერთხელაც იქნება ხომ უნდა დამთავრდეს“.

შუბლზე ნათელგადაფენილი იწვა და ისევ ისე ბრძნად მეტყველებდა. ეს გარემოება უფრო ამძაფრებდა მოსალოდნელი უბედურების მძიმე განცდას.

წუხდა მხოლოდ იმას, რომ ზოგი საქმე გაუკეთებელი დარჩა. რამდენჯერმე წამოჯდა კიდეც ლოგინზე: „უნდა დავწერო, უნდა დავამთავრო... ასე როგორ იქნება“. სამეცნიერო სესიაზე წასაკითხი მოხსენების დამთავრებას ემუშრებოდა... გაჭირვებით ჩაჯდა სავარძელში: იქნებ როგორმე მაგიდასთან მიმიყვანოთო, მაგრამ შეუძლოდ გახდა, გაჯავრებით ჩაიქნია ხელი – თავის უძლურებას თუ უწყრებოდა...

წუხდა, მისი პირადი ბიბლიოთეკა, ანდერძით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს რომ დაუტოვა, აღუწერელი რჩებოდა. ოქროყანის აგარაკიც გაიხსენა, ენათმეცნიერების ინსტიტუტს რომ

უნდერძა: მის სათანადოდ მოვლა-პატრონობას თუ შეძლებენო... ელენე ახვლედიანისა და ლადო გუდიაშვილის ნახატების ბედზე კი დამშვიდებული იყო: მადლობა ღმერთს, დავაბინავებო (ე. ახვლედიანის სამი და ლ. გუდიაშვილის ორი მხატვრული ტილო გარდაცვალებამდე წლინახევრით ადრე ქართული ხელოვნების მუზეუმს გადასცა საჩუქრად).

წუხდა მოწაფეებზე, მის მიერ შექმნილი სამეცნიერო სკოლის მომავალზე...

„წელიწდეულის“ ბეჭდვის საქმე როგორ მიდისო, რამდენი მოხსენების თეზისები მიუღიათ ნალჩიკშიო, – გვეკითხებოდა ინტერესით.

საავადმყოფოში დაწოლას დიდხანს უარობდა. ატყობდა თავის უიმედო მდგომარეობას: „როცა საიქიოს საგზური გამოწერილია, იმისი დაბრუნება არავის ძალუმს... არავის შეუძლია განრღვეულის აღდგინებაო“ (ერთი ჩვენი კოლეგისათვის კი ფიზიკურად დაუძლურებულს უთქვამს: „ახლაღა მივხვდი, თუ რას ნიშნავს ძველი ქართული სიტყვა განრღვეულიო“).

აუტანელ ტკივილებს უდრტვინველად იტანდა: არც კვნესოდა, არც ჩიოდა... იცოდა, არაფერი უშველიდა. მედიცინაში ღრმად განსწავლულს, ძნელი წარმოსადგენია, ამ მხრივ რისიმე იმედი ჰქონოდა. აკი უთხრა კიდეც ერთ დილას მკურნალ ექიმს: „ფინიშისაკენ მივდივარ, ფინიშისაკენ, მაგრამ არაფერია...“

მიუხედავად ამისა, სამედიცინო პერსონალის გულწრფელ დამოკიდებულებას რომ ხედავდა, მათი გაწბილება არ უნდოდა და ყველა მითითებას უსიტყვოდ ასრულებდა: „ეს წამლები არაფერს შველის, მაგრამ არც არაფერს წაახდენს და უხერხულია, რომ არ მივიღო“.

გარდაცვალების წინა საღამოს ხალხური სიმღერების მოსმენა ინატრა, მაგრამ ამჯერად ვერ მოვასწართ მისი სურვილის შესრულება (მისუსტებულს მალე ცნობიერება წაერთვა...).

რამდენიმე თვის წინ კი, მძიმე ავადმყოფს, მისი თხოვნით, ან-სამბლ „ფაზისის“ წევრები – ლევან ღვინჯილია და დავით გველესიანი ეწვივნენ ჩონგურით. ორი საათის განმავლობაში მღეროდნენ (მათთან ერთად – ჩვენი კოლეგა შუქია აფრიდონიძე). თვითონაც ხმას აყოლებდა. სიმღერა რომ ჩათავდებოდა, ისეთ კომენტარს ურთავდა, პროფესიონალს შეშურდებოდა. თვითონ კი მორიდებით იბოდიშებდა: ასეთია არასპეციალისტის აზრიო. ერთი სიმღერა („ასე

ჩონგური...“) რომ მოისმინა, ცრემლები მოადგა: ბავშვობაში დედაჩემი ხშირად გვიმღეროდაო. რამდენჯერმე გაამეორებინა, ბოლოს, მადლობა რომ გადაუხადა, დაატანა: ახლა კი შეიმღება სიკვდილიო. როცა ის დრო მოვა, კარგი იქნება სვანური ზარიო (შოპენი კარგია, მაგრამ ზარი სჯობიაო).

საოცრად უყვარდა ხალხური სიმღერები. იტყოდა ხოლმე: „ხალხური სიმღერა, ენის შემდეგ, ერის მეობის ყველაზე არსებითი ნიშანიაო“. აკი ხალხური სიმღერებით გააცილეს კიდევ უკანასკნელ გზაზე...

უკანასკნელ საღამოს კი, როცა წუთი წუთზე ველოდით დიდი ადამიანის აღსასრულს, მცირე ხნით მის სასთუმალთან განმარტობულმა შევბედე და, პირველად ჩემს სიცოცხლეში, თვალდახუჭულს ხელის ზურგზე ხელი დავადე, მოვეფერე. მეგონა ვედარაფერს გრძნობს-მეთქი.

უცებ... დავინახე, რომ თვალები გაახილა და დაწმენდილი მზერით შემომხედა. დავიბენი და... „ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი“, – ესლა მოვახერხე. უხერხულად გამომივიდა... „თქვენ... თქვენ ნუ შეგეშინდებათ“, – წყნარად მიპასუხა და თვალები დახუჭა. მეტი აღარაფერი უთქვამს... რამდენიმე საათში გარდაიცვალა. სიკვდილის სარეცელზე ისევ სხვაზე ფიქრობდა...

ბატონი არნოლდი ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან. თავისი უზარმაზარი ტალანტი და დიდი შემოქმედებითი ენერგია უშურველად შეაღია საქვეყნო საქმეს, დიდი ნაღვაწიც დაგვიტოვა. მაინც გვაწუხებს ეჭვი, სინანული: ფიზიკურ ძალებს რომ არ ეღალატა, კიდევ რამდენის გაკეთება შეეძლო, ვფიქრობთ, რადგან ვიცით: თუ კიდევ იცოცხლებდა, იცოცხლებდა არა ოდენ არსებობისათვის – უნაყოფო სიცოცხლე მას არ შეეძლო, არც უნდოდა, არც შეეფერებოდა... მისი ცხოვრების ფორმა ხომ აზროვნება და მუშაობა იყო, მაღალი დონის აზროვნება, მაღალ მოქალაქეობასთან და მაღალ ზნეობასთან შეხამებული... მისი დიდი და ნათელი პიროვნება მთელს ჩვენს საზოგადოებას, მთელს ჩვენს ქვეყანას ამშვენებდა.

არნოლდ ჩიქობავა მოუკვდა სრულიად საქართველოს, მთელ ქართველ ხალხს. ამ საერთოეროვნულ სატიკვარს კარგად გამოხატავს მისი მოწაფის – ნოდარ ანდლულაძის სიტყვები: „მივუსამძიმროთ ერთმანეთს მისი წასვლა ამ ქვეყნიდან“.

1985 წლის 11 ნოემბერი

ნარატივი, როგორც ლექსიკური ერთეული, თანამედროვე ქართულში

თანამედროვე ქართულ ენაში მოძალეზულ უცხო სიტყვებსა (უმეტესად ტერმინებსა) და გამოთქმებს, საკმაოდ ხშირად, თამამად უმშვენებს მხარს მანამდე სრულიად კანონზომიერად არსებული და საჭირო უცხო სიტყვის – ტერმინის – უსაფუძვლოდ აქტიური და ხშირი გამოყენება.

ტენდენცია, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში ამოჩემებული უცხო სიტყვა საარსებო სივრცეს იფართოვებს და იკავებს, რა თქმა უნდა, მოტივირებულია – განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით. ამ ტენდენციის მასაზრდოებელი, უპირველესად, პოლიტიკური დისკურსია (სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ჩვენს თვალწინ „ყურისმომჭრელად“ გააქტიურებული და დამკვიდრებული: ლობი, პიარი, კონსესუსი, ინსინუაცია, კოჰაბიტაცია და მრავალი სხვა. ცხადია, ამას ემატება თვით ამ სიტყვებიდან ქართულის ნიადაგზე ნაწარმოები ლექსიკური ერთეულებიც: ლობირება, გაპიარება და ა. შ.). ყველაზე ხშირად, სწორედ პოლიტიკური დისკურსით იწყება „სამოქალაქო სივრცის“ მოპოვება და გაფართოვება ამგვარი სიტყვებისათვის. ერთ-ერთი ამოჩემებული და მოდური სიტყვაა თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში **ნარატივი**. არის კონტექსტები, სადაც ამ სიტყვის გამოყენება, უბრალოდ, ა) აუცილებელი ან ბ) დასაშვებია (მაგ., სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაში, პუბლიცისტიკაში: „ნარატივს ან თხრობით რიგს ნაწარმოები მიეკუთვნება კომუნიკაციური სტრუქტურის ნიშნების მიხედვით“; „პოეტურ ნარატივში ჩანს ეგრეთ წოდებული „ჟანრული აზროვნება“; „მარტის ნარატივი“; „ამასობაში პოლიტიკური ნარატივი თავისი გზით განვითარდა“ და მისთ.), თუმცა ამ სიტყვის უსაფუძვლო და არასათანადო გამოყენება იმდენად ხშირია, რომ საზოგადოების სამართლიან შენიშვნებს (ირონიას და გულისწყრომას) იწვევს. აი, ამის დამადასტურებელი ერთი ამონარიდი ქართული პრესიდან: „ამ სიტყვას თითქმის ყველა პოლიტიკოსი იყენებს. თანაც ისე გემრიელად ამბობენ, რომ სიტყვა კი არა საჭმელი მგონია და სურვილი მიჩნდება „ნარა-

ტივს“ აჯიკა ან ტყემალი მოვასხა... ძალიან ბევრი ლამაზი ქართული სიტყვა გვაქვს, მაგრამ – არა, უყვართ ქართველებს უცხო სიტყვები“ („კვ. პ.“, № 1, 2018 წ., გვ. 32). სრულიად გაუმართლებელია ამ სიტყვის გამოყენება ისეთ კონტექსტებში, როგორცაა, მაგ.: „თქვენ უნდა განსაზღვროთ ნარატივი თქვენი ქვეყნისთვის. თუ თქვენ არ განსაზღვრავთ, ვინმე სხვა ჩრდილოეთით განსაზღვრავს მას თქვენთვის ან დააფინანსებს მავნე ძალებს ქართულ საზოგადოებაში, რათა განსხვავებული ნარატივი განსაზღვრონ, რომელიც თქვენს ინტერესებში არ შედის“ („ქრონიკა +“, № 6, 2018 წ., გვ. 10) და მრავალი სხვ.

კონტექსტთა ანალიზი მოწმობს, რომ **ნარატივი** ანაცვლებს და, ფაქტობრივად, სიტყვათხმარებიდან აძევებს ისეთ სიტყვებს, როგორცაა: ამბავი, საუბარი, თხრობა, მსჯელობა, შეფასება, აზრი, მოსაზრება, თვალსაზრისი, ხედვა და ა. შ. (შდრ. ქართული ზედსართავი სახელი **მაგარი**, რომელმაც განდევნა უამრავი ზედსართავი სახელი, რამდენადაც ყველაფერი – კარგიცა და ცუდიც – მხოლოდ „მაგარია“!). ფაქტია, რომ ენას (და აზროვნებასაც, შესაბამისად!) აზარალებს არამართო ბარბარიზმები, არამედ ბარბაროსულად, დაუდევრად გამოყენებული სიტყვები – უცხოურიცა და მშობლიურიც.

ენობრივი ვითარების ლინგვისტური ანალიზისა და შეფასების გვერდით, აუცილებლად უნდა დაისვას ასევე კითხვები: მოცემულ კულტურულ პარადიგმაში ვინ არის პოლიტიკოსი – ნარატორი? თუ ასეა, რას ქმნის იგი – ნარატიული ჟანრის ნაწარმოებებს? მოგონებანი და მემუარები სხვა პარადიგმა! ამ კითხვებზე დადებითი პასუხის შემთხვევაში პოლიტიკოსი არ არსებობს, უარყოფითი პასუხი კი ისევ სამართლიან კითხვას ბადებს: თუკი პოლიტიკოსი არც ნარატორია და არც ნარატიული ჟანრის კალმოსანი, მაშინ რას ერჩის **ნარატივს** და, მით უმეტეს, საზოგადოებას?!

მეორეული რ -> ლ' || ლ' ლატერალიზაციის ფონეტიკური პროცესის შესახებ ჩერქეზულში

სინდურ-ქართველურ ფონემურ მიმართებებში საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც აფხაზურ-აბაზურ რ ფონემას ჩერქეზული ლ' ლატერალი შეესატყვისება. მსგავსი ნიმუშები აფხაზურ-აბაზურის სასარგებლოდ მეტყველებს, ვინაიდან იმავე ძირის (საერთო წარმომავლობის) სიტყვებში როგორც ქართველური, ისე დაღესტნური მასალა ამოსავალ რ-ს უჭერს მხარს, შდრ.:

- (1) ს.-ქართვ. ***ხუმარ-** „ხუმრობა; ხუმარა; თამაში“ (ქართ. **ხუმარ-**ი „მასხარა“ (საბა), **ხუმრ-**ობ-ა, მესხ. **ხუმარ-**ი „თამაში“, სვან. **ხუმარ-/ხუმარ-**, ლი-**ხუმარ-**წლ „ხუმრობა“) : ს.-სინდ. ***ჭუმალ'**- „თამაში, ცეკვა, გართობა“ (უზბიხ. **ჭუმალ'**-ა „თამაში, ცეკვა“, აბაზ. **ჭუმარ-**რა „თამაში“, **ჭუმარ-**გა „სათამაშო“, აფხაზ. ა-**ხუმარ-**რა „თამაში“, ა-ყჩუგრ-**ხუმარ-**რა „ჯირითობა“)
- (2) ს.-ქართვ. ***ჰერ-** „ერი, ჯარი“ (ქართ. **ერ-**ი, **ჰერ-**ი (ეთნონ.), **ჰერ-**ეთ-ი, ზან. (მეგრ.) **ერ-**ებ-ი „დიდი ოჯახი“; „ერთობა; ერი“, სვან. **ჰერ, დერ** (ლშხ.) „ერი“) : ს.-სინდ. ***რჩ** „ჯარი“ (უზბიხ. **ლ'ა** „ჯარი“, აბაზ. **რგ**, აფხაზ. **ა-რ** „ჯარი“) : ს.-დაღ. ***ჰარ-** „ჯარი“ (ლაკ. **ერ-**ალ „plurality tantum“, არჩიბ. **ერი** „ჯარი“)...

სხვა საკითხია, როცა საქმე ეხება ამოსავალი ლატერალების რეფლექსაციას. ასეთად გვესახება ისეთი შეპირისპირებები, სადაც საერთოქართველურ რ ვიბრანტს, ჩერქეზულის კვალდაკვალ, დაღესტნურ ენებშიც ლატერალები შეესაბამება, შდრ. ს.-ქართვ. ***ბურტ-** „ბურვაკი“ (ქართ. **ბურვ-**აკ-ი „დიდი გოჭი, ქუბი“ (საბა) „გოჭი სამი თვიდან წლამდე“) : ს.-სინდ. ***ბლ'-გ** „ნეზვი, დედალი ღორი“ (უზბიხ. **ბლ'გ** „დედალი ღორი“) : ს.-დაღ. ***ბოლ-** „ღორი“ (ხუნძ. **ბოლ'-ონ**, ბეჟიტ. **ბულ'-ო**, ჰუნზიბ. **ბულ'-უ**, არჩიბ. **ბოლ'** „ღორი“...). აქ გამოკვეთილი ფონემური ოპოზიცია ს.-ქართვ. **რტ** -: ს.-დაღ. **ლ'** : ს.-სინდ. **ლ'** : ს.-ნახ. **რლ'** რეგულარულ-კანონზომიერი მიმართება ჩანს და პალეოკავკასიური ფუძე-ენიდან მომდინარე ამოსავალი ლატერალის რეკონსტრუქციას ხდის შესაძლებელს.

და რომ ჩერქეზული რ -> რ' // ლ' ერთ დროს რეალურად მოქმედი ფონეტიკური პროცესი იყო, ამას თვალნათლივ აჩვენებს სხვა ენებიდან შეთვისებული სიტყვის შედარებითი ანალიზი (ადაპტაცია) იბერიულ-კავკასიურ ენებში, შდრ.: ჩერქ. რ'ანშ, აბაზ. რახშ-გნა, აფხაზ. ა-რხგშ-ნა, ხუნდ. რახას, დარგ. რახაჟ „ჯაჭვი; კერიის ჯაჭვი, ნაჭა“, ოსური რახხს // რახის „ჯაჭვი“ <- ფრანგ. Racage...

ნ ი ნ ო ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი, ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი,
ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

ზმნათა დეფექტურობის საკითხისათვის ქართველურ ენებში

ზმნათა დეფექტურობა ამა თუ იმ კონკრეტული ენის ზმნისათვის დამახასიათებელი კატეგორიების მიხედვით თითქმის ყველა ენაში აღინიშნება. ცხადია, კატეგორიანაკლულობის თვალსაზრისით არც ქართველური ენები წარმოადგენს გამონაკლისს.

კატეგორიანაკლ ზმნათა აღწერთა თუ შესწავლით მე-18 საუკუნიდან მოყოლებული არაერთი მეცნიერი (ზ. შანშოვანი, ა. კათალიკოსი, გ. რექტორი, ვ. ერისთავი, ი. ქართველიშვილი, ს. დოდაშვილი, პ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, დ. ყიფიანი, პ. კვიციანიძე, სილ. ხუნდაძე, მ. ჯანაშვილი, ი. ჩუბინაშვილი, მ. კელენჯერიძე, ნ. მარი, ი.ყიფშიძე, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ივ. ქავთარაძე, ვ. თოფურია, კ. გაგუა, ივ. იმნაიშვილი...) დაინტერესებულა და სათანადო მსჯელობაც წარმოუდგენია. არსებული თვალსაზრისების გათვალისწინებით, მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ამ ზმნათა ანალიზი ქართველურ ენებში.

როგორც ცნობილია, ქართველურ ენებში მოიპოვება ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც საკუთარი მორფოლოგიური ინვენტარით ვერ იწარმოებენ რომელიმე გრამატიკული კატეგორიის ფორმებს და დანაკლისს სხვა ფუძის ფორმებით ივსებენ. ცხადია, ეს მოვლენა უფრო მეტად გარკვეული ტიპის ზმნებს ახასიათებს, ამასთან, კატეგორიანაკლულ ზმნათა ფორმების წარმოებისა და სათანადო ფორმათა შე-

კსების თვალსაზრისით ქართველურ ენებში ბევრია საერთო, თუმცა მათ შორის არსებული სხვაობაც საკმაოდ ხელშესახებია. ცნობილია ისიც, რომ ყველაზე ნაკლებ ამ თვალსაზრისით მეგრულ-ლაზურია შესწავლილი.

როდესაც მხოლოებითი და მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება ხდება, ჩნდება გამონაკლისები, რაც ზმნური ფუძის შენაცვლებაში გამოიხატება: მხოლოებითის ფუძეზე დართული სათანადო აფიქსები მრავლობითის გადმოსაცემად საკმარისი აღარ არის და მრავლობითში (როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის რიცხვის შესაბამისად) სხვა ფუძეა გამოყენებული. ფუძემონაცვლეობა რამდენიმე გრამატიკულ კატეგორიასთან (რიცხვი, მწკრივი, გვარი) დასტურდება. შესაბამისად კი ფუძემონაცვლე ზმნებში განიხილება სხვადასხვა ტიპის მონაცვლე ზმნები: 1. რიცხვი შენაცვლება: ა) შენაცვლება ობიექტის რიცხვის მიხედვით (*დადგეს – დასხნეს; მოკლა – დახოცა...*), ბ) შენაცვლება სუბიექტის რიცხვის მიხედვით (*ესუა – ესხნეს; ვჯედ – ვსხედით; გავარდა – გაცვივდნენ...*), 2. შენაცვლება მწკრივებში-სერიებში (*ვარ – ვიყავ; იტყვს – თქუა...*), 3. ორმაგი შენაცვლება – მწკრივებსა და რიცხვიში (*უვის – უსხენან; ზის – სხედან...*), 4. შენაცვლება გვარში (*ჰგებს – ეგო; ადგს – ედგა...*), 5. პარალელური (სინონიმური) შენაცვლება (*ჰზამთ – იქმთ, ჰზამ – ჰყოფ...*) (ი. იმნაიშვილი).

ძირმონაცვლე ზმნები, რომლებიც დანაკლის ფორმებს სხვა ძირის ზმნებით ივსებენ, გამოიყოფა მეგრულ-ლაზურსა და სვანურშიც (მაგ., მეგრ.: *ოჭირუ* „სჭირს“ – *ქალოლუ* „დაემართა“; *მეურს* „მიდის“ – *მიდართუ* „წავიდა“; *ორწყე* „ხედავს“ – *ქობორგ* „ნახა“... ; ლაზ.: *რენ* „არის“ – *ტუ/ორტუ* „იყო“...; სვან.: *იზბი* „ჭამს“ – *ლწლემ* „ჭამა“, *გთრე* „სვამს“ – *ლაიმ* „დალია“; *ესლუა* „მიაქვს“ – *ადდე* „წაიღო“; *ხატყცი* „ურტყამს“ – *ხაჯიდ* „დაარტყა“...;

მოხსენებაში ძირმონაცვლე ზმნები უფრო გამოწველილვითი ანალიზის საგანი იქნება.

ნინელი ჭოხონელიძე

უფუარი პურის სახელები ქართულში

ძველ ქართულში გაუფუარ პურს „უცომო“, „უფუველი“ ეწოდებოდა.

შვდ დღე შჭამოთ მას შინა უცომოა პური ჭირვეულობისად G, – შვდ დღე უფუველი პური შჭამო ჭირსა მას შინა M (მეორე შჯულთად).

უსაფუვროდ გამომცხვარი პურის სახელად როგორც ძველ ისე ახალ ქართულსა და მის დიალექტებში ძირითადად გვხვდება **კმეადი > ხმიადი**:

ჰრომნი **კმეადითა** და ურწყომთა წირვენ (გიორგი მთაწმიდელი). **ხმ-ელ-**ისაგან > **ხმიადი** გვაქვს (კმელის ანუ ხმელის ერთი მნიშვნელობა: მტკნარი, უმარილო; ხმიადი- უფუვრად გამომცხვარი პური) – ა. შანიძე.

ძველ ქართულში **ხმიადის** სახეობებია ასევე:

1. ყურბეული (ყუერბეული): შეიცხვეს ცმელი იგი.... **ყურბეულად** უცომოდ (გამოსლვათად). სამეცნიერო ლიტერატურაში ყურბეულის ამოსავლად მიჩნეულია საერთოქართველური წარმომავლობის **ყუერბი** (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე).

ქეგლში **ყვერბეული** ძვ. კლასიფიკაციითა წარმოდგენილი.

2. ხვეზა: ბერსა მას არარაჲ აქუნდა, გარნა **ჯუეზაჲ** ერთი პური (იოანე მოსხი, ლიმონარი).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით **ხვეზა** დაკავშირებულია ყაზარდოულის ხორბლის აღმნიშვნელ **ღვამ-** (ღვარძლ-ი) სიტყვასთან. ხოლო ამ უკანასკნელის ვარიანტებად თვლიან ქართულისავე „ღვეძელს, მეგრ. ღვეზელს, ძვ. ქართულ ჯუეზას და მეგრ. ხოზოს“ (გ. როგავა, ო. კახაძე).

ქეგლ-ში მითითებულია **ხვეზა** მრგვალი პური (შდრ. ღვეზელი). ◊ **თაფლის ხვეზა** ფიჭა, შოთი (მნიშვ. 2).

3. ბალარჯი: ბალარჯობა «უცომოება» «კალარჯობა», ებრაელთა დღესასწაული, როცა ისინი სჯულისამებრ **ბალარჯს** ჭამენ. პირველსა მას **ბალარჯობასა**, პირველსა მას დღესა უცომოებისასა (სახარებად მათწსი).

ბალარჯი // ზლარჯი: გვხვდება სამუაღ ქართულშიც. **ზლარჯი** ხმიადი (სომხურისაგან ბალაჟ). **ზლარჯობა** უცომოების კვრა (ნ. ჩუბინაშვილი).

ურიე თანა ცოტა **ბალ(ა)რჯის** ფქვილი (ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, კარაბადინი).

ბალარჯი სათანადო ილუსტრაციებითა და ძველის კლასიფიკაციით მოხმობილია ქეგლშიც.

ბიბლიურ ძეგლებში გვხვდება ასევე ერზოიანი ხმიადების სახელები: 4. **მსუნევენი // მსუნოანი**; 5. **ფორღელი**; 6. **ხაგონანი // ხაოანი** (ებრ. ბერძნ.); 7. **ლეღანგო // ლელენგო** (λαγαυος, ბ,) (ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი).

სამუაღ, ახალ ქართულსა და მის დიალექტებში კი **ხმიადის** მნიშვნელობით გვხვდება:

1. **გომიჯა // გომიჯი.** თორნისა და საფუარისა სჯობს ხმიადსა **გომიჯას** (ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, კარაბადინი). (იხ. ასევე ქეგლ; იმერული, ლეჩხუმური). შდრ. სვანური **გომიჯ, გომეჯ, გომინჯ** 1. სეფისკვერი. 2. მრგვალი პური (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი).

2. **შაფართხელი // შაფართხელა.** (იხ. საბა; ქეგლი; გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი...).

3. **უზა** (თურქ. yufka) შაფართხელი - საბა. (იხ. ქეგლ; ჯავახური, ქართლური, ქიზიყური, ჩვენებურების ქართული...).

გუდუნა ქეგლისა და მოხეურ დიალექტის მიხედვით „ნაცარში გამომცხვარი პატარა კვერია ქერისა“. ა. შანიძეს მის ამოსავლად მიაჩნია ოსური „დიდი პურის“ აღმნიშვნელი სიტყვა **გუდუნ, გუდუნ.**

„ხმიადის“ მნიშვნელობით დიალექტებში (ქართლური, ქიზიყური, ჯავახური, მთიულური, ფშაური, ფერეიდნული...) დასტურდება ასევე **ფათირი.**

სათანადო დიალექტების ლექსიკონებში **ფათირი** მიჩნეულია არაბული წარმომავლობის სიტყვად, მ. ჩუხუა კი მას საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევს: ს.- ქართვ. * **ფათ-** „გამომცხვარი კვერი“ > ქართ. ფათილე // ფათირი : ზან. ფურთინა < * ფოთინა: სვან. პიტ < * ფათ-

სრბა სიტყვის სემანტიკისათვის

ძველი ქართული ენის ლექსიკონების მიხედვით **სრბა** (**სრბო-**ლა) არის:

„**სრბა** (+ 2 მეფ. 18, 22) სირბილი... ნ. სასრბო, სლვა“ [სასრბო სა-რბიელი]... (სულხან-საბა);

„მსვლელობა, სვლა, სირბილი: „ცუდად ვრბიოდი ანუ ვრბი“ **გალ. 2,2**; „მაშინ სრბით მოვიდა სიმონ-პეტრესა“ **ი. 20,2**... „ვითარცა აღასრულებდა იოჰანე სრბასა თვსსა“ **საქ. მოც. 13, 25** (ილ. აბულაძე);

ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში „მსვლელობა, სვლა, სირბილი“ სემანტიკასთან ერთად თავს იჩენს ახალი, განსხვავებული მნიშვნელობა: „ცხოვრება, ქვეყნიერობა; განგრძობა სიცოცხლისა“:

დავით ჩუბინაშვილი: **სრბა, სრბოლა**: სირბილი; ცხოვრება, ქვეყნიერობა; бегъ, бегание; течение; жизнь... cours, marche; la vie... **სრბა საქმისა** течение дела, cours des affaires... (დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ფრანციელი ლექსიკონი).

დაახლოებით ასევეა ნიკო ჩუბინაშვილიდანაც:

„**სრბა** სირბილი (ნახე რბენა და სიარული) (ფსალმ. 18,5) – ცხოვრება, განგრძობა სიცოცხლისა (საქმ. 13,25 და 20,24)... (ნ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი).

მოგვეყვას ილუსტრაციები ამ ლექსიკოგრაფთა მითითებული წყაროებიდან, სადაც **სრბა** „ცხოვრება, განგრძობა სიცოცხლის“ მნიშვნელობითაა დამოწმებული: საქმე მოციქულთა 13,25: „ვითარცა აღასრულებდა იოჰანე სრბასა თვსსა, იტყოდა: ვინ-იგი გგონიე მე ყოფად, მე არა იგი ვარ, არამედ ესერა მოვალს შემდგომად ჩემსა, რომელსა-იგი არა ღირს ვარ განხსნად ჳამლთა ფერჳთა მისთასა“; საქმე წმ. მოციქულთა 20, 24: „გარნა სული წმიდად ქალაქად-ქალაქად მიწამებს და მეტყვს, რამეთუ კრულებანი და ჳირნი მელიან მე. არამედ არარას ვზრუნავ ამისთვის, არცა უპატოსნეს სულისა ჩემისა შემირაცხიეს თავი ჩემი, ვითარმცა არა ადვასრულე სრბად ჩემი სიხარულით და მსახურებად, რომელი მოვილე უფლისა იესუ ქრისტესგან წამებად სახარებად იგი მაღლისა ღმრთისადა“... (საქმე მოციქულთა).

სინური მრავალთავის ტექსტის ივ. იმნაიშვილის გამოკვლევაში [რომელსაც ლექსიკონიც ერთვის], შემდეგი მნიშვნელობებია:

„1. **სირბილი**: ვითარცა მკეცნი მძვინვარენი რბიოდეს **273, 23**; მაშინ სრბით გამოვიდა მოწაფე მისი **272, 6**; 2. **მიმდინარეობა, სწრაფვა, ჩქარი სიარული, მოძრაობა**; 3. **ცხოვრება, მოღვაწეობა, სიცოცხლე**: ხოლო შენ, კაცო,.. სულისა შენისათვის ჰრბი 48,16; რბიოდეთ კეთილად 176, 19; უთხრეს იესუს, ვითარ-იგი აღასრულა იოვანე სრბად თვისი 212, 22...“

ეს მნიშვნელობები ჩანს ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონშიც: **სრბა**: შრიალეებით რბინ I 98, 26... რბიედ მეხისტეხანი I, 133, 15... რბიოდა უცონელად სარბიელსა მას მოღუაწებისასა III 212, 13...; **სრბა-ი** დაასრულა სრბად თვისი I 98, 4..... აღასრულა სრბად თვისი 227, 16... აღასრულა სრბად ღუაწლისა თვისისა I 98, 4.....დადგრომილ იყვნეს ქუაბსა მას შინა მცირესა კეთილსა სრბასა და საღმრთოსა მოსაგრენი 183, 9... ოდეს-იგი იყო სრბასა მას მოღუაწებისასა IV 405, 20...

ცნობილია, რომ ბიბლიურ ტექსტებში **სვლა** ძირითად („მოძრაობა – სიარულის“) მნიშვნელობასთან ერთად, აღნიშნავს „**ცხოვრებას**“, „**ცხოვრების წესს**“, „**ყოფა-ქცევას**“, „**საქციელს**“. ეს განპირობებულია თარგმანის გავლენით: „ბერძნული peripateo ზმნა ძირითად (**მოძრაობა-სიარულის**) მნიშვნელობასთან ერთად ებრაულის გავლენით სეპტუაგინტაში (მერმე ახალ აღთქმაშიც) აღნიშნავს „ცხოვრებას, საქციელს, ყოფა-ქცევას...“ (ვ. დანელია).

მეხუთე საუკუნისათვის, როგორც ცნობილია, ქართულ ენაზე უკვე არსებობდა ბიბლიური წიგნები და ქართველი აგიოგრაფები მათ (ამ წიგნთა) ძველ ქართულ თარგმანებს იმოწმებენ თავის ორიგინალურ თხზულებებში. საგულისხმოა, რომ თარგმნილ და ორიგინალურ ძეგლთა ენა სტრუქტურულად არსებითად ერთია, მთლიანია. ქრისტიანული აზროვნება ქართველი კაცის, ქართველი ერის აზროვნების, ცხოვრების წესი გახდა, რაც აისახა ქართულ სიტყვაში, ლექსიკაში.

ზემომოყვანილი განმარტებების მიხედვით **სრბა** სიტყვის მნიშვნელობებია: 1. სვლა, მოძრაობა, მიმდინარეობა (დენა), მსვლელობა; 2. სწრაფვა, ჩქარი სიარული, სირბილი; 3. ცხოვრება, მოღვაწეობა, სიცოცხლე.

სემანტიკურად **სრბა** სიტყვას სავარაუდოდ ასეთი გზა უნდა გაეველო: 1. **სრბა** = **რება** „სიარული“, მოძრაობა [**რება** ძვ. სახელი **რებს** ზმნის მოქმედებისა, – სიარული, სვლა... **რებ**-ს (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) იგივეა, რაც დადის. [სიყვარულო!] შენგან ბრძენი ხელად რებდეს (ა. ჭავჭავაძე)... (ქეგლ VI, 1960).] > 2. სწრაფვა, ჩქარი სიარული, მდინარება (არა მხოლოდ სულიერთა, არამედ უსულოთაც: **სრბად მზისად; დრო-ჟამის სრბოლა** [თავდაპირველად წელთაღრიცხვა და დანაწილება მთვარის მოქცევასა და სრბაზე იყო დამყარებული (ივ. ჯავახიშვილი)... (ქეგლ VI, 1960).] > „**სრბოლა**“, სირბილი; 3. გადატ. ცხოვრება, მოღვაწეობა, სიცოცხლე (**სვლა** სიტყვიდან [და ამავე მნიშვნელობიდან] გამომდინარე). **სრბას ადასრულებს** სიცოცხლე, მოღვაწეობას, საქმეს... ადასრულებს, დაასრულებს...

სრბა სიტყვაში, შესაძლოა, გამოიყოს **რ-** ძირი, რომელიც საერთოა არსებობისა (**ა-რ-ს**) და მოძრაობა-სიარულის (**ი-ა-რ-ებ-ის**) აღმნიშვნელი ლექსიკისათვის.

მ ა ნ ა ნ ა ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ი ზ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე,
გ უ ლ ნ ა რ ა კ ვ ა ნ ტ ი ძ ე, რ უ ს უ დ ა ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი

ნიკო მარის სამეცნიერო სკოლა სვანეთში (ევლოკია კოჭენიკოვა-გუგუშვილი)

აკადემიკოსი ნიკო მარი სულ ოთხჯერ (1910-1914 წ.) ესტუმრა სვანეთს, მაგრამ მომავალ თაობებს დაგვიტოვა არა მარტო უბრწყინვალესი ნაშრომები ქართველურ ენათა და ქართული კულტურის შესახებ (ს ა მ წ უ ხ ა რ ო დ, ზ ო გ ი მ ა თ გ ა ნ ი დ ღ ე მ დ ე და უ ს - ტ ა მ ბ ა ვ ი ც კ ი ა!), არამედ უდიდესმა მეცნიერმა შექმნა შესანიშნავი ეთნოლინგვისტური სკოლა უნიჭიერეს ქართველოლოგთაგან. საკმარისია გავისხენოთ კარპეზ დონდუას, იოსებ ყიფშიძის, იოსებ მერელიძის, შოთა ძიმიგურისა და მოსე ჯანაშვილის ღვაწლი (არც ამ უკანასკნელის „ქართველური სიტყვარია“ გამოქვეყნებული, რომლის ხელნაწერიდან ამოკრებილი მნიშვნელოვანი ეტიმოლოგიები დიდი ხანია გაზიარებულია ცნობილ სპეციალისტთა მიერ), რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას მის მოწაფეებზე, მიუხედავად ზოგი წინააღმდეგობრივი თვალსაზრისისა.

„სვანეთში ყოფნისას დანარჩენი სამყაროდან მაშორებდა არა მარტო კავკასიის მაღალი ქედები, ძნელად გადასასვლელი უღელტეხილები და ღრმა ხეობები, არამედ კულტურის ათასწლეულები... თავს ვგრძნობდი „ურარტუელთა“ ეპოქის წარმართული კულტურის ატმოსფეროში“ – წერდა ნ. მარი („Из поездов в Сванию“, С.-Пб., 1913). საოცრად შეზღუდული დროის პატრონმა ცხენით მოიარა „კავკასიის შვეიცარია – ღარიბი, მაგრამ რელიგიური დღესასწაულებით აღსავსე სვანეთი“ და ზოგჯერ ამხედრებულ იცა აფიქსირებდა ძველ ხალხურ სიმღერებს, ძვირფასი წუთები რომ არ დაეკარგა. ის ძალიან დაუახლოვდა თავის უერთგულეს მასპინძლებს – ყოველთა სვანთა ეკლესიების ნეტარ მამად შერაცხულ ბლალოჩინს ბესარიონ ნიჟარაძეს (ზემო სვანეთი) და სოფელ სასაშის (ქვემო სვანეთი) მღვდელს არსენ ონიანს, რომლებიც იმხანად თავიანთ მიერვე დაარსებულ ოთხკლასიან სკოლებში მასწავლებლობდნენ (ნ. მარის სვანეთში ყოფნის დროს ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ქართულადაც ვერ მეტყველებდა, რუსულის მცოდნე კი სანთლით იყო სამბარი).

დიდმა მეცნიერმა უმძიმეს პირობებში მოახერხა ა. ონიანის ეთნოგრაფიული ჩანაწერების, სვანური სიმღერების, ზღაპრების, იგავ-არაკების, შელოცვებისა და მცირე ბოტანიკური ლექსიკონის გამოცემა 1917 წლის რევოლუციური ცეცხლისგან აელვარებულ პეტროგრადში, მაგრამ ბ. ნიჟარაძის მიერ 1879-1884 წლების მანძილზე შეკრებილი სიმღერების ტექსტებს, რომელთა გამოცემასაც თავის აკადემიკოსს 1914 წლის აგვისტოში შეჰპირდა რუსეთის საიმპერატორო აკადემია, ჩვენ ვერსად მივაკლიეთ (შესაბამისი ხელნაწერი რედაქტორის – ნ. მარის ჩასწორებებითურთ ახლაც დაცულია პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში).

ასე რომ, ჩვენ დიდ ვალში ვართ ნ. მარისა და მისი მოწაფეებისა თუ სვანი მასპინძლების წინაშე. ერთ-ერთი მათგანია პეტროგრადის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის სპეციალობის სტუდენტი ევდოკია კოჟენიკოვა, რომელიც მასწავლებლის რჩევითა და მისივე ნაჩუქარი ფოტოაპარატით საწარმო-საველე პრაქტიკის გასავლელად 1927 წლის ზაფხულს გაემგზავრა სვანეთში, რადგან ნ. მარს უთქვამს: თუ გინდა ნამდვილი ეთნოლოგი გახდე, აუცილებლად უნდა წახვიდე სვანეთში და სვანური ენაც ისწავლო. ორიენტალისტი მამის, მანჯურის დესპანის – ინოკენტი კოჟენიკოვის ქალიშვილს, რაღა თქმა უნდა, შეეძლო ფუფუნებაში ეცხოვრა,

მაგრამ დამხვდური ხალხის უძველესმა ტრადიციებმა, გულლია სტუმართმოყვარეობამ და არაერთმა უფაქიზესმა ეთნოგრაფიულმა ადათ-წესმა საოცრად მოხიბლა ევროპული სტილის ქალაქებში აღზრდილი გოგონა და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან თხოვნით მიმართა რექტორს სუბსიდიების გამოსაყოფად სვანეთში ერთწლიანი მივლინებისთვის.

...აქვე გავიხსენებთ ერთ ფაქტსაც: ჩვენი თაობის სტუდენტებს, ასპირანტებსა და მეცნიერ-თანამშრომლებს მხოლოდ ერთი თვით გვიშვებდნენ ველზე სამუშაოდ (სახელმწიფოს მეტი სახსრები არ ჰქონდა!), აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა (ჩვენი უსაყვარლესი მოძღვართმოდღვარი და აკადემიკოს ნიკო მარის უდიდესი დამფასებელი, მიუხედავად ზოგადლინგვისტურ და ეტიმოლოგიურ პრობლემებში აზრთა დიდი სხვაობისა) კი სულ წუხდა: ნეტავ შეიძლებოდა ყოველ წელს სვანეთში 11 თვეს მუშაობდეთ, ხოლო ინსტიტუტში მხოლოდ ერთ თვეს და არა ისე, როგორც ახლა ხდებაო...

კვლავ დაადგა ევდოკია სვანეთის უშუქო, საშიშ, ნარეკლიან გზას და ამჯერად ხან იფარ-უშგულში, ხან მესტია-მულახში და ხანაც ლატალ-ბეჩოში ცხოვრობდა. სვანებმა ისე შეიყვარეს კლიმატურად ცივი ქვეყნიდან ჩამოსული საოცრად თბილი გოგონა, რომ მას სახელად **დრნა** („ქალიშვილი, გოგო“) შეარქვეს და ასეც იხსენებდნენ გარდაცვალებამდე (1970 წლამდე).

ევდოკია (**დრნა**) კოჟენიკოვამ დაგვიტოვა სხვადასხვა ჟანრის უამრავი ტექსტი (12000 ფურცელი) და ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი არაჩვეულებრივი ფოტომასალა (3 ალბომი). მათზე, ძირითადად, წარმოდგენილია: სვანური რელიგიური დღესასწაულები, ზღაპრები, ძველი ხალხური სიმღერები, სხვადასხვა ლექსიკური ერთეულები, სახელისა თუ ზმნის პარადიგმები... ზოგჯერ ტექსტები თარგმნილიცაა (ხან რუსულად, ხანაც ქართულად). ჩანაწერები გარდასული ყოფის ამსახველ არაერთ მონაცემს გვაწვდიან. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყველაფერი, რაც მათშია მოთხრობილი, უშუალოდ ეთნოლინგვისტის თვალწინ ხდებოდა და მოქმედების პროცესში ფიქსირდებოდა. მასალები შეკრებილია საქმის ღრმა ცოდნით, კეთილსინდისიერებით, მაღალნიჭიერებით, რაც მათ ღირებულებას განუსაზღვრელს ხდის.

ქალბატონი ევდოკია წლების მანძილზე ცხოვრობდა სვანეთში და ახლადდაარსებული (1936 წ.) მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელიც კი გახლდათ. აქვე დაოჯახდა

კიდევ – ცოლად გაჰყვა თბილისელ გეოლოგს ივანე გუგუშვილს და საბოლოოდ საქართველოს დედაქალაქში დასახლდა.

დონა კოჟენიკოვა 1927 წელს ცხოვრობდა სოფელ ნაკიფარში, კესა და ბესარიონ პირველების ოჯახში. ეს ის კესა პირველია, რომლისგანაც 1926 წელს ვარლამ თოფურიაჩი ჩაიწერა თამარ მეფისადმი მიძღვნილი საგალობლის (**თამარ დედგვალ**) ყველაზე ვრცელი ვარიანტი და ორი ზღაპარი (სამივე ტექსტი გამოქვეყნებულია „სვანური პოეზიისა“ – გვ. 4 და „სვანური პროზაული ტექსტების“ – გვ. 198-199 პირველ ტომებში). მოსალოდნელია, რომ ქალბატონი ევდოკია კარგად იცნობდა ბატონ ვარლამს. მას ეგნატე გაბლიანისგანაც აქვს ჩაწერილი ზღაპრები და, რაც მთავარია, ახლო ურთიერთობა ჰქონია მიხეილ კალატოზიშვილის ფილმის **ჯიმ შტანთე** („მარილი სვანეთში“) სცენარის ავტორთან სერგეი ტრეტიაკოვთან. ამიტომ შესაძლებელია ის ამ ფილმის ეთნოკონსულტანტიც იყო და ე. წ. „მასიურ სცენებშიც“ მონაწილეობდა, როგორც მსახიობი.

იმ დროისათვის ივარში რუსული ენა იცოდა მხოლოდ იქაური ოთხწლედის მასწავლებელმა გერასიმე გულბანმა, რომელმაც 1923-24 წლებში აკაკი შანიძის დავალებით ჩაწერა სხვადასხვა სვანური ტექსტი 198 გვერდის მოცულობით (დღემდე გამოუცემელია და ინახება საქართველოს სახელმწიფო არქივის შანიძისეულ ფონდში). მისგან ვ. თოფურიასაც და ე. კოჟენიკოვასაც ჩაწერილი აქვთ ერთი და იმავე სიმღერის (**უშგულას მახელჟაყარე** „უშგულში ახალგაზრდები“) ტექსტი, რაც იძლევა შესაძლებლობას ფიქსაციის დროს ერთი წლის ხანგრძლიობით დამორებული ვარიანტების ურთიერთმედარებისა.

როგორც ჩანს, ზოგჯერ ძველ სვანურ სიმღერებს ქალბატონი ევდოკია ხელით იწერდა მათი შესრულების დროსაც, რის გამოც მან შენიშვნა მიიღო ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორის – დიმიტრი არაყიშვილისაგან. ნ. მარის მოწაფე 1926-1947 წლებში (პერიოდულად!) მუშაობდა სვანეთში, მაგრამ ვერასდროს მოიპოვა სიმღერის ჩამწერი ვერანაირი ტექნიკური საშუალება, თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ე. კოჟენიკოვას მხედველობიდან არ გამორჩენია მხოლოდ მუსიკალური რიტმის დასაცავად შექმნილი (თუმცა ცოცხალი მეტყველებისთვის სრულიად განსხვავებული ფორმით ცნობილი) ლექსემებიც კი: **აბიჯარი** („აბჯარი“), **ზურიჩია** („ზუჩი-მეომრის რკინის ქუდი“), **ატილასი** („ატლასი“), **ხემინაური** („ბექთარი“), **მარიგლიტე** („მარგალიტის“), **ზექიმარი** („წაღები“), **ლუნქითოჟე** („მოქროვილი“), **ლგშიკ'ადე** („მოჭედილი“) და ა. შ.

მასალები ევდოკია კოჟევნიკოვას სვანეთში საუკუნის წინან- დელი მოღვაწეობის შესახებ 1987 წლიდანაა დაცული სიმონ ჯანაში- ას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქივში. ნიკო მარის მოწაფის ღვაწლს თავის დროზე გარკვეული შეფასება მიეცა „ეთნოლოგიური ძიებანის“ II ტომში (2003 წ.) ეთნოგრაფიის განყო- ფილების მეცნიერ-თანამშრომლის მანანა ხიზანიშვილის სტატიის სახით (გვ. 195-200). 2017 წლის 2 ნოემბრიდან 2018 წლის 15 თებერ- ვლამდე მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმ- ში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ და საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მოაწყვეს ედუარდ შერიფ კურტისისა (ჩრდი- ლეთ ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის კულტურის გამოჩენილი მკვლევარი) და ევდოკია კოჟევნიკოვას ნამუშევართა გამოფენა „მი- წიერი და საკრალური სამყარო“, რომელსაც გამოეხმაურნენ Liverpool.ge თავის WS-ზე და გაზეთი „კვირის პალიტრა“ (18-24 დე- კემბერი, 2017 წ.).

რაც შეეხება ზემოაღნიშნული მასალების ლინგვისტურ ანალიზს, სამწუხაროდ, ჯერჯერო- ბით არაფერია გაკეთებული. ე. კოჟევნიკოვას არქივის მხო- ლოდ რამდენიმე დოკუმენტის გაცნობის შემდგომ თავი იჩინა სვა- ნური ტექსტების ტრანსლიტერაციის ერთმა საკითხმა, ამიტომ ამჯე- რად მართოდენ მასზე ვიმსჯელებთ:

აკაკი შანიძე და ნიკო მარი ვერ შეთანხმდნენ საუმლაუტო პო- ზიციაში მყოფი ა ხმოვნისა და მის წინამდებარე უკანაენისმიერ თან- ხმოვანთა ტრანსლიტერაციის თაობაზე, ანუ იმის შესახებ, თუ რომე- ლი დაწერილობა იქნებოდა ზუსტი ფონოლოგიური თვალსაზრი- სით – **გაჲჩ** („დანა“), **ქჲან** („კანაფი“, **ერსკჲან** („არჩვი“)/**გაჲჩ**, **ქჲან**, **ერსკჲან** თუ **გჲჩ**, **ქჲნ**, **ერსკჲნ**. ნ. მარმა თავის „Извлечение изъ сванско-русского словаря“-ში (Петроградъ, 1922) უკანაენისმიერ ფო- ნემათა შემცველი 15 ლექსემა გააანალიზა (სხვადასხვა გრამატიკუ- ლი თუ დერეკაციული ფორმით!), მაგრამ არსად გამოუყენებია უმ- ლაუტის სიმბოლო (ორი წერტილი), სამაგიეროდ, ყველგან აღნიშნა იოტაცია (**ა** გრაფემა **გ/ქ/კ**ს მომდევნო პოზიციაში), ა. შანიძემ კი – პირიქით, მხოლოდ უმლაუტი გვიჩვენა (გუტურალთა შემდეგ პალა- ტალი **ჴ**-ნის წინ იოტაცია ყველგან და ყოველთვის თავისთავად და უთუოდ იგულისხმებო – „უმლაუტი სვანურში“, 1925/1981: 324), ნ. მარს კი „კურნაქის დაწურვა და აქლემის შთანთქმა“ უსაყვედურა.

ჩვენ ადრე (ჩანტლაძე 2012: 56) შევეხეთ ამ საკითხს და დავიკავით ერთგვარად შემრიგებლობითი (ამასთანავე, გარკვეულ ფონოლოგიურ მოვლენათა უფრო ზუსტად ამსახველი) პოზიცია – აღვნიშნეთ როგორც პალატალიზაცია, ისე იოტიზაცია, ოღონდ, რაკილა პირველი მათგანი ამ შემთხვევაში წამყვანი პროცესია (სწორედ ის იწვევს უკანაენისმიერ თანხმოვანთა იოტიზაციას!), ამიტომ პირველ რიგში უნდა წარმოვადგინოთ უმლაუტი, იოტიზაცია კი გამოვხატოთ **გ/ქ/კ** ფონემათა თავზე (მარჯვნივ, -ჭ-მდე!) **ღ** სიმბოლოს (საერთაშორისო ტრანსკრიფციით **ʝ**) დასმით, მით უფრო, რომ ევროპელი და ამერიკელი ეთნოლინგვისტები სწორედ ამ ხერხს გვთავაზობენ. სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ე. კოჟევნიკოვაც თურმე ასე იქცეოდა, თუმცა თავისი მასწავლებლისგან განსხვავებულად (**ლემკა** „მოქედლო“ (**ყილახაგა** „წინადაგენ“, **ხოგა** „უნდა“, „უდგამდა“, **სგა** „მშანი“ „მიგნიდანა“, „... უფრო ხშირად უწერტილო რუსული 1, რომელიც მაშინდელი ორთოგრაფიით **მოტას** შეესაბამება, უკანაენისმიერი თანხმოვნის მარჯვნივ კი არის დასმული, ოღონდ – დაბლა: **ტაბგარ** „მაგიდები“, **გაჩ** „დანა“, **გარგლის** „ლაპარაკობენ“, **ლილმესგალი** „ცეცხლის ნთება“, „... ზოგჯერ ქალბატონი ევდოკია პალატალური **ჭ** ხმოვნის წინა პოზიციაში მდებარე ნარნარა **ლ** საც უკეთებს 1 სიმბოლოს სილბოს აღსანიშნავად (**ლაწა** „სანიშნო, ნიშანი“, **ლიცინგილა** „მეზღაპრობა“, „...), რაც ამკარად მასწავლებლის წინასწარი ინსტრუქტაჟისა თუ მისი ლექციების დიდი ყურადღებით მოსმენის შედეგია. იშვიათად, მაგრამ მაინც ნ. მარიც იყენებს ანალოგიურ ხერხს პალატალური ხმოვნის წინა პოზიციაში (**გალოურ** „guki кабань“ შდრ. **გალოურ** – Извлечение..., გვ. 16).

როცა ე. კოჟევნიკოვა სვანეთში მუშაობდა, ამ დროისათვის გამოქვეყნებული არ გახლდათ სვანეთისა და სვანური ენისადმი მიძღვნილი ნ. მარის ყველა ნაშრომი; უფრო მეტიც, მისი „Сванские глаголи“ (1911, გვ. 1-1517), „Грамматика сванского языка сравнительно с языками сибилантной группы“ (1912 გვ. 1-481) და „Русско-сванский словарь“ (1916, გვ. 1-96) დღემდე ხელუხლებლად დევს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის განყოფილების არქივში (ფონდი 800). გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ მან ბ. ნიჟარაძესა და ა. ონიანთან ერთად შეადგინა დიდი სვანურ-რუსული ლექსიკონიც, სხვა შემთხვევაში თავის 39 გვერდიან ნაღვაწს „Извлечение“-ს ვერ დაარქმევდა...

აუცილებელია ევდოკია კოჟევნიკოვას ტექსტობრივი და ფოტომასალების გამოწვლილვით შესწავლა ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით, მით უფრო, რომ მას ერთ-ერთი სამეცნიერო საბჭოს წინაშე 1951 წელს სადისერტაციო თემის შერჩევა-დამტკიცებაც კი უთხოვია თბილისში, თუმცა სულაც არაა გასაკვირი, რომ ბედმა არ გაუღიმა – 1950 წლის 9 მაისს საენათმეცნიერო დისკუსია უკვე ჩატარებული იყო მოსკოვში და აკადემიკოს ნიკო მარის მოწაფეებს მუშაობის შესაძლებლობა შეეზღუდათ.

ჩვენი მოვალეობაა ღირსეულ წინაპართა ღვაწლის ჯეროვანი დაფასება – მათი ნაშრომების პუბლიკაციაზე ზრუნვა.

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

ფიტონიმთა ერთი წყების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის

1. ნაყოფის ნიშან-თვისებების მიხედვით მცენარის სახელდება უძველესი ჩანს, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის მიერ მცენარეთა გამოყენებით დახასიათებასთან. ქართველურ ენა-კილოებშიც ხელშესახებია მცენარის ოდენ ნაყოფის ნიშან-თვისებებით მოტივირებული ფიტონიმები და ერთი წყების ეტიმოლოგია სწორედ მცენარის ნაყოფის თავისებურებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

2. ცნობილია, რომ ნაყოფის მომცემ მცენარეთა მნიშვნელოვან ნაწილს არაერთ ენაში ორი განსხვავებული წარმოშობის სახელი უდასტურდება - ზოგადად მცენარისა და მისი ნაყოფისა. ამგვარი რამ შენიშნულია ქართულშიც (მაგ., **მუხა** და **რკო**); ამასთან, ერთი მხრივ გვაქვს: ქართ. **კაკალი**, **ვაშლი**... „ნაყოფი“ და მეორე მხრივ - **კაკლის ხე**, **ვაშლის ხე**...; ზან. **ჯამკაკალი** „თუთა“ და **ჯაპიშ ჯა** „თუთის ხე“; ასევე: **წიფი** „წიფლის ნაყოფი“ და **წიფელი** „წიფლის ხე“; სვან. **გაკ-/კაკ-** „კაკლის ნაყოფი“ და **გაკრა** „კაკლის ხე“.

3. ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანს სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებული -**რა** სუფიქსიანი სვანური სახელები, რომლებიც მეტწილად ხემცენარეებს აღნიშნავს. ამგვარი წარმოების სახელებში -**რა** სუფიქსი თავდაპირველად კრებითობას, მეტწი-

ლად, მცენარის **ნაყოფის სიმრავლე-სიხშირეს** აღნიშნავდა, ხოლო საწარმოქმნო ფუძე ამ მცენარის ოდენ **ნაყოფის** აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, სუფიქსიანი ფორმა კი – შესაბამისი მცენარის სახელად გვევლინება, მაგ., **გაკ-რა** სვან. „*კაკლის მსხმოიარე ხემცენარე“.

4. სპეც. ლიტერატურაში მითითებულია, რომ ამგვარი წარმოებისაა ქართულში დადასტურებული მცენარეთა სახელები: **კანკ-რა, ძიგ-რა...** (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000: 376), ასევე, **კენკ-რა**, რომელიც „საფიქრებელია, წარმოშობით სვანური ფორმა იყოს და იქიდან შემოსული ქართულში... ძირი **კენკ-** შესაძლოა მარცვლის ოდინდელ სახელთან იყოს კავშირში (შდრ. ქართ. **კენკ-ვ-ა**)“ (გიგინეიშვილი, 2016: 243).

5. სახელები **კენკრა, კანკრა, კაკრა** ძველ ქართულ წერილობით წყაროებში არ ჩანს. აღნიშნულ სახელებში ადრინდელი უნდა იყოს **კაკრა**, რომელიც დასტურდება სულხან-საბას ლექსიკონში, შდრ.: „**კაკრა** რომელთა ხილი არა იქ(ა)მების კაცთაგან და ფრინველნი ჭამენ, ვითარცა სუროთა, ხეშავთა და მისთანათა ეწოდებიან.“ (ასევე, „ხმელთა ხილთა, ნიგოზთა, თხილთა, წაბლთა და მისთანათა“ განმარტებისას ერთგან გვაქვს **კაკრა** (საბა, 1993: 424). ამ სახელში გამოცალკევდება **კაკ-** ძირი, რომელიც ხელშესახებადაა წარმოდგენილი ქართველურ ენა-კილოთა მცენარეების სახელებსა თუ მცენარეებთან დაკავშირებულ ლექსიკაში და მისი სემანტიკა ძირითადად უნდა უკავშირდებოდეს *ნაყოფის მარცვლოვანებას, სიმრგვალებს*.

6. დაზუსტებას მოითხოვს განმარტება: „**კენკრა** (კენკრისა) საერთო სახელია წვრილ მცენარეულ ნაყოფთა (როგორცაა: მარწყვი, ჟოლო, მაცვალი და მისთ.)“ (ქეგლ, 6). გასათვალისწინებელია: „**კენკრა** (bacca, uva), მცენარის უხსნადი მრავალთესლიანი, იშვიათად ერთთესლიანი ნაყოფი. მომწიფებისას მთელი ნაყოფსაფარი წვნიანია, ეგზოკარპიუმი - თხელკანიანი. კენკრა აქვს ვაზს, ხურტკმელს, მოცხარს, შტომს და სხვა. ყოველდღიურ ცხოვრებაში მარწყვის (რთული კაკლუჭა), ჟოლოსა (რთული კურკიანი) და ლეღვის (ნაყოფედი) ნაყოფს ხშირად უმართებულოდ კენკრას ემახიან (ქსე, 5, 1980). ქართულში „წვრილ მცენარეულ ნაყოფთა საერთო სახელად“ უნდა მივიჩნიოთ **ხიჩატელი** (<*ხილმჩატელი), რომელიც არის „ყოველი ხილი ველური“ (საბა, 1993), ხოლო **კენკრა, (კანკრა, კაკრა)** არის არა მარწყვის, ჟოლოს, მაცვლის და მისთ. საერთო სახელი, არამედ – „გარეულს ხეზედ მოსხმული მარცვალი რამ ხილსავით...“ (ჩუბ., 1962; ჩუბ., 1984).

ორწევრიანი თანხმოვანთმომდევრობების შესახებ მეგრულში

მეგრულ თანხმოვანთკომპლექსებს არაერთი მკვლევარი შეხე-
ბია (ალ. ცაგარელი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა...), გამოწვლილვითი
ანალიზი კი წარმოდგენილია თ. გამყრელიძისა და ტ. გუდავას
ვრცელ წერილში, რომელიც დაიბეჭდა ა. შანიძისადმი მიძღვნილ
კრებულში 1981 წელს. სადიპლომო ნაშრომში, რომელიც 1987 წელს
შესრულდა თ. უთურგაიძის ხელმძღვანელობით, ჩვენ ვცადეთ შე-
გვეფასებინა და ერთგვარად შეგვეჯამებინა წინამორბედთა კვლევის
შედეგები (ჩვენი მოსაზრება ნაწილობრივ აისახა კიდეც საკანდიდა-
ტო დისერტაციაში 1999 წელს). ამ მოხსენებაში გარკვეული დაზუს-
ტება-დამატებებით წარმოდგენილია ჩვენ მიერ ადრე გამოთქმული
თვალსაზრისი.

მეგრულ თანხმოვანთმომდევრობათა განხილვისას ჩვენთვის
ამოსავალია ორი ზოგადი დებულება: 1. ეს მიმდევრობები ცალ-
ცალკე უნდა იყოს შესწავლილი ერთი მორფემის ფარგლებში და მო-
რფემათა საზღვარზე, 2. კომპლექსების ანალიზისას გათვალისწინე-
ბული უნდა იყოს თანხმოვანთმომდევრობათა პოზიცია (სიტყვის
თავკიდური, ინტერვოკალური და ბოლოკიდური).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მოსაზრებას, რომ მეგრულში
29 თანხმოვანი გვაქვს (მათ შორის – ქართული სალიტერატურო ენი-
საგან განსხვავებული ერთი ფონემა **ჟ**), მაშინ პოტენციურად შესაძ-
ლებელი იყო მეგრულში 841 თანხმოვანთმომდევრობა გვქონოდა,
მაგრამ მათგან ერთი მორფემის ფარგლებში რეალიზებულია მოსა-
ლოდნელი რაოდენობის დაახლოებით 20%. საგულისხმოა, რომ
ქართულ სალიტერატურო ენაშიც მსგავს ვითარებაზე მიუთითებენ
(რ. მდივანი).

ინტერვოკალურ პოზიციაში, თავკიდურთან შედარებით, ერ-
თი მორფემის ფარგლებში მეტი თანხმოვანთკომპლექსი გვხვდება,
კერძოდ, დასტურდება ისეთი თანხმოვანთმომდევრობები, როგორე-
ბიცაა:

მპ: ომპა „თავზე, დირე“
ნც: დიქანცუ „შეირხა“
ფხ: აფხა „ბეჭი, მხარი; მხრის ძვალი“
მფ: ჯამფეზია „ჭიაფერა“
ნვ: მონკა „მძიმე“
რჯ: ბორჯი „დრო“
რჭ: ბურჭი „ბერწი“
და სხვ.

ბოლოკიდურ პოზიციაში თანხმოვანთა კომპლექსი არ უნდა გვექონოდ, მაგრამ დასტურდება, რაც ხმოვნის დაკარგვის შედეგია (მდრ. ხაჩქ < *ხაჩქუ „გათოხნა“ და ხაჩქუო? „გათოხნა?“: კითხვით ფორმაში დაკარგული S3 უ აღდგება).

როგორც ტ. გულავა და თ. გამყრელიძე აღნიშნავენ, მეგრული-სათვის დამახასიათებელია ჰომოგენური თანხმოვანთა კომპლექსები (მჟღერი+მჟღერი, ფშვინვიერი + ფშვინვიერი, მკვეთრი + მკვეთრი) და თუ მორფემათა საზღვარზე არაჰომოგენური კომპლექსები იქმნება, ხდება მათი სუპერაცია კომპლექსის მეორე წევრთან ასიმილაციის გზით (მაგ., *ვტახენქ > პტახენქ „ვტეხ“, *დუდექ // > დუთქე „თავმა“ და ა. შ.)

რაკი მეგრულსათვის არ არის დამახასიათებელი თანხმოვანი + სონორი მიმდევრობა, სიტყვათა სესხებისას შეიძლება მოხდეს სონორის წინ გადმოსმა (მაგ., კრიალი > რკიალი, კლემა > რკემა და ა. შ.)

ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, მეგრულ-ლაზურში, არაბუნებრივი აქცესიური კომპლექსების თავიდან აცილების მიზნით, ხდება ამოსავალი სრულხმოვნობის შენარჩუნება (ტ. გულავა, ნ. ქუთელია), ან – არასრულხმოვან ფუძეში ხმოვნის ჩართვა (ვ. შენგელია); ამ მოვლენას შეიძლება „ფონეტიკური პრევენცია“ ეწოდოს.

გრაფიტის ენობრივი მხარე თანამედროვე ქართულ რეალობაში

გრაფიტი (იტალ.: მხ. რ. graffito, მრ. რ. graffiti) — ეს საერთო სახელწოდებაა იმ წარწერებისა თუ ნახატებისა, ასე უხვად რომ გვხვდება შენობებისა და მიწისქვეშა გადასასვლელების კედლებზე, მატარებლების ვაგონებზე, მანქანებზე, ავტობუსებზე, გარეგანათების ბოძებზე, ასფალტზე, ღობეებზე და სხვა ზედაპირებზე.

ცივილიზებულ საზოგადოებაში, გრაფიტი, როგორც წესი, ვანდალიზმად, ან, უკეთეს შემთხვევაში, დაზიანებად აღიქმება. მისი შენობის ან რაიმე სხვა ნაგებობის კედლებზე პატრონის ნებართვის გარეშე განთავსება ბევრ ქვეყანაში კრიმინალურ ქმედებად ითვლება და ის კანონით ისჯება.

გრაფიტი, შეიძლება ითქვას, კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე არსებობდა. გრაფიტის უწოდებენ ყველაფერს – მარტივი ამონაკაწრიდან - რთულ, ორნამენტულ, საღებავებით შესრულებულ კედლის მხატვრობამდე. დღესდღეობით ამ მხრივ ყველაზე გავრცელებული მასალა საღებავი-სპრეია.

გრაფიტი ერთგვარად ფოლკლორის სახეობადაც შეიძლება ჩაითვალოს; მას ხანდახან სოციალური და პოლიტიკური დატვირთვა აქვს, ზოგჯერ კი ის ხელოვნების ნიმუშადაც კი ქცეულა.

ჩვენს ინტერესს **წერილობითი სახის გრაფიტის ენობრივი მხარე** წარმოადგენს. განსახილველად ავიღეთ თბილისის სხვადასხვა უბნებში მოძიებული, სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის, ინფორმაციული, სარეკლამო და ასევე – ყოველგვარი შინაარსობრივი დატვირთვის გარეშე გაკეთებული ნიმუშები. მათ შორის აღმოჩნდა **ქართული, რუსული, ინგლისური და არაბული წარწერები**. ქართულად შესრულებული გრაფიტი მრავალი საყურადღებო მაგალითითაა წარმოდგენილი, რომელთა ენობრივი მხარის კვლევის შედეგად არა მარტო წმინდა ენობრივი – არამედ სოციოლინგვისტური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობაც გვეძლევა.

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თ. გაბროშვილი**
რ. გრიგოლია